ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისათვის

№12(312) 2025

ISSN 1512-083X

გამოდის 2000 წლის იანვრიდან

აუდიტი
აღრიცხვა
ფინანსები

ინფო კონსულტანტი

ალუს

დამოუკიდებელი გამოცემა

იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე – ეკა ხარაზი:

ინტერვიუ საქართველოს ბუღალტერთა კავშირის პრეზიდენტ ტატა ბერიძესთან

ჟურნალის პარტნიორი – ბოდნისა აუდიტური კონცერნი

გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER “AAF-MANAGEMENT” LTD

შინაარსი

მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: დეკემბერი-2025 3

ეკა ხარაზი

ინტერვიუ საქართველოს ბუღალტერთა კავშირის პრეზიდენტ ტატა ბერიძესთან 11

თემურ იობაშვილი

რა როლი აქვთ საქართველოს ეკონომიკაში ემიგრანტებს 15

ლევან ნატროშვილი

აზრთა სხვადასხვაობა კომუნალური ტარიფების გამო 19

ეკა ხარაზი

მთავრობამ სურსათის გასაიაფებლად სპეციალური კომისია ჩამოაყალიბა 22

თემურ იობაშვილი

სახელმწიფომ „ინტერ რაოსთვის“ $139 მლნ-ის გადახდა დაიწყო 26

კითხვა–პასუხი 34

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის 42

ფრიდონ კერვალიშვილი

ვენესუელაში ამერიკული წესრიგი დამყარდა 44

უცხოური ვალუტის კურსები 51

გენერალური დირექტორი: **ფრიდონ ალშიბაია**.

მთავარი რედაქტორი: **გიორგი ცერცვაძე,** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: **თემურ იობაშვილი** (მთ. რედაქტორის მოადგილე), **მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი** (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), **ეკა ხარაზი.**

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: **ფრიდონ ალშიბაია** (საბჭოს თავმჯდომარე), **ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოღონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ წულაია.**

იურისტ-კონსულტანტი: **გიორგი ბოჭორიშვილი.**

გამომცემელი: შპს „ააფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: **info@aaf.ge** ვებგვერდი: **www.aaf.ge**

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფრთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მკითხველთა საყურადღებოდ!

დაიწყო ჩვენი ჟურნალის 2026 წლის გამოწერის კამპანია!

„ააფის“ 12 თვით ხელმოწერის ღირებულებაა: 96 ლარი.

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,
ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“,
ბ/კოდი MIBGGE22.

დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);
(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.
27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: **ელზა ოთიაშვილი** (სამს. უფროსი), **მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი** (ბათუმი), **ბექა დოღონაძე** (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.01.2026 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვა

საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვა – **ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.**

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: დეკემბერი-2025

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები

ცვლილება საგადასახადო კოდექსში

– 17.12.2025-ში მიღებული №1296-IVმს-XIმპ კანონის საფუძველზე ცვლილება განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ამოქმედდება 2026 წლის 2 მარტიდან.

შედეგად, 39-ე მუხლის(საგადასახადო საიდუმლოება) მე-2 ნაწილის „ბ[1]“ ქვეპუნქტი იქნა ამოღებული, რაც გულისხმობდა რომ საგადასახადო ორგანო, მისი თანამშრომელი, მოწვეული სპეციალისტი თუ ექსპერტი ვალდებული იყო დაეცვა გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. თუმცა უფლება ჰქონდა ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადაეცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის – „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას.

თუმცა დაკორექტირდა „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს – „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას, ასევე მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

მსგავსად დაკორექტირდა „ს“ ქვეპუნქტიც, შეიძლება გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ციფრული მმართველობის სააგენტოს – ამ სააგენტოს მიერ აღნიშნული ინფორმაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გადასაცემად, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, მონაცემების ელექტრონული მიმოცვლის სისტემის ფუნქციონირებისთვის.

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

– ფინანსთა მინისტრის მიერ 09.12.2025-ში მიღებული №317 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში შესული ცვლილება ეხება „ინოვაციების შესახებ“ კანონით განსაზღვრული ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშემწყობი მექანიზმების ასახვას გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადისა და მოგების გადასახადის დეკლარაციებში.

მოგების გადასახადის დეკლარაციას დაემატა ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხის გაანგარიშების ფორმა.

40^1 მუხლს დამატებული 6^9 პუნქტის მიხედვით:

„6^9. დეკლარაციის III ნაწილის დანართი 1^7 წარმოადგენს ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემთხვევაში მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხის კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების სამმაგი ოდენობით შესამცირებელი თანხის გათვალისწინებით, მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხის გაანგარიშების ფორმას და ივსება სვეტების დასახელების შესაბამისად. კერძოდ:

ა) პირველ სვეტში მიეთითება მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (თვეში) განაწილებული დივიდენდის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას;

ბ) მე-2 სვეტში მიეთითება მათ შორის, წინა ფინანსური წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგებიდან მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (თვეში) განაწილებული დივიდენდის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას;

გ) მე-3 სვეტში მიეთითება ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ წინა ფინანსური წლის განმავლობაში კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების სამმაგი ოდენობა, რომლის გაწევის შემთხვევაშიც პირს უფლება აქვს შეამციროს მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა;

დ) მე-4 სვეტში მიეთითება ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ წინა ფინანსური წლის განმავლობაში კვლევისა

და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების სამმაგი ოდენობიდან ხარჯების ის ოდენობა, რომლითაც წინა საანგარიშო პერიოდებში შემცირდა მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა;

ე) მე-5 სვეტში მიეთითება ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ წინა ფინანსური წლის განმავლობაში კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების სამმაგი ოდენობიდან ხარჯების ის ოდენობა, რომლითაც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მცირდება მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა (სვ.3-სვ.4);

ვ) მე-6 სვეტში მიეთითება მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხა კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების თანხის შემცირების შემდგომ, რომელიც წარმოადგენს პირველ და მე-2 სვეტებს შორის სხვაობას, თუ მე-5 სვეტში ასახული თანხის ოდენობა მეტია ან ტოლია მე-2 სვეტში ასახულ თანხის ოდენობაზე, ან პირველ და მე-5 სვეტებს შორის სხვაობას, თუ მე-5 სვეტში ასახული თანხის ოდენობა ნაკლებია მე-2 სვეტში ასახულ თანხის ოდენობაზე. აღნიშნული თანხა აისახება დეკლარაციის III ნაწილის 16.1 სტრიქონის მესამე სვეტში".

– 11.12.2025-ში მიღებული №322 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" ინსტრუქციაში, რომელიც ეხება თამბაქოს ნაწარმზე საგადასახადო კოდექსში 2025 წლის 26 ნოემბერს განხორციელებულ №1114-IVმს-XIმპ ცვლილებას.

ბრძანების თანახმად, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებული ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე ადგილობრივი წარმოების სიგარეტებისათვის, თამბაქოს შემცველობით, 20 ღერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 15 პროცენტის ჯამს.

2404 11 000 00 კოდში მითითებული კაფსულებისა და მსგავსი სახის პროდუქტებისთვის (თამბაქოს შემცველობით) 20 ცალზე და წვის პროცესის გარეშე აეროზოლის მისაღებად გამოსაყენებელი ღერებისთვის 20 ღერზე აქციზის განაკვეთი შეადგენს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 20 პროცენტის ჯამს.

სეს ესნ 2402 20 კოდში მითითებული სიგარეტების, აგრეთვე სეს ესნ 2404 11 000 00 და 2402 10 000 02 კოდებში მითითებული საქონლის მწარმოებელი/იმპორტიორი უფლებამოსილია, 2026 წლისათვის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნებისათვის, არაუგვიანეს 2025 წლის 15 დეკემბრისა შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია მის მიერ წარმოებული თუ იმპორტირებული საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის შესახებ.

– 30.12.2025-ის №345 ბრძანების მიხედვით, იმპორტირებულ თამბაქოს ნაწარმზე და ადგილობრივი და იმპორტული ალკოჰოლიანი სასმელისთვის განკუთვნილ აქციზურ მარკაზე შემცირდა ნომინალური ღირებულება, კერძოდ:

იმპორტული ფილტრიანი და უფილტრო (მათ შორის: სიგარა, სიგარილა) თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე ნაცვლად 19,5 დოლარისა ეკვივალენტი ლარებში განისაზღვრა – 18 დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

ადგილობრივი და იმპორტული ალკოჰოლიანი სასმელისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე ნაცვლად 12 დოლარისა ეკვივალენტი ლარებში განისაზღვრა – 10 დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

იმპორტირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 12 000 00 და 2404 19 900 00 კოდებში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე ნაცვლად 19,5 დოლარის ეკვივალენტი ლარებში განისაზღვრა – 18 დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

– 18.12.2025-ის №328 ბრძანებით ინსტრუქციის 25^1 მუხლს დაემატა 13^1 პუნქტი – პიროტექნიკურ ნაწარმზე (გარდა 1 ქვეკატეგორიის ზოგიერთი პიროტექნიკური ნაწარმისა, რომელიც არ არის ასაფეთქებელი სახის (მათ შორის, ბენგალური სანთელი, შუშხუნა და სხვა), ასევე, 1 ქვეკატეგორიის ზოგიერთი პიროტექნიკური ნაწარმისა, რომელთა რეალიზაციაც დასაშვებია ლიცენზიის გარეშე) ზედნადები ივსება მხოლოდ ელექტრონული ფორმით. ამასთან, სავალდებულოა ზედნადებში პროგრამულად მოინიშნოს ველი – „პიროტექნიკური ნაწარმი".

დაკორექტირდა 25^1-ის მე-4 პუნქტი, ზედნადების შევსებისას მე-4 და მე-5 სტრიქონებში იწერება გამყიდველის/გამგზავნის და მყიდველის/მიმღების დასახელება ან სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი. პიროტექნიკური ნაწარმის შემთხვევაში (გარდა 1 ქვეკატეგორიის ზოგიერთი პიროტექნიკური ნაწარმისა,რომელიც არ არის ასაფეთქებელი სახის (მათ შორის,ბენგალური სანთელი,შუშხუნა და სხვა),ასევე, 1 ქვეკატეგორიის ზოგიერთი პიროტექნიკური ნაწარმისა, რომელთა რეალიზაციაც დასაშვებია ლიცენზიის გარეშე), ამავე სტრიქონებში იწერება მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატის ან რეალიზაციის ლიცენზიის მქონე პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი.

მე-13 პუნქტს დამატებული შენიშვნით კი, შეზღუდვა არ ვრცელდება პიროტექნიკურ ნაწარმზე (გარდა 1 ქვეკატეგორიის ზოგიერთი პიროტექნიკური ნაწარმისა, რომელიც არ არის ასაფეთქებელი სახის (მათ შორის, ბენგალური სანთელი, შუშხუნა და სხვა), ასევე, 1 ქვეკატეგორიის ზოგიერთი პიროტექნიკური ნაწარმისა, რომელთა რეალიზაციაც დასაშვებია ლიცენზიის გარეშე) ზედნადების შევსების შემთხვევაზე.

ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ

– 17.12.2025-ში მიღებული №1288-IVმს-XIმპ კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმისგან ან შესაბამისი საურავის აღუსრულებელი ნაწილისგან, ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით თავისუფლდება პირი, რომელმაც დაარღვია დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობები.

პირი თავისუფლდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[4] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დადებული ადმინისტრაციული ჯარიმისგან (მათ შორის, გასამმაგებული ჯარიმისა და გასამმაგებული ჯარიმის გასამმაგებული ოდენობის ჯარიმისგან) ანდა შესაბამისი საურავის აღუსრულებელი ნაწილისგან, თუ მან ეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 2025 წლის 1 ნოემბრამდე ჩაიდინა, მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება გამოსცა უფლებამოსილმა პირმა და ეს დადგენილება 2025 წლის 1 ნოემბრამდე არ აღსრულებულა.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ

– მთავრობის მიერ 25.12.2025-ში მიღებული №587 დადგენილებით დამტკიცდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი.

ფიზიკურ პირს სტატუსი ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე.

ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში.

გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით, ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში. თუ მაღალმთიანი დასახლება ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრების ვადაა კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 6 თვე ან 6 თვეზე მეტი.

სტატუსის მინიჭების მოთხოვნის უფლება აქვს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

18 წლამდე ფიზიკური პირისათვის სტატუსის მინიჭების საკითხი განიხილება მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

სტატუსის მიღებისთვის, ფიზიკურმა პირმა განცხადებით (ელექტრონული ან მატერიალური) უნდა მიმართოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერს. ელექტრონული ფორმით განცხადების რეგისტრაცია შესაძლებელია იუსტიციის სახლიდანაც.

განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) მაღალმთიან დასახლებაში კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტები. თუ მაღალმთიანი დასახლება ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს, მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრების კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 6 თვე ან 6 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სხვა პირის მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში – უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

შესაძლოა წარდგენა იმ დოკუმენტების ან მასალების, მათ შორის, ფოტოსურათების, რომლებიც ადასტურებენ ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში შინასამეურნეო საქმიანობის განხორციელების ფაქტს, რაც გულისხმობს საცხოვრებელი ადგილის გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას და მაღალმთიან დასახლებაში არსებული უძრავი ქონების ფლობას.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

– იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

– განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

– მოთხოვნას;

– განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

– განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

განცხადების რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, შესაბამისი ორგანო შეამოწმებს სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციას. თუ განცხადება არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, განმცხადებელს განესაზღვრება ვადა (15 დღე) ხარვეზის გამოსასწორებლად.

მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დოკუმენტაცია გაეგზავნება საბჭოს, რომელიც განიხილავს და შესაბამის რეკომენდაციას გასცემს განცხადების რეგისტრაციიდან 2 თვის ვადაში.

საბჭო განცხადების განხილვის შემდეგ, თითოეული ფიზიკური პირის მიმართ ინდივიდუალურად იღებს ერთ-ერთ შემდეგ რეკომენდაციას:

– შესაბამისი ფიზიკური პირისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ მუნიციპალიტეტის მერისათვის რეკომენდაციის წარდგენის შესახებ.

– შესაბამისი ფიზიკური პირისთვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მუნიციპალიტეტის მერისათვის რეკომენდაციის წარდგენის თაობაზე.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირის ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, ცხოვრების მონიტორინგს გეგმავს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

მონიტორინგი იწყება ადმინისტრაციული ორგანოს/ ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით, წელიწადში ერთხელ მაინც.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირის ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, მაღალმთიან დასახლებაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით (თუ მაღალმთიანი დასახლება ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს, მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრების ვადაა კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 6 თვე ან 6 თვეზე მეტი) ფაქტობრივად ცხოვრების დადასტურების მიზნით, შესაძლებელია მონიტორინგმა:

ა) დაათვალიეროს ფიზიკური პირის (მისი თანხმობის შეთხვევაში) საცხოვრებელი ადგილი;

ბ) გადაამოწმოს ფიზიკური პირის (მისი თანხმობის შემთხვევაში) მიერ მაღალმთიან დასახლებაში შინასამეურნეო საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რაც გულისხმობს საცხოვრებელი ადგილის გამოყენების, მისი მოვლა-პატრონობის და სხვა ფაქტების ადგილზე დათვალიერებას და შესაბამისი დათვალიერების ოქმის შედგენას;

გ) საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს ფიზიკურ პირს შესაბამისი წლის შესაბამის თვეს გადასახდელების ან/და მომსახურების საფასურის/ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს ფიზიკურ პირს შესაბამისი მოწმეების წარდგენა, რომლებიც დაადასტურებენ, ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრებას (თუ მაღალმთიანი დასახლება ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს, მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრების ვადაა კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 6 თვე ან 6 თვეზე მეტი);

ე) შეარჩიოს სხვა მეთოდები, რომლებიც დაადასტურებენ ფიზიკური პირის კალენდარული წლის განმავლობაში, მაღალმთიან დასახლებაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრებას (თუ მაღალმთიანი დასახლება ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს, მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრების ვადაა კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 6 თვე ან 6 თვეზე მეტი).

ფიზიკურ პირს სტატუსი უწყდება, თუ:

ა) გარდაიცვალა;

ბ) შეიცვალა რეგისტრაციის მისამართი (გარდა აღნიშნული პირის სხვა მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის შემთხვევისა);

გ) დატოვა მაღალმთიანი დასახლება, თუ ეს იწვევს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის დარღვევას, გარდა იმავე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ე) შესაბამისი მაღალმთიანი დასახლება, რომელშიც იგი მუდმივად ცხოვრობს, ამოღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაღალმთიან დასახლებათა ნუსხიდან.

ცვლილება „გრანტების შესახებ“ კანონში

– 17.12.2025-ში მიღებული №1291-IVმს-XIმპ კანონით ცვლილება შევიდა „გრანტების შესახებ“ კანონში, რომელიც ამოქმედდება 2026 წლის 2 მარტიდან.

კანონის მიხედვით, გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

სამსახურს გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგის განხორციელების მიზნით უფლება აქვს:

ა) პირისგან გამოითხოვოს ფინანსური ანგარიში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ამ კანონის 5^1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის (დარღვევის) თაობაზე.

ბ) გამოჰკითხოს ფიზიკური პირი ამ კანონით დადგენილი წესით.

გ) დაჰკითხოს ფიზიკური პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

დ) საჯარო დაწესებულებისგან, ფიზიკური პირისგან, იურიდიული პირისგან (მათ შორის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან), სხვა სუბიექტისგან გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია.

ე) განახორციელოს კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი დადგენილი მოთხოვნების დარღვევის თაობაზე, სახელმწიფო ორგანოები ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აწვდიან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქმიანობისას ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში. გენერალურ აუდიტორს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა არაუმეტეს 3 თვით გაახანგრძლივოს.

ფიზიკური პირი, რომელსაც შესაძლებელია ჰქონდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გრანტის თანხმობის გარეშე მიღების მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია, შეიძლება

ნებაყოფლობით გამოჰკითხოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა. დაუშვებელია გამოსაკითხი პირის იძულება, წარადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.

გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, თავისი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ. აუდიტის სამსახურმა გამოსაკითხ პირს ეს უფლებები გამოკითხვის დაწყებამდე უნდა განუმარტოს. ამ მიზნებისთვის გამოსაკითხი პირის ახლო ნათესავად მიიჩნევა მისი მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

ამავე კანონის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ფიზიკური პირის გამოკითხვისას ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე ფიზიკური პირის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვისას აღნიშნული პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით.

ბიზნესომბუდსმენის აპარატი ლიკვიდირდა

– პარლამენტის მიერ 17.12.2025-ში მიღებული №1278-IVმს-XIმპ კანონის საფუძველზე 2026 წლის 1 იანვრიდან ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი და გაუქმდა საქართველოს ბიზნესომბუდსმენისა და მისი მოადგილეების თანამდებობები.

აღნიშნული თარიღიდან შეწყდა საქართველოს ბიზნესომბუდსმენისა და მისი მოადგილეების უფლებამოსილებები, ბიზნესომბუდსმენის აპარატის ყველა თანამშრომლის უფლებამოსილება და შრომითი ურთიერთობა, ასევე აპარატში სტაჟირების გავლასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობა.

ბიზნესომბუდსმენის აპარატის ყველა თანამშრომელს, რომლებსაც 2026 წლის 1 იანვრიდან შეუწყდათ შრომითი ურთიერთობა, 1 თვის განმავლობაში მიიღებენ ერთჯერად კომპენსაციას. თუ პირი 2026 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში არ დაიწყებს ანაზღაურებად საქმიანობას საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ საბიუჯეტო ორგანიზაციაში, ამ კომპენსაციის ოდენობა გასამმაგდება.

ბიზნესომბუდსმენი კი დაიკავებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლის თანამდებობას და განახორციელებს ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილებას.

ცვლილება შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურებში

– 19.12.2025-ის მთავრობის №557 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლების სამსახურის მიერ გაწერილ რიგ მომსახურებებზე საფასურის ცვლილებას, კერძოდ, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის, ვეტერინარული სერტიფიკატის, სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის, სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის, აგრეთვე ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის ნებართვის გაცემის საფასურებს.

70-ე – 74-ე გრაფები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„70	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის გაცემა (გარდა 70(1) გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)	5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე, შაბათ-კვირა ან უქმე დღე	200 ლარი 300 ლარი
70^1	ცოცხალი ცხოველების ექსპორტის დროს ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის გაცემა	1 დღ	300 ლარი
71	ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა საქონლის ინსპექტირების გარეშე (გარდა 71(1) და 71(2) გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)	5 სამუშაო დღე შაბათ-კვირა ან უქმე დღე	100 ლარი 300 ლარი
71^1	ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა საქონლის ინსპექტირებით (გარდა 71(2) გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)	5 სამუშაო დღე შაბათ-კვირა ან უქმე დღე	250 ლარი 300 ლარი
71^2	საფოსტო გზავნილზე, მგზავრის ბარგსა და ხელბარგზე ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემა)	5 სამუშაო დღე შაბათ-კვირა ან უქმე დღე	50 ლარი 200 ლარი
72	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი

73	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის ნებართვის გაცემა	20 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი
74	სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატის გაცემა, გარდა გამოფენაზე გასატანი ან/და ნიმუშად წარსადგენი სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარისა	5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 1 5 სამუშაო დღე	100 ლარი 150 ლარი 300 ლარი

121-ე გრაფა:

„121	სურსათის/ცხოველის საკვების ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემა	5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე 1 5 სამუშაო დღე	100 ლარი 150 ლარი 300 ლარი “.

– 2026 წლის იანვრიდან მთავრობის 22.08.2025-ში მიღებული №503 დადგენილებით ძალაში შევიდა ცვლილება ტექნიკური რეგლამენტის „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე მთავრობის №286-ში დადგენილებაში, რომლითაც იკრძალება მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების იმპორტი.

მე-9 მუხლის დამატებული 9^1 მუხლის თანახმად:

აკრძალულია პირის (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა) მიერ №2 დანართით განსაზღვრულ ნივთიერებებზე მომუშავე №9 დანართით გათვალისწინებული მეორადი მოხმარების მოწყობილობების იმპორტი (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევა, თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცევა).

პირის (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა) მიერ №9 დანართით გათვალისწინებული მეორადი მოხმარების მოწყობილობების იმპორტის (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევა, თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცევა) შემთხვევაში, შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი) უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნივთიერების ტიპის შესახებ, რომელზეც მუშაობს შესაბამისი მოწყობილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქონელი დაექვემდებარება უკან გაბრუნებას.

საფინანსო სფეროში შეტანილი ცვლილებები

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 16.12.2025-ში მიღებული №288/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესში“.

ბრძანების მიხედვით, თუ ფიზიკური პირი (გარდა საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისა) არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირი, ანგარიშვალდებულმა პირმა ვერიფიკაცია უნდა განახორციელოს პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელსაც აქვს საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ვალიდურობის დადგენის შესაძლებლობა ან ვერიფიკაციის მიზნით შეუძლია გამოიყენოს, სულ მცირე, 1 თეთრის (ეკვივალენტი) ჩარიცხვა კლიენტის სახელზე არსებული სხვა ანგარიშიდან ან სხვა სანდო მეთოდი. 1 თეთრის ჩარიცხვა დაუშვებელია განხორციელდეს მაღალი რისკის იურისდიქციაში/ოფშორულ ზონაში არსებული ანგარიშიდან (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოფშორული ზონა ამავდროულად არის ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული ქვეყნების სიაში). ამ წესის მიზნებისთვის ოფშორული ზონა არის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ქვეყნები/ტერიტორიები.

დაუშვებელია კლიენტის მიმართ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელება, თუ:

– ფიზიკური პირი არის მაღალი რისკის იურისდიქციის/ოფშორული ზონის მოქალაქე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოფშორული ზონა ამავდროულად არის ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული ქვეყნების სიაში, აგრეთვე, თუ მას აქვს საქართველოს მოქალაქეობა ან საქართველოში ბინადრობის უფლება).

ფიზიკური პირი არის მაღალი რისკის იურისდიქციაში/ოფშორულ ზონაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოფშორული ზონა ამავდროულად

არის ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული ქვეყნების სიაში), რეგისტრაციის ადგილის ანდა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მქონე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას აქვს საქართველოს მოქალაქეობა ან საქართველოში ბინადრობის უფლება) პირი.

მსგავსი ეხება სხვა პუნქტებსაც, სადაც განსაზღვრული იყო მხოლოდ ის შემთხვევები, თუ ოფშორული ზონა ამავდროულად იყო ევროკავშირის/შენგენის ზონის წევრი.

ახლა კი ხელმძღვანელობა ხდება დანართი №1-ით.

დანართი №1 წარმოადგენს შემდეგ ქვეყნებს:

1. ავსტრალია
2. ისრაელი
3. ნორვეგია
4. შვეიცარია
5. აშშ
6. კანადა
7. იაპონია
8. სამხრეთ კორეა
9. სინგაპური
10. რუსეთი
11. უკრაინა
12. თურქეთი
13. აზერბაიჯანი
14. სომხეთი
15. დიდი ბრიტანეთი
16. შენგენის ზონის ქვეყნები
17. ევროკავშირის წევრი ქვეყნები

– პარლამენტის მიერ 17.12.2025-ში მიღებული №1317-IVმს-XIმპ კანონით ცვლილება შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში, რომელიც ამოქმედდება 2026 წლის 2 მარტიდან.

ცვლილების თანახმად, ვალუტის გადამცვლელ პუნქტში მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია (ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების, განხორციელებული ოპერაციის თაობაზე), ასევე სესხის გამცემ სუბიექტთან მსესხებლის შესახებ არსებული ინფორმაცია (ნებისმიერი გარიგების,განხორციელებული ოპერაციის, არსებული დავალიანების ან ნაშთის თაობაზე), შეიძლება მიეცეთ მხოლოდ შესაბამისი გარიგების მხარეებსა და მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს, ეროვნულ ბანკს, ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში – ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. სხვა პირებს მომხმარებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ან მომხმარებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე მიეცემათ.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 30.12.2025-ის №313/04 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა „მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის წესში“.

ბრძანების თანახმად, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (ემიტენტი და ექვაირერი) ვალდებულია არაუგვიანეს 2027 წლის 1 იანვრისა უზრუნველყოს ელექტრონული კომერციის ოპერაციებისთვის ამ წესის მოთხოვნების შესაბამისი მექანიზმების, ასევე ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული სხვა უსაფრთხო მოდელის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ წესის მიზნების შესრულება, მათ შორის, ელექტრონული კომერციის ოპერაციებთან დაკავშირებული თაღლითობისა და სხვა უკანონო ქმედების რისკების შემცირება.

საგადახდო მომსახურების პროვაიდერები ვალდებული არიან ერთობლივად შეიმუშაონ და არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისისა ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინონ განსაზღვრული მოდელი და წინადადება ელექტრონული კომერციის ოპერაციებისთვის იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმებისა და მოდელის გამოყენებასთან დაკავშირებით.

პროვაიდერი, რომელიც მომხმარებელს საგადახდო მომსახურებას სთავაზობს თავისი ვებგვერდის მეშვეობით, აქვს უფლება მომხმარებელს მისცეს საშუალება თავის ელექტრონულ საფულეს/ვებგვერდზე დარეგისტრირებულ მომხმარებლის იდენტიფიკატორს მიაბას საგადახდო (საბარათე ან სხვა) ინსტრუმენტი. საგადახდო ინსტრუმენტის მიბმა ხორციელდება საფულის შევსების ან საფულიდან ინსტრუმენტზე თანხის გადატანის მიზნით, ასევე გადახდის ოპერაციის ერთჯერადად განხორციელების მიზნით. გათვალისწინებული საგადახდო ინსტრუმენტის მიბმის ოპერაცია უნდა მოხდეს ემიტენტის მიერ მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის ან 2027 წლის 1 იანვრამდე ერთჯერადი კოდის გამოყენების საფუძველზე, გარდა უცხო ქვეყნის საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტისა. იდენტიფიცირებული მომხმარებლის შემთხვევაში, საფულის შევსების ან გადახდის ოპერაციის ერთჯერადად შესრულების მიზნით საგადახდო ინსტრუმენტით ოპერაციის ინიციირებისას, ემიტენტის მიერ ძლიერი ავთენტიფიკაციის განხორციელება (ან ერთჯერადი კოდის გენერირება) არ მოითხოვება. ამ შემთხვევებში ელექტრონულ საფულეზე წვდომა ან ვებგვერდზე რეგისტრირებული მომხმარებლის მონაცემებზე წვდომა უნდა მოხდეს პროვაიდერის მიერ მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის საფუძველზე.

– 29.12.2025-ის №302/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ,ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ" კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ" კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ" ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებაში.

შედეგად, რისკის დონის შესაბამისად, ასევე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კანონმდებლობითა და ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, პირის შესახებ ინფორმაციის განუახლებლობა ან/და ხელმძღვანელობისგან პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების, გაგრძელების თაობაზე ნებართვის მიუღებლობა (გარდა პოლიტიკურად აქტიური პირისა) – 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ პირთან მიმართებაში

იხილეთ ასევე:

– 01.01.2026-დან ძალაში შევიდა 13.11.2025-ის მთავრობის №503 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ დამტკიცების თაობაზე". რომლის მიხედვითაც იკრძალება სეს ესნ-ის 3917 – სასაქონლო პოზიციაში, 3924 10, 3923 10 და 3923 50 სასაქონლო სუბპოზიციებში კლასიფიცირებული, პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების/ჭიქების და მათი თავსახურების წარმოება (გარდა ექსპორტის მიზნით), იმპორტი ან/და ბაზარზე განთავსება.

– 22.12.2025-ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №291/04 ბრძანება, „TIBR ინდექსების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" ამავე პირის 2021 წლის 12 ოქტომბრის №146/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 31.12.2025-ის მთავრობის №642 დადგენილება, „ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" ამავე პირის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

– 30.12.2025-ის ფინანსთა მინისტრის №353 ბრძანება, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".

მარიამ აფრასიძე

სამსახურის (SARAS) ვებგვერდზე, აუდიტორებისთვის/აუდიტორული ფირმებისთვის სარეკომენდაციო მითითება განთავსდა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) ვებგვერდზე, 2025 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ განხორციელებული მოკვლევების საფუძველზე შემუშავებული სარეკომენდაციო მითითება განთავსდა.

დოკუმენტში ასახულია 2025 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული მოკვლევების თემატიკები, გამოკვეთილი შეუსაბამობები და სარეკომენდაციო მითითებები.

აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიერ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს პროფესიის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

იანვრიდან პენსია 20 ლარით გაიზარდა

2026 წლის 1 იანვრიდან ასაკობრივი პენსია გაიზარდა.

70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია 45 ლარით გაიზარდა და 495 ლარს შეადგენს. მაღალმთიან დასახლებებში ამავე კატეგორიის პენსიონერები 450 ლარის ნაცვლად 594 ლარს მიიღებენ.

70 წლამდე პირთა პენსია 20 ლარით გაიზარდა და 370 ლარით განისაზღვრა, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში – 444 ლარია.

პენსიასთან ერთად, გაიზარდა სოციალური გასაცემელიც:

- **მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური დახმარება 45 ლარით გაიზარდა;**
- **დანარჩენი კატეგორიის შშმ პირების სოციალური გასაცემელი 20 ლარით გაიზარდა.**

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 2026 წელს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სამინისტროს ბიუჯეტი 800 მლნ ლარზე მეტით არის გაზრდილი.

სტუმარი

სტუმარი – ამ რუბრიკის მეშვეობით ჩვენი ჟურნალი გაგაცნობთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში) მონაწილე პიროვნებებს.

ინტერვიუ საქართველოს ბუღალტერთა კავშირის პრეზიდენტ ტატა ბერიძესთან

ტატა ბერიძე – დაიბადა 1978 წ. 18 თებერვალს ქ. თბილისში.

2019 წლის მარტში დააარსა ა(ა)იპ „ბუღალტერთა კავშირი“ და დაფუძნების დღიდან მისი პრეზიდენტია.

2021 წლიდან არის ICB/ICFM GLOBAL (UK)-ის (სერტიფიცირებულ ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ინსტიტუტის) ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოში და ამავე ინსტიტუტის საერთაშორისო მმართველი საბჭოს მუდმივი წევრი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

– მადლობა, ქალბატონო ტატა, ინტერვიუზე დათანხმებისთვის. თავდაპირველად, გვიამბეთ თქვენი ბიოგრაფიის ადრეული წლების შესახებ.

– დავიბადე საქართველოში, ოჯახში, სადაც შრომა, განათლება და პასუხისმგებლობა ყოველთვის უმთავრესი ღირებულებები იყო. ბავშვობიდანვე მქონდა დამოუკიდებლობისა და ორგანიზებულობის ძლიერი განცდა.

განათლება ფინანსებისა და ბუღალტერიის მიმართულებით მივიღე, თუმცა 1990-იანი წლების საქართველოში, მიუხედავად გარდამავალი პერიოდისა და ახალი შესაძლებლობების გამოჩენისა, ქალის როლი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად ოჯახსა და შვილების აღზრდასთან ასოცირდებოდა, რის გამოც კარიერული გზა დროებით მეორე პლანზე ინაცვლებდა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ პროფესიული საქმიანობა მოგვიანებით, ზრდასრულ ასაკში, ბავშვების გაზრდის შემდეგ დავიწყე.

ეს გზა ჩემთვის მხოლოდ სამსახური არ ყოფილა – ბუღალტერია იქცა ინტელექტუალური გამოწვევის, პასუხისმგებლობისა და თვითრეალიზაციის სივრცედ. დღეს ჩემი გამოცდილება მაგალითია იმისა, რომ ქალს შეუძლია თან აიწყოს კარიერა, მართოს ოჯახი და დატოვოს საკუთარი გავლენა საზოგადოებაში, გახდეს თანამედროვე ბიზნესისა და ფინანსების ლიდერი.

– რამ განაპირობა ბუღალტრის პროფესიის არჩევა?

– ინტელექტუალური თავისუფლება და სტაბილური შემოსავალი ის ღირებულებებია, რის გამოც ბევრი ირჩევს ბუღალტერიას. ეს არის სტაბილური, პატივსაცემი და ძლიერი გზა მათთვის, ვინც საკუთარ პროფესიაში რეალურ

საყრდენს ეძებს. ბუღალტერია წარმოადგენს მუდმივ ინტელექტუალურ მოძრაობას – პროფესიას, რომელიც არასდროს გაძლევს მოდუნების საშუალებას და სწორედ ამიტომ არასდროს ხდება მოსაბეზრებელი.

– კმაყოფილი ხართ თქვენი არჩევანით?

– დიახ, სრულიად. დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, ისევ ამ გზას ავირჩევდი – უბრალოდ უფრო ადრე და მეტად თამამად.

– როგორ შეიქმნა ბუღალტერთა კავშირი, რომლის პრეზიდენტიც თქვენ ხართ?

– საქართველოს ბუღალტერთა კავშირი ჩემი ინიციატივით 2019 წელს შეიქმნა როგორც უნიკალური პროფესიული პლატფორმა – ამბიციური, ინტელექტუალურად თავისუფალი ადამიანების სივრცე, სადაც წევრებს აქვთ შესაძლებლობა გახდნენ სფეროს ნამდვილი ლიდერები, მუდმივად განვითარდნენ და შექმნან გავლენიანი პროფესიული წრე. აქ ყალიბდება ინტელექტუალური საუნჯე, მიმდინარეობს მაღალი დონის პროფესიული მსჯელობა,განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მენტალურ ჯანმრთელობას და პროფესიის რეალური პოტენციალის გაძლიერებას. საქართველოს ბუღალტერთა კავშირი წევრებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში და თავად წარმართონ საკუთარი პროფესიული გზა. სწორედ ამიტომ, ვინც აქ არის, განსხვავებას გრძნობს და იცის – აქ პროფესიული ამბიციები აღარ არის უბრალოდ ოცნება, არამედ რეალური შესაძლებლობაა.

– ვინ იყო თქვენი მთავარი მხარდამჭერი ამ გზაზე?

– უპირველესად – ჩემი ოჯახი, როგორც სიძლიერის და სიმშვიდის მთავარი საყრდენი, შემდეგ კი ადამიანები, რომლებმაც იდეა მიიღეს და ეს გზაც გაიზიარეს. თუმცა ამ ყველაფრის მიღმა ყოველთვის იდგა ჩემი პირადი პასუხისმგებლობა, ხედვა და შინაგანი ძალა, რომელმაც ეს გზა წარმატებული გახადა.

– რამდენი წევრია ბუღალტერთა კავშირში და როგორ ხდება მასში გაერთიანება?

– დღეს კავშირში დაახლოებით 30 000 წევრია, მათ შორის ასობით აქტიური პროფესიონალია, რომლებიც გავლენიან პოზიციებს იკავებენ. გაწევრება ეფუძნება მკაცრ, გამჭვირვალე კრიტერიუმებს – ხარისხი ყოველთვის რაოდენობაზე მაღლა დგას. აქ ყველა წევრს აქვს უნიკალური შესაძლებლობები: განვითარება, საერთაშორისო კავშირები და რეალური გავლენის შექმნა პროფესიულ წრეში. სწორედ ამიტომ, საქართველოს ბუღალტერთა კავშირი არის ადგილი, სადაც პროფესიული ამბიციები რეალობად იქცევა.

– ქალისთვის დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა რთულია?

– დიდი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ყოველთვის გამოწვევაა – სირთულეებთან ერთად ეს შესაძლებლობაა, გამოავლინო ლიდერის უნარები და მოახდინო რეალური გავლენა. გამოცდილება გვასწავლის,რომ პასუხისმგებლობა, სტრატეგიული ხედვა და რესურსების მართვა ნამდვილ ლიდერს ახასიათებს – ის, რაც არ განისაზღვრება გენდერით.

– ბუღალტერთა კავშირის მართვის გარდა კიდევ რა საქმიანობით ხართ დაკავებული?

– ვარ დიდი ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა და მენეჯერთა ინსტიტუტის – ICB/ICFM Global-ის ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოში და საერთაშორისო მმართველი საბჭოს წევრი. ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 150 000-ზე მეტ ექსპერტს აერთიანებს, რაც მაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, უშუალო მონაწილეობა მივიღო იმ გლობალური პროფესიული და სასწავლო სტანდარტების შექმნაში, რომლებიც ბუღალტრის და მენეჯერის პროფესიაში მკვიდრდება სიდნეიდან ნიუ იორკამდე.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ბუღალტრის პროფესია მსოფლიოში 5 ყველაზე სტრესულ სფეროს შორის შედის. გლობალური გამოკითხვების (FloQast & UGA) მონაცემებით, გადაწვის დონე შოკისმომგვრელია: ბუღალტერთა 99% განიცდის პროფესიულ გადაწვას, 24% კი კრიტიკულ ზონაშია.

სწორედ ამიტომ, საერთაშორისო პლატფორმაზე ჩემი ინიციატივები პიროვნული კეთილდღეობის დაბალანსებას ემსახურება. ამჟამად ვმუშაობთ ჩარჩოს შექმნაზე,რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას,საერთაშორისო პროტოკოლით მკაფიოდ განვსაზღვროთ ბუღალტრის უფლება-მოვალეობები და საბოლოოდ დავამსხვრიოთ „ყველაფერშიკობის“ სტერეოტიპი.

ამ პროცესში ჩემი ხედვა მკაფიოდ არის განსაზღვრული:

• ფუნქციების გამიჯვნა: ბუღალტერი უნდა ფოკუსირდეს აღრიცხვაზე და ანალიტიკაზე, ნაცვლად იმისა, რომ ითავსებდეს იურისტის, კადრების სპეციალისტის თუ ადმინისტრატორის როლს;

• სამუშაო სტანდარტების დაწესება: პროფესიული საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო პროტოკოლებს, რომლებიც იცავს სპეციალისტს ქრონიკული გადატვირთვისგან და აღიარებს მენტალური ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობას.

ბუღალტერია არის მაღალტექნოლოგიური და ინტელექტუალური სფერო, რომელიც მოითხოვს კონცენტრაციას და არა გაუთავებელ ქაოსს.

– თქვენი დაკვირვებით, როგორ ხდება ბუღალტრების ადაპტაცია ციფრულ ტექნოლოგიებთან, რომლებიც უფრო და უფრო ვითარდება?

– ბუღალტერი დიდი ხანია აღარ ებრძვის ტექნოლოგიებს – პირიქით, ის მეგობრობს მათთან. სწრაფად სწავლობს, ადაპტირდება და იყენებს ციფრულ შესაძლებლობებს, რათა გაიმარტივოს სამუშაო, გაზარდოს შედეგიანობა და გაძლიერდეს პროფესიულად.

– როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ხელოვნურმა ინტელექტმა ბუღალტრების პროფესია ჩაანაცვლოს?

– არა. ხელოვნური ინტელექტი ჩაანაცვლებს „რუტინას“, მაგრამ პროფესიონალს – ვერასდროს. ანალიტიკა, პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილებები ადამიანის წილად დარჩება. ნათელი მაგალითი არის კომპიუტერი, რომელიც წლების წინ შემოვიდა – მან მარტივად გააქრო ბევრი რუტინული სამუშაო, მაგრამ იმავდროულად უამრავი ახალი პროფესია შექმნა და პროფესიონალებს ახალი შესაძლებლობები შესთავაზა.

– ვინაიდან ციფრულმა ტექნოლოგიებმა ქვეყნებს შორის საზღვრები მოშალა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ბუღალტრები საქართველოდან სხვა ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებსაც ემსახურებიან. რა ჭირდება საქართველოში ბუღალტერს იმისთვის, რომ უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ კომპანიას მოემსახუროს? თქვენ ან თქვენს ახლობლებს ხომ არ გქონიათ მსგავსი სერვისის გაწევის შემთხვევები? ასეთ საქმიანობას აქვს ზრდის პერსპექტივა?

– მსოფლიოს ფინანსურ ბაზარზე, კვალიფიციურ პროფესიონალებზე ამხელა მოთხოვნა არასდროს ყოფილა. კომპანიები ეძებენ ბუღალტრულ მომსახურებას, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს – და სწორედ აქ ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა საქართველოში მყოფ ბუღალტერს. ჩვენი პროფესიული სასწავლო ცენტრი, ერთადერთი ექსკლუზიური პარტნიორი ICB-UK საქართველოში, აერთიანებს ცოდნას, სერტიფიკაციასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც წევრებს უნიკალურ უპირატესობას აძლევს საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე. ეს არის გზა რეალური პროფესიული გავლენის, გლობალური გამოცდილებისა და კარიერული ზრდისკენ.

– საქართველოში, სადღეისოდ, ბევრ პროფესიაში არის კვალიფიციური კადრების სიმცირე. თქვენი დაკვირვებით, ბუღალტერიისა და აუდიტის სფეროშიც ასეა?

– ბუღალტერია და აუდიტი მხოლოდ პროფესიები არ არის – ეს ბიზნესისა და ეკონომიკის ჭეშმარიტი ბურჯებია. ისინი უზრუნველყოფენ სიზუსტეს, გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობას, რაც კომპანიის შედეგებში აისახება. დასანანია, რომ პროფესია განიცდის დაბერებას, და კვალიფიციური ახალგაზრდა კადრების დეფიციტი ძალიან მკვეთრია. ამასთან, თანამედროვე სახელმწიფო და ბიზნესი საჭიროებს მრავალფუნქციურ სპეციალისტებს და ექსპერტებს, რომელთა მომზადება დიდ დროს, სისტემურ სწავლასა და უწყვეტ განვითარებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია, შეიცვალოს მიდგომები და ბუღალტერი აღიქმოდეს არა მხოლოდ რუტინული საქმიანობის შემსრულებლად, არამედ სტრატეგიულ სიმყარედ, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის მდგრადობას და ფინანსურ გამჭვირვალობას.

– ცოტა ხნის წინ, ტაშკენტში საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე საპატიო სპიკერად იყავით მიწვეული. რა იყო ამ კონფერენციის მთავარი გზავნილი და რას ეხებოდა თქვენი გამოსვლა?

– ტაშკენტში ჩემი გამოსვლა ფოკუსირებული იყო ფსიქოლოგიაზე, როგორც თანამედროვე ბუღალტრისა და აუდიტორის წარმატების მთავარ ინსტრუმენტზე. ძირითადი გზავნილი მარტივია: ენდეთ საკუთარ ინტუიციასა და შინაგან შეგრძნებებს – მხოლოდ ასე მოიპოვებთ ნდობას დამკვეთებშიც. ინტუიციის განვითარება, სტრესის მართვა

და მენტალური ჯანმრთელობა წარმოადგენს ჩვენი პროფესიულ წარმატების ნამდვილ ქვაკუთხედს, რომელიც ქმნის შედეგებს და განსაზღვრავს პროფესიონალის ეფექტიანობას თანამედროვე ციფრულ გარემოში.

– რას მოიცავს საქართველოს ბუღალტერთა კავშირის თანამშრომლობა უცხო ქვეყნებთან?

– გაფორმებული მემორანდუმები გულისხმობს განათლებას, გამოცდილების გაზიარებას და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას. ეს არის კარი გლობალურ ბაზარზე ჩვენი წევრებისთვის. ასეთი თანამშრომლობა არა მხოლოდ გამოცდილების გაზიარების, არამედ საქართველოს ბუღალტერთა საერთაშორისო სცენაზე პოზიციონირების შესაძლებლობას ქმნის. ჩვენი პროფესიონალები იღებენ უნიკალურ პრაქტიკულ გამოცდილებას, მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში და ყალიბდებიან გლობალური პროფესიული სცენის ღირსეულ მოთამაშეებად, რაც მათ საშუალებას აძლევს გახდნენ მოთხოვნადები საერთაშორისო ბაზარზე.

– ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროში როგორი კონკურენციაა ამჟამად, როგორ დაახასიათებდით ბაზარზე შექმნილ ვითარებას?

– ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფერო დღეს ძალიან დინამიკურია და კონკურენტული. საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა, სიზუსტე და პროფესიული პასუხისმგებლობა უფრო და უფრო ფასდება, რადგან კომპანიები სანდო, მაღალპროფესიონალურ მომსახურებას ეძებენ. ბაზარზე უპირატესობა აქვთ მათ, ვინც მუდმივად განავითარებს საკუთარ უნარებს, ადაპტირდება ციფრულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებთან და შეძლებს კომპლექსური საკითხების ეფექტიან მართვას.

– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

– 2026 წლიდან ჩვენს სასწავლო ცენტრში დაიწყება ელიტური საერთაშორისო სერტიფიცირების პროგრამები, რომლებიც ფინანსური მენეჯმენტის, ბუღალტერიისა და ადმინისტრაციული მენეჯმენტის სფეროში პროფესიონალებს მისცემს უნიკალურ შესაძლებლობას მიიღონ მსოფლიოში აღიარებული დიპლომები, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს მათ საერთაშორისო კარიერულ შესაძლებლობებს.

ICFM & ICB UK-თან ერთად, ჩვენ გავაგრძელებთ გლობალური ლიდერობის პოზიციის გაძლიერებას, რათა თითოეულ წევრს მივაწოდოთ პრესტიჟული, სანდო და მომავალზე ორიენტირებული განათლება, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე ბიზნეს-სტანდარტებს და იმ დონეს, რომელიც აუცილებელია წარმატებისთვის როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ბაზარზე.

ასევე, 21 თებერვალს საქართველოს ბუღალტერთა კავშირი უკვე ტრადიციულად რიგით მე-7 ფინანსისტების და ბუღალტრების დაჯილდოების გრანდიოზულ საღამოს უმასპინძლებს. ამ ცერემონიას ჩვენი სფეროს 200-ზე მეტი პროფესიონალი შეუერთდება. ვისარგებლებ შემთხვევით და მოვუწოდებ ფინანსური სფეროს ყველა პროფესიონალს შეუერთდნენ ამ განსაკუთრებულად პრესტიჟულ დასამახსოვრებელ ღონისძიებას.

– რას გვეტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?

– 30 წელია დაოჯახებული ვარ და მყავს ტრადიციული ქართული ოჯახი: მეუღლე და სამი შვილი. ჩემი ოჯახი არა მხოლოდ საყრდენია ჩემთვის, არამედ მტკიცებულება იმისა, რომ ქალი წარმატებით ახერხებს პირადი და პროფესიული ცხოვრების გაერთიანებას. თუმცა, ამ ბალანსის მიღწევა არ ხდება მარტივად – ის ყოველდღიური შრომისა და ცხოვრებისეული სიბრძნის გარეშე წარმოუდგენელია.

– ჩვენი საუბრის დასასრულს, გვიამბეთ როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

– ჩემს თავისუფალ დროს არასოდეს ვუთმობ მხოლოდ დასვენებას – ის ყოველთვის პროდუქტიული და შემოქმედებითი უნდა იყოს. მიყვარს ბუნება, მოგზაურობა, ფერწერა, ლიტერატურა, პოეზია, არქიტექტურა და ახალი კულტურების აღმოჩენა.

ამავე დროს, ჩემს დროს ძირითადად სოციალურ პროექტებს ვუთმობ, განსაკუთრებით ქალთა მხარდაჭერასა და პროფესიულ მენტორინგს. ვცდილობ გავუზიარო ჩემი გამოცდილება სხვებს და დავანახო, რომ ქალებს შეუძლიათ თამამად დასახონ მიზნები, მიაღწიონ ფინანსურ დამოუკიდებლობას, იყვნენ წარმატებული დედები, მეუღლეები და იმავდროულად მქონდეთ შემოსავლიანი პროფესია ან საკუთარი ბიზნესი. თუ ვინმეს დასჭირდება მხარდაჭერა, ყოველთვის მზად ვარ დავეხმარო.

ესაუბრა ეკა ხარაზი

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე, შევეხებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

რა როლი აქვთ საქართველოს ეკონომიკაში ემიგრანტებს

ხელისუფლების წარმომადგენლებს ფულადი გადარიცხვების მნიშვნელობა არ ესმით

2025 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ემიგრანტებს საზღვარგარეთ ხმის მიცემის უფლებას უზღუდავს. 2028 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე შეძლებენ ხმის მიცემას.

გასული წლის ნოემბერში ხელისუფლებამ ემიგრანტებს შეუტია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, დროებით ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა არჩევნებში მონაწილეობა ვეღარ მიიღონ. პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გამოაცხადა,რომ საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები აღარ გაიხსნება, ხოლო ვისაც არჩევნებში ხმის მიცემა სურს, კეთილი ინებოს და არჩევნების დროს საქართველოში ჩამოვიდნენო.

ამ განცხადების პასუხად, ხელისუფლების ოპონენტებმა კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება ემგირანტების გავლენაზე საქართველოს ეკონომიკაზე. მათ მიერ საზღვარგარეთიდან გადმორიცხული თანხები ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდ დოლარს შეადგენს, მშპ-ის 10%-ს უტოლდება და არცთუ მცირე დადებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის საქმეში. ამიტომაც, როგორც ემიგრანტები, ასევე ხელისუფლების ოპონენტები ემიგრანტებისთვის არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვას უსამართლობად მიიჩნევენ.

რატომ გადაწყვიტა „ოცნებამ“ ემიგრანტების დასჯა?

17 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ გააკეთა განცხადება და გამოაცხადა, რომ თუკი აქამდე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ხმის მიცემა შეეძლოთ საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებზე, ახლა ეს უფლება შეეზღუდებათ. იმისთვის, რომ ემიგრანტებმა არჩევნებში მონაწილეობა შეძლონ,ისინი საქართველოში უნდა ჩამოვიდნენ.

„ჩვენ ვხედავთ, რამდენად ძლიერი არის სურვილი ჩვენს არჩევნებში გარე ჩარევისა და, რა თქმა უნდა, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან უცხო ქვეყანაში, შეიძლება გახდნენ პოტენციური სამიზნე გავლენისა და ჩარევისა ქართულ არჩევნებში. ამას ჩვენ ვხედავდით სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე. მათ შორის ვხედავთ სხვადასხვა კრიტიკას ამ მხრივ სხვა ქვეყნებში“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

„ქართული ოცნების“ ლიდერმა ამგვარად კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას და საარჩევნო ცვლილებების მიზანიც, ამ „საფრთხის“ განეიტრალებაა.

„თუკი ადამიანს აქვს სურვილი, რომ იყოს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე, თავის მხრივ, როდესაც ადამიანი იმყოფება ქვეყნის გარეთ სხვადასხვა მიზეზის გამო, შეიძლება ადამიანი მოწყვეტილიც იყოს იმ პოლიტიკურ გარემოს,რომელიც მისი მოქალაქეობის ქვეყანაში არის. შეიძლება ორმაგი მოქალაქეობაც ჰქონდეს და პოლიტიკურად აღარ იყოს დაინტერესებული საქართველოსთან დაკავშირებით. ვისაც ინტერესი აქვს და აქვს სურვილი,რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღოს არჩევნების გზით, 4 წელიწადში ერთხელ უნდა დაბრუნდეს საკუთარ სამშობლოში და საქართველოში მისცეს ხმა“, – თქვა პაპუაშვილმა.

აქვე,არჩევნებში ემიგრანტების მიერ დაფიქსირებული შედეგებიც გავიხსენოთ. მაგალითად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს თუ ავიღებთ, ცესკოს მონაცემებით,საზღვარგარეთის უბნების უმრავლესობაში ოპოზიციამ გაიმარჯვა. მათ შორის,აშშ-ში მმართველმა პარტიამ მიიღო ხმების მხოლოდ 7%,დიდ ბრიტანეთში – 11.5%, გერმანიაში 5.3%, საბერძნეთში 22.2%, საფრანგეთში – 10.7% და ა.შ.

ემიგრანტების ასეთი პოლიტიკური დამოკიდებულება მიუღებელი აღმოჩნდა მმართველი ძალისთვის და ეკონომიკაში მათი დადებითი როლის დაკნინებაც ხელისუფლების პროპაგანდის ნაწილი გახდა. ხელისუფლების წარმომადგენლებს როდესაც შეახსენეს, ემიგრანტების როლი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია და მათთვის არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვა

გრაფიკი 1: ფულადი გზავნილები და მისი ფარდობითი წილი მშპ-ში



არასწორიაო, „ოცნების“ წარმომადგენლებმა ტყუილზე დაფუძნებული მორიგი პროპაგანდა გააჩაღეს.

საარჩევნო კოდექსში ცვლილების წარდგენისას, პარტია „გახარია საქართველოსთვის“ დეპუტატმა ვიკა ფილფანმა „ქართულ ოცნებას“ მიმართა, რომ ქვეყანა ემიგრანტების მიერ გადმორიცხულ თანხებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული და მათთვის არჩევნებში მონაწილეობის გამარტივებაზე უნდა მუშაობდეს ხელისუფლება.

„ემიგრანტების მიერ 2024 წელს გადმორიცხული თანხები 10 მლრდ ლარს შეადგენს, რაც ბიუჯეტის 40%-ია. ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა არჩევანის თავისუფლებაა... ბევრ ემიგრანტს უბანზე მისვლის საშუალება არ მიეცათ, იმის მაგივრად რომ ვზრუნავდეთ ქვეყნიდან წასულ ადამიანებზე, რომლებზეც ამ ქვეყნის ეკონომიკის ძალიან დიდი ნაწილი დგას, გაუმარტივდეთ ხმის მიცემა, ამის ნაცვლად ვიღებთ საპირისპირო გადაწყვეტილებას. წლობით ვერ ჩამოდიან ეს ადამიანები ქვეყანაში საკუთარი შვილების სანახავად, იმიტომ რომ მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა“, – განაცხადა ფილფანმა.

ფილფანს „ქართული ოცნების“ საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით მათიკაშვილმა გასცა პასუხი. მისი თქმით, ემიგრანტების გადმორიცხული ფული არა ბიუჯეტში, არამედ ოჯახებში ირიცხება.

„2024 წელს გადმოირიცხა 3.3 მლრდ დოლარი ჩვენი ემიგრაციისგან, რაც ძალიან დიდი და მნიშვნელოვანია თანხაა და ყველა ოჯახი მადლობელია და სწორად უყურებს ამ მნიშვნელოვან შენატანს საკუთარი ქვეყნის და საკუთარი ოჯახების კეთილდღეობაში, მაგრამ ეს უნდა გავიაზროთ, რომ ეს ფული ბიუჯეტში ხომ არ ჩარიცხულა, ეს ფული ჩაერიცხათ კონკრეტულ ადამიანებს, კონკრეტულ იმ მოქალაქეებს, ვისი ოჯახის წევრებიც უცხოეთში იმყოფებიან. ეს სავსებით გასაგებია ჩვენთვის, რამხელა შრომასთან, რამხელა ენერგიასთან არის დაკავშირებული ის, რომ იქ ნაღვაწის მნიშვნელოვან პროცენტს ეს ადამიანები საკუთარ ქვეყანაში გზავნიან“, – განაცხადა დავით მათიკაშვილი და იქვე დასძინა, რომ ემიგრანტებისთვის არჩევნების მონაწილეობის შეზღუდვის გადაწყვეტილება გამართლებულია.

დავით მათიკაშვილი საქართველოს პარლამენტის წევრი უკვე მესამედ არის. 2000 წლიდან 2016 წლამდე ბანკი „ქართუს“ თანამშრომელი იყო და სხვადასხვა პოზიციას იკავებდა, ამიტომ, ნაკლებადსავარაუდოა, ვერ ხვდებოდეს, რომ თითქოს საზღვარგარეთიდან მიღებული ფული ქვეყნის ეკონომიკაში არ მონაწილეობს და შესაბამისად, არ ახდენს გავლენას მთლიან ეკონომიკურ პროცესებზე. მის განცხადებას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. ახლა კი ვნახოთ, როგორია უცხოეთიდან თანხების გადმორიცხვის სტატისტიკა.

რამდენია გადმორიცხული თანხის მოცულობა და რა გავლენა აქვს ეკონომიკაზე?

„ქართულმა ოცნებამ“ რომ საკუთარი მიზნის მისაღწევად – ხელისუფლების პოლიტიკის მოწინააღმდეგე ემიგრანტების საარჩევნო პროცესიდან ჩამოშორება გაამართლოს, ამისთვის ემიგრანტების მხრიდან ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენის გაუბრალოება გადაწყვიტა. თუმცა, ვნახოთ როგორია სტატისტიკა.

2024 წელს საზღვარგარეთიდან ფულადმა

გზავნილებმა 3.4 მლრდ დოლარს მიაღწია. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამონაკლისებს, გზავნილების მოცულობა წლიდან წლამდე იზრდება. საკმაოდ მაღალია და დაახლოებით 10%-ს შეადგენს მისი ფარდობითი წილი მშპ-სთან მიმართებით (გზავნილები მშპ-ის ფორმირებაში პირდაპირ არ მონაწილეობს, თუმცა მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოხმარებასა და ინვესტიციებზე).

ემიგრანტთა ზუსტი ოდენობა უცნობია,თუმცა,რადგან მიგრაციული სალდო ყოველწლიურად უარყოფითია,მათი რიცხვი მზარდია. ასევე უცნობია ზუსტი სტატისტიკა, თუ რამდენი ოჯახი იღებს გზავნილებს სისტემატურად. ემიგრანტთა რიცხვისა და გზავნილების მოცულობის გათვალისწინებით, ასეთი ოჯახების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ოჯახების ნაწილისთვის გზავნილები შემოსავლის ძირითადი და ნაწილისთვის ერთადერთი წყაროც არის.

აშშ დოლარში გადაყვანით, 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 9.4 მლრდ-ს შეადგენს, 2025 წლის – 9.8 მლრდ-ს. სახელმწიფო ბიუჯეტი პირდაპირ გზავნილებით არ ივსება, მაგრამ გზავნილებს ბიუჯეტზე მაინც აქვს ირიბი გავლენა. სავაჭრო ობიექტში რაიმეს შეძენისას მომხმარებელი დღგ-ს და ზოგ შემთხვევაში აქციზსაც იხდის.

არის თუ არა მნიშვნელოვანი მოცულობა გადმორიცხული თანხების წილად და რა ფარდობითი წილი აქვს მშპ-ში, ასახულია დიაგრამაზე.

ზუსტი მონაცემი იმის შესახებ, თუ რამდენი ხმის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე იმყოფება ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ცნობილი არაა. „ქართული ოცნების“ საგარეო საქმეთა სამინისტროს 2025 წლის მარტის ინფორმაციით, არაოფიციალური მონაცემებით, საზღვარგარეთ 1.5 მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს.

2025 წელს,იანვარ-ოქტომბერში,საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობამ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკით დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი კი,ქვეყნის მშპ-სთან მიმართებაში თითქმის 10%-ს უტოლდება.

ექსპერტების შეფასებები

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებებს, რომლებიც ამბობენ, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის შეზღუდვა სწორი გადაწყვეტილებაა, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე, „ჯეოქეისის“ მრჩეველთა საბჭოს წევრი ნიკა ალავიძე ბლოგით გამოეხმაურა, საიდანაც რამდენიმე ფრაგმენტს მოვიყვანთ.

„დავაზუსტოთ საბაზისო ტერმინები:

მშპ (GDP) – ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში შექმნილი ყველა პროდუქტისა და მომსახურების ღირებულება.

საქართველოს ნომინალური მშპ 2024: 92 მლრდ ლარი (დაახლოებით, $33.8 მილიარდი)

2025 პროგნოზი: $36.65 მლრდ (ინფლაციით დაუკორექტირებელი, მიმდინარე ფასებით).

რემიტენსები [ფულადი გზავნილები] – ემიგრანტების მიერ ქვეყანაში გამოგზავნილი ფული, რომელიც მშპ-ში სრულად აისახება და ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელია.

სახელმწიფო ბიუჯეტი – ქვეყნის მთავარი ფინანსური გეგმა, სადაც გროვდება ფული (გადასახადები და სხვა შემოსავლები) და რაც (უნდა) იხარჯება(იხარჯებოდეს) ქვეყნის კეთილდღეობისთვის (ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დაცვა, ინფრასტრუქტურა, თავდაცვა და ა.შ.).

ბიუჯეტის მიზანია, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა, ეკონომიკური განვითარება და მოქალაქეებისთვის საჭირო სერვისების უზრუნველყოფა“.

როგორც ალავიძე წერს, იმის გასაგებად, რომ გაიგო რომელი ქვეყანა როგორ ცხოვრობს, მისი ბიუჯეტის, შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურა უნდა შეამოწმო.

„რატომ არის ეს განცხადება ეკონომიკურად სახიფათო და დასაგმობი და თქვენი ყურადღების ღირსი?

რემიტენსები არის ეკონომიკის ჟანგბადი, რომლის გარეშე განვითარებადი ან დაბალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკა უბრალოდ ჩაიფერფლება.

სამწუხაროდ, სწორედ ამ ფულზე დგას ათიათასობით ოჯახი,ბიზნესის დიდი ნაწილი და თვითონ სახელმწიფოს ბიუჯეტიც“.

რაც შეეხება მათიკაშვილის განცხადებას, „ეს ფული ბიუჯეტში არ ჩარიცხულაო“, ალავიძე ასე პასუხობს:

„დიახ, პირდაპირ არა, მაგრამ მაინც ჩაირიცხება, პირდაპირ ბიუჯეტში. ზუსტად იქ, სადაც არაკეთილსინდისიერი საჯარო მოხელეები უმოწყალოდ აფათურებენ ხელს.

დიახ, ეს ფული ხაზინაში პირდაპირ არ შედის, მაგრამ მაინც შედის. ეს როგორ? აი ასე,გადასახადების სახით. ზუსტად იმ კანონზომიერებით, როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ: „სიკვდილს და გადასახადებს ვერავინ გაექცევაო“.

ანუ, ეს თანხები ჯეროვნად აისახება ხაზინაში სხვადასხვა გადასახადების სახით, როგორიცაა:

- *დღგ;*
- *აქციზი;*
- *მოგების და საშემოსავლო გადასახადი;*
- *საბანკო პროცენტები და სხვა საკომისიოები;*
- *უძრავი ქონების შეძენა;*
- *განათლება, როგორც დაწყებითი და საშუალო, ისე უმაღლესი;*
- *უამრავი სამომხმარებლო დანახარჯი;*
- *რესტორნები და ჰორეკა, მედიცინა და ა.შ. დაუსრულებლად...*

სადაც იხარჯება ემიგრანტის მიერ გამოგზავნილი 1 ლარი, იქიდან მინიმუმ მეოთხედი პირდაპირ ბიუჯეტში მიდის.

დიახ, და ეს ჯადოქრობა არაა, ეს საქართველოში საგადასახადო შემოსავლების წილის „დამსახურებაა“ მშპ-თან მიმართებით, რაც OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) მიხედვით, 2023 წელს 24.4%-ს შეადგენდა.

2024 წელსაც ეს ციფრი არ შეცვლილა და 24-25% ფარგლებში მერყეობს.

ანუთუ 2024-ში რემიტენსების/ფულადი გზავნილების სახით ქვეყანაში შემოვიდა 3.36 მილიარდი დოლარი, აქედან, დაახლოებით $800 მილიონი პირდაპირ აისახა ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების სახით“, – წერს ალავიძე.

როგორც ალავიძე აღნიშნავს, განვითარებად ეკონომიკებში, რემიტენსები არის ეროვნული ვალუტის სტაბილურობის მთავარი ბუფერი. ამ ფულის გარეშე ლარი უბრალოდ ვერ იდგება „ღირსებით, ორ ფეხზე“.

„უნდა გვესმოდეს, რომ ემიგრანტები საკუთარი ოჯახების სპონსორები კი არა, ქვეყნის მფარველი ანგელოზები არიან“, – ამბობს მინისტრის ყოფილი მოადგილე და იქვე აღნიშნავს,რომ მათ მიერ ჩარიცხული თანხები ჯერ მათ ოჯახებს, შემდეგ ეკონომიკას და ბოლოს ბიუჯეტს აძლევს სიცოცხლეს.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვასა და მაკრო ეკონომიკაზე მათი „უნებური როლის“ შესახებ ეკონომისტმა ბესო ნამჩავაძემ რადიო „კომერსანტის“ ეთერში ისაუბრა.

„ზოგადად, ფულადი გზავნილები, საქართველოს შემოსავლების ერთ-ერთი უდიდესი წყაროა და ტურიზმის შემდეგ მეორე ადგილზეა. წელს 3.5 მილიონ დოლარს მიაღწევს, საიდანაც 99% ქართველი ემიგრანტების გამოგზავნილი თანხებია. ეს არის ასობით ათასი ქართული ოჯახის,ალბათ,ერთადერთი საარსებო წყარო. სწორედ ამ ხალხზე დგას არა მხოლოდ მათი ოჯახები, არამედ ქვეყნის მაკრო ეკონომიკაც. შესაძლოა, ვინც ფულს გზავნის, მაკრო ეკონომიკაზე არც ფიქრობდეს, მაგრამ უნდათ თუ არ უნდათ, ეკონომიკაზე გავლენას მაინც ახდენენ“, – აცხადებს ბესო ნამჩავაძე.

მისივე თქმით, რომ არა ემიგრანტების ფულადი გზავნილები,დღეს 1 დოლარი 2.7 ლარი ვერ ეღირებოდა და შესაძლოა, 4-5 ლარი ან მეტიც ღირდეს.

„იდეალური იქნებოდა, საქართველოში არსებობდეს სამუშაო ადგილები და ამ ხალხს აქედან წასვლა არ სჭირდებოდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთია რეალობა. ქვეყანაში ინვესტიციები შეიძლება შემოდიოდეს, ბევრი რაღაც ხდებოდეს, მაგრამ ამან უბრალო მოქალაქის ოჯახამდე არ მიაღწიოს. ემიგრანტების ეს გზავნილები კი პირდაპირ საშუალო და ღარიბ ოჯახებამდე მიდის“, – განაცხადა ბესო ნამჩავაძემ.

ასეთია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების და მათი მორიგი გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეების პოზიციები. როგორც სხვა უამრავ შემთხვევაში, მმართველმა ძალამ არც ახლა გაითვალისწინა ოპონენტების აზრი. ამიტომაც, თუკი მიღებული საკანონმდებლო გადაწყვეტილება არ შეიცვალა, 2028 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე იქნება შესაძლებელი, რაც ფაქტობრივად, ემიგრაციის უმეტესი ნაწილის არჩევნებიდან „გამოთიშვას“ ნიშნავს...

თემურ იობაშვილი

რატომ გაიზარდა იპოთეკური სესხები რაოდენობა – საბანკო ასოციაციის შეფასება

საბანკო ასოციაციაში აცხადებენ, რომ იპოთეკური სესხების ზრდის ტემპის დაჩქარება შესაძლოა, ეროვნული ბანკის მიერ დეველოპერული სექტორისთვის რეგულაციების შემსუბუქებას უკავშირდებოდეს.

საქმე ის არის, რომ ნოემბერში საქართველოში 4458 ახალი იპოთეკური სესხი გაიცა, რომელთა ჯამური ღირებულება 451 მილიონი ლარი იყო. რაოდენობრივად იპოთეკური სესხების მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6%-ით, ხოლო გაცემული კრედიტების ღირებულება 17%-ით გაიზარდა. ეს კი იმ ფონზე, როდესაც ახალი იპოთეკური სესხების რაოდენობა სექტემბრამდე ძირითადად შემცირების ტენდენციას აჩვენებდა.

როგორც ასოციაციის პრეზიდენტმა, ალექსანდრე ძნელაძემ განაცხადა, უფრო ნათლად მომდევნო პერიოდში გამოჩნდება, თუ რა გავლენა ექნება ბაზარზე რეგულაციების შემსუბუქებას.

***„როგორც იცით, უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ეროვნულ ბანკთან მიმდინარეობს მოლაპარაკება იპოთეკურ სესხებთან მიმართებით და დეველოპერული კომპანიების დაფინანსების ნაწილში რეგულაციების გარკვეულ შემსუბუქებაზე. ამ რეკომენდაციების განხილვა ხდებოდა როგორც საფინანსო სექტორის მხრიდან, ასევე დეველოპერული სექტორის მხრიდან. ცვლილება, რომელიც ეროვნულმა ბანკმა მითითების სახით მისცა კომერციულ ბანკებს, არის ტექნიკური შერბილება მოთხოვნების ნაწილში. აქ არის საუბარი თანამონაწილეობის თანხის შემცირებაზე, მოთხოვნების ნაწილში დეველოპერული კომპანიების მხარეს, რა მშენებლობა ჩაითვლება დასრულებულად და რა შემთხვევაში შეეძლება დეველოპერულ კომპანიას, რომ აითვისოს ესა თუ ის თანხა. ამ თვალსაზრისით, გარკვეული შემსუბუქება უკვე გაკეთებული არის და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ გარკვეულწილად იმოქმედა კიდევაც ამან იპოთეკური სესხების გააქტიურებაზე“,* – აღნიშნა ძნელაძემ.

ცნობისთვის, ეროვნული ბანკმა უძრავი ქონების სექტორში საკრედიტო წესები გაამარტივა, რაც დეველოპერების შიდა განვადებების პრაქტიკის შემცირებას და იპოთეკური სესხების ხელმისაწვდომობის ზრდას ისახავს მიზნად. სებ-ში აცხადებენ, რომ ცვლილებები პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტებს გააძლიერებს და მომხმარებელთა უფლებებს უკეთ დაიცავს.

აზრთა სხვადასხვაობა კომუნალური ტარიფების გამო

გაბედავს თუ არა სემეკი 3 თვის შემდეგ ელექტროენერგიის გაძვირებას?

ელექტროენერგიის ტარიფი, რომელიც 2026 წლის 1 იანვრიდან უნდა შეცვლილიყო, დროებით შენარჩუნდა, მაგრამ ვნებათაღელვა მაინც იგრძნობა. მოლოდინია, რომ 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ელექტროენერგიის გადასახადი შესაძლოა გაიზარდოს. ჯერჯერობით საქართველოს მთავრობა კომუნალური გადასახადების გაძვირების წინააღმდეგია. როგორც ცნობილია, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ ფაქტობრივად მიღებული გადაწყვეტილება ბოლო მომენტში შეიცვალა და მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ტარიფი უცვლელად შენარჩუნდა.

რა მოხდება 3 თვის შემდეგ, დაკორექტირდება თუ არა ტარიფი, ამ ეტაპზე ვერავინ საუბრობს. აშკარაა, რომ სემეკი კომპანიების მოთხოვნას ეთანხმება. ამ მოსაზრებას ამყარებს სექტორში ინვესტიციების ზრდის აუცილებლობა,რაც გადასახადის მატების წინაპირობად მიიჩნეოდა. ენერგეტიკოსების ნაწილიც ამავე მოსაზრებას იზიარებს და დაუფარავად აცხადებს, რომ დარგი რეალურად ვერ განვითარდება, თუკი სათანადო ინვესტიციები არ განხორციელდება,არსებული ტარიფი კი ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

მიუხედავად ამ მოცემულობისა, მთავრობა მოსახლეობის მხარეს დადგა და პრემიერის ერთი განცხადებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ სემეკს გადაწყვეტილება შეეცვალა. რაც არ უნდა იყოს, ერთი წლის შემდეგ საპარლამენტო არჩევნებისთვის წინასწარი მომზადება იწყება და მოსახლეობის გაღიზიანებას აქედნვე ერიდებიან. ამისთვის კომუნალური გადასახადების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა სერიოზული გამოწვევებია სამომხმარებლოს ფასებთან და ინფლაციასთან დაკავშირებით.

საკითხს უფრო დეტალურად რომ მივყვეთ, 2025 წლის 17 დეკემბერს, სემეკის თავმჯდომარემ დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს პირდაპირ განუცხადა, რომ მიმდინარეობდა ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ტარიფების გადახედვა. მან დააანონსა, რომ დენის გადასახადი მოიმატებდა, ხოლო გაზისა – „ძალიან მინიმალურად“. კონკრეტული ციფრი არ დასახელებულა.

„ყოველდღიურ რეჟიმში მარეგულირებელი კომისია სწორედ ამ ეტაპზე მუშაობს ისეთ საკითხებზე,როგორიც არის აუდიტის დასრულება კომპანიებისა, როგორიცაა ახალი საინვესტიციო პროექტების გავლენა, ძველი პროექტების ხარჯების დაზუსტება და სწორედ ამაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ტარიფის დადგენა“, – აცხადებდა 1 თვის წინ დავით ნარმანია.

როცა სემეკის სხდომა მოახლოვდა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ პირდაპირ ტელეეთერის საშუალებით დაუფარავად მიანიშნა, რომ ქვეყანაში ტარიფები უნდა შენარჩუნებულიყო.

„ზოგადად ფასებს, ტარიფებს გაზსა და ელექტროენერგიაზე განაპირობებს, მათ შორის, გლობალური ფასებიც. ჩვენ უნდა ჩავხედოთ ყველაფერს. სემეკი მიიღებს გადაწყვეტილებას როგორც გაზთან, ასევე ელექტროენერგიასთან დაკავშირებით. იმედი გვაქვს, მოვახერხებთ ტარიფების შენარჩუნებას, დანარჩენს უკვე გადაწყვეტს კონსულტაციები. ბუნებრივ აირზე იყო რისკი ტარიფის გაზრდის, მაგრამ კონკრეტული არასწორი პრაქტიკის აღმოფხვრის შედეგად, ძალიან მაღალი ალბათობით, მოვახერხებთ ტარიფის შენარჩუნებას. გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო ფასები გაიზარდა გაზზე, ჩვენთანაც ტარიფის ზრდის რისკი იყო, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ აღმოვფხვერით ამ სფეროში არასწორი პრაქტიკები, გაზის მიმართულებით შევძლებთ ტარიფის შენარჩუნებას.

საერთაშორისო ტარიფები არის გაზრდილი,ამ ფონზე ჩვენ შიდა მექანიზმებით შევეცდებით, მაქსიმალურად შევუნარჩუნოთ ის ტარიფები,რომლებიც არის როგორც გაზთან, ასევე ელექტროენერგიასთან მიმართებით“, – აღნიშნა დეკემბრის ბოლო დღეებში ირაკლი კობახიძემ.

მისივე ინფორმაციით, მარტო პროექტების ოპტიმიზაციის შედეგად 349 მლნ ლარი დაიზოგა. მაგალითად, კადრების ოპტიმიზაციის შედეგად და სხვა მიმართულებებით, წლიურ ჭრილში იზოგება 25 მლნ ლარი. ოთხ წელიწადში ეს არის 100 მლნ და ესეც ჩაბრუნდება სისტემის განვითარებაში, ეკონომიკის განვითარებას მოხმარდება.

პრემიერის ღია განცხადება გადამწყვეტი აღმოჩნდა. 29 დეკემბერს, სემეკის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ელექტროენერგიის ტარიფი 3 თვის განმავლობაში შენარჩუნდა, ხოლო ბუნებრივი აირის გაძვირების საკითხი დღის წესრიგიდან საერთოდ მოიხსნა და მას მხოლოდ 1 წლის შემდეგ დაუბრუნდებიან.

სემეკის თავმჯდომარის – დავით ნარმანიას ინფორმაციით, გადაწყვეტილება რამდენიმე ძირითადი ფაქტორითაა იყო განპირობებული და პირველ რიგში, ეს სანვესტიციო ვალდებულებებს ეხება. სემეკის თავმჯდომარემ არ გამორიცხა, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ 5-წლიან საინვესტიციო გეგმას გადახედოს და დააკორექტიროს.

ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, რა რესურსი არსებობს, რომ 3 თვის შემდეგ ტარიფი შენარჩუნდეს.

სავარაუდოა, რომ ინვესტიციების მოცულობას შეუმცირებენ კომპანიებს ან შეღავათით მოსარგებლე კომპანიებისთვის ელექტროენერგიის გადასახადს გადახედავენ და მათ უფრო მაღალ ტარიფს დაუწესებენ, რასაც სპეციალისტების ნაწილი ეთანხმება.

ენერგეტიკოსი გია არაბიძე ფიქრობს,რომ მთავრობას, სავარაუდოდ, მოუწევს ამ ნაბიჯის გადადგმა, თუმცა იქვე საუბრობს იმაზეც,რომ კომუნალური გადასახადის ამ დონეზე შენარჩუნება არასწორი გადაწყვეტილებაა, რაც სექტორის განვითარებას ხელს შეუშლის.

„ბოლო დრომდე მოლოდინი იყო, რომ ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების მიერ აღებული 2-მილიარდიანი ინვესტიციების ფონზე, ტარიფების კორექტირება მოხდებოდა. საპირისპირო გადაწყვეტილება იქნა მიღებული,რასაც არ ვეთანხმები. ვთვლი, რომ ფასის მატება დარგის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. ცოტა დაგვიანებულიც კი არის. ვფიქრობ,ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმებაც არ იყო სწორი და 2013 წელს ტარიფების შემცირებაც არ იყო მართებული, რადგან ამან დარგს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ასევე არ შეიძლებოდა 2024 წელს ტარიფების შემცირება.

მე ახლა გესაუბრებით როგორც დარგის სპეციალისტი და არა მომხმარებელი. დარგში ნამდვილად რთული სიტუაციაა.

ვფიქრობ, ერთ-ერთი გამოსავალია, რომ შეღავათის მოსარგებლე კომპანიებს დენის ფიქსირებული გადასახადი დაუწესდეთ. ესენია კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული კომპანიები და სხვებიც, რომლებიც თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში საქმიანობენ. მათთვის გადასახადის დაკისრება ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებს გარკვეულ შეღავათს მისცემს, ალბათ, მთავრობას ამ ნაბიჯის გადადგმა მოუწევს“, – განაცხადა გია არაბიძემ ჩვენთან საუბრისას.

ენერგეტიკოსმა ყურადღება სექტორში დაგეგმილ ინვესტიციებზეც გაამახვილა და მის აუცილებლობაზე ისაუბრა:

„სამი კომპონენტი არსებობს. ერთ-ერთი არის ის,რომ იმპორტირებული ენერგია,რომელიც ჩვენ შემოგვქონდა – გაძვირდა. შესაბამისად,იძულებული გავხდით სრული დატვირთვით ჩაგვერთო თბოელექტროსადგურები, რომლებიც ასევე იმპორტირებული ენერგიაა, ვინაიდან იქ ელექტროენერგია ბუნებრივი აირის ხარჯზე გამომუშავდება,ეს კი ელექტროენერგიის ფასს ზრდის.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია კაპიტალდაბანდება ჩვენს დარგში, მათ შორის, როგორც ადგილობრივი, ისე ახალი სადგურების მშენებლობისთვის შემოსული ინვესტიციები. სერიოზულად არის გადასახედი ენერგეტიკული სისტემის ინფრასტრუქტურა.

არის კიდევ ერთი კომპონენტი – როგორც იცით, უკვე ინტენსიურად დაიწყეს განახლებადი ენერგიის წყაროებთან დაკავშირებული მშენებლობის საკითხი, მათ შორის,მზის,ქარის და ა.შ. განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის ფასი კი ჯერჯერობით მაღალია და გარდა ამისა, ახალი სადგურების ნაწარმოები ელექტროენერგია, რომლებიც ექსპლუატაციაში შედის, საკმაოდ ძვირია.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კომუნალური ტარიფის ზრდა აუცილებელია. თუნდაც მოხდეს უმნიშვნელო კორექტირება 0,5-1 თეთრის ფარგლებში, რაც კომპანიებს მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას მისცემს. სხვა საკითხია, როგორ ტვირთად დააწვება ეს გადაწყვეტილება მოსახლეობას. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც ტარიფის მატებისგან სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დაიცავს“, – განაცხადა გია არაბიძემ.

ენერგეტიკოსებს შორის არის განსხვავებული მოსაზრებაც. მათი ნაწილი გადასახადის გაზრდის წინააღმდეგია, რადგან კომპანიებს აქვთ საკმარისი მოგება,რაც ინვესტირების საშუალებას იძლევა.

ენერგეტიკოს თემურ ჭიჭინაძის შეფასებით,გაძვირება დიდ ნეგატიურ შედეგს მოიტანს,ვინაიდან გადასახადის ზრდა წარმოებული პროდუქციის ღირებულებას გაზრდის, ამავე დროს იმოქმედებს ინფლაციაზე და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას გააუარესებს.

„ტარიფის შემცირების ყველა წინაპირობაა, მაგრამ სემეკი ყოველთვის იყო და რჩება გამანაწილებელი კომპანიების ინტერესების გამტარებლად და ამ ქმედებით მოსახლეობა ზარალდება. შეიძლება, არ გაიაფდეს, მაგრამ ზრდა გაუმართლებლად მიმაჩნია, აბსოლუტურად არ ჯდება არცერთ კანონზომიერებაში. თუ გადახედავთ ძველ ხელშეკრულებებს, კომპანიებს უამრავი შეუსრულებელი ვალდებულებები აქვთ. არსებული არგუმენტები, რაც ბოლო დროს სემეკისგან მოვისმინეთ, მიუღებელი მგონია და ვერ გავიზიარებ. ასეთი მიდგომა საბოლოოდ მოსახლეობის მდგომარეობაზე მკვეთრად ნეგატიურ გავლენას ახდენს და საგადასახადო ტვირთს ამძიმებს. ეს კი ცუდად იმოქმედებს ინფლაციაზე, ვინაიდან გაძვირდება ყველა იმ პროდუქტის ფასი, რომლის თვითღირებულების კომპონენტში დენის გადასახადი მონაწილეობს.

კარგია, რომ მთავრობამ მკაცრი პოზიცია აჩვენა. მე რომ მკითხოთ, პრემიერის ჩარევის საჭიროება არც უნდა იდგეს. ვერ გეტყვით, რა მოხდება 3 თვის შემდეგ, არ მაქვს ინფორმაცია და ვარაუდის დონეზე არ მინდა ვიმსჯელო. არ გამოვრიცხავ, „ფსიქოლოგიური“ დატვირთვა მიეცეს და წინასწარ მოამზადონ საზოგადოება იმისთვის, რომ გადასახადი გაიზარდოს. ამ დროს ნამდვილად არ არის ამის საჭიროება. ესენი ტრანსნაციონალური კომპანიები არიან. თუ გაუვათ მატება, ხომ კარგი, თუ არადა დარჩებიან ისე, როგორც არიან. ენერგოკომპანიებს იმხელა ვალდებულებები აქვთ სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი ხელშეკრულებებით, მისი გადახედვა მისცემს საშუალებას მარეგულირებელს, რომ დენის

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!

2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფო“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

ტარიფების გაზრდაზე არც კი ჰქონდეს საუბარი. ახლახან გაცხადებული გაძვირება მეტი მოგების მიზანს ემსახურებოდა. სხვა ახსნა არ აქვს“, – განაცხადა თემურ ჭიჭინაძემ ჩვენთან საუბრისას.

შეგახსენებთ,რომ ზუსტად 2 წლის წინ,საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის გადასახადი 1 კვტ/სთ-ზე 3 თეთრით შემცირდა.

ამ დროისთვის თბილისში მცხოვრები აბონენტები, რომლებიც ყოველთვიურად 0-დან 101 კილოვატამდე ელექტროენერგიას მოიხმარენ, ერთ კილოვატში 15,041 თეთრს იხდიან. 101-დან 301 კილოვატამდე მომხმარებლებისთვის – 19,053 თეთრია, ხოლო აბონენტებისთვის, რომლებიც 301 კილოვატზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ, 23,537-თეთრიანი ტარიფი მოქმედებს.

დაახლოებით იგივე ტარიფები მოქმედებს რეგიონებში. „ენერგო-პროს“ აბონენტებისთვის 0-დან 101 კილოვატამდე ელექტროენერგია 14,731 თეთრი ღირს,101-დან 301 კილოვატამდე მომხმარებლებისთვის – 18,708 თეთრი, ხოლო ისინი, ვინც 301 კილოვატზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, 23,227 თეთრს იხდის.

რაც შეეხება რეგიონის მეზობელ ქვეყნებს. ირკვევა, რომ სომხეთში 200 კვტ/სთ-მდე მომხმარებლებისთვის ტარიფი 12 ცენტია (32.4 თეთრი), 200-დან 400 კვტ/სთ-მდე მომხმარებლებისთვის – 12,5 ცენტი (33.75 თეთრი), ხოლო 400 კვტ-ზე მეტი მოხმარებისთვის აბონენტები 13,8 ცენტს (37.26 თეთრი) იხდიან. აზერბაიჯანში კი გასაშუალოებული ტარიფი მოქმედებს და 1 კვტ/სთ 15.55 თეთრი ღირს.

ამდენად, ელექტროენერგიის გადასახადთან დაკავშირებით კვლავ დიდი ვნებათაღელვაა. ჯერ კიდევ გაურკვეველია, 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ტარიფს მოუმატებენ, თუ არსებულ დონეზე დატოვებენ. მთავარი გამოწვევა მაინც ინვესტიციებია, რის ვალდებულებაც კომპანიებს გააჩნიათ სწორედ იმისთვის, რომ იმპორტზე დამოკიდებულება შემცირდეს და წარმოების მასშტაბი გაიზარდოს. მეორე მხარეს კი მოსახლეობაა, რომლისთვისაც ნებისმიერი გაძვირება სულ უფრო ძნელი ასატანი ხდება.

ლევან ნატროშვილი

მთავრობამ სურსათის გასაიაფებლად სპეციალური კომისია ჩამოაყალიბა

როგორია ქსელური სუპერმარკეტების შემოსავალი, რომლებსაც პროდუქტების სიძვირეში ადანაშაულებენ

5 მინისტრი, სუს-ის ხელმძღვანელი, მთავრობის ადმინისტრაციისა და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარეები – სურსათის ფასებთან „საბრძოლველად" საგანგებოდ შექმნილი საკოორდინაციო კომისიის წევრები უკვე დამტკიცებულია. თავად კომისია პარლამენტის პირველივე საგაზაფხულო სესიაზე უნდა დამტკიცდეს. დეკემბერში, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ვიდეო-მიმართვა გაავრცელა, სადაც აღნიშნა, რომ ევროპის ქვეყნებში ერთი და იგივე ბრენდის ქსელებში, ერთი და იგივე სახის პროდუქტი გაცილებით იაფია, ვიდრე საქართველოში. ეჭვი გამოითქვა, ამ ბაზარზე სავარაუდო, კარტელური გარიგებების არსებობაზე. პრემიერი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ სპეციალურ კომისიას შექმნიდა და სურსათის ბაზარზე არსებულ „ანომალიური" ფასების საკითხს შეისწავლიდა. ახლა საინტერესოა, რას მოიკვლევს კომისია და მათი დასკვნები შეაჩერებს თუ არა პროდუქტებზე ფასების არანორმალურ ზრდას.

2025 წლის 30 დეკემბერს გამოიცა მთავრობის განკარგულება, სადაც სასურსათო პროდუქციის ფასებთან დაკავშირებით საკოორდინაციო კომისიის შემადგენლობა გაიწერა. კომისიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს. კომისიის შემადგენლობაში არიან: ეკონომიკის მინისტრი მარიამ ქვრივიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, ჯანდაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მამუკა მდინარაძე, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე.

„მაქსიმალურად შევეცდებით პროდუქტებზე ფასების შემცირებას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. ჩვენთვის ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, იქიდან გამომდინარე, რომ მაღალი ფასები აწუხებს ჩვენს საზოგადოებას", – განაცხადა ირაკლი კობახიძემ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრემიერმა ეჭვი გამოთქვა, რომ შეიძლება, ამ სექტორში კარტელური გარიგებებიც არსებობდეს.

ირაკლი კობახიძის ანალიზით, ქართულ და ევროპულ ფასებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია. მაგალითად, საქართველოსა და საფრანგეთში ერთი და იგივე საერთაშორისო ბრენდის ქსელურ მარკეტებს შორის ფასების შედარებისას კონკრეტული მარკის მზესუმზირის ზეთი 34%-ით, მაკარონი 97%-ით, ბრინჯი 180%-ით, კარაქი 30%-ით, ყველი 42%-ით, ხოლო შოკოლადი 47%-ით ძვირია. კობახიძის თქმით, ფასებს შორის სხვაობას განაპირობებს სადისტრიბუციო კომპანიებისა და მარკეტების მაღალი ფასნამატი, რომელიც საქართველოს საზღვრიდან დახლამდე საშუალოდ 86%-ს შეადგენს.

„პროდუქტზე ფასნამატი და მიმწოდებლისთვის დაკისრებული ფინანსური ტვირთი იმდენად დიდია, რომ ქართველი მწარმოებლებისთვის ხშირად უფრო მომგებიანია, საკუთარი პროდუქცია არა ქართულ მარკეტებში გაყიდონ, არამედ საზღვარგარეთ ექსპორტზე გაიტანონ. ამიტომ არის, რომ ხშირად ქართულ მარკეტებში მრავლად ნახავთ ისეთ უცხოურ პროდუქტს, რომელიც ქართულ კომპანიებს საზღვარგარეთ გააქვთ. ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან სახელმწიფოს ინტერესი, პირიქით, ქართული წარმოების წახალისება და იმპორტის მაქსიმალურად შემცირებაა", – აღნიშნა პრემიერმა.

რაც შეეხება კარტელურ გარიგებებს, ბაზრის ამ მიმართულებით კონტროლი კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებაა. კონკურენციის სააგენტომ, 2024 წელს ბაზარი მოიკვლია და კარტელური გარიგებები ვერ აღმოაჩინა.

„ბაზარზე არ ფიქსირდება დომინანტური მდგომარეობის მქონე კომპანია და არ არსებობს კომპანიათა ჯგუფი, რომელიც აკმაყოფილებს ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის არსებობისთვის აუცილებელ ერთ-ერთ პირობას საბაზრო წილების სახით. შესაბამისად არ არსებობს საფუძველი მიმდინარე მონიტორინგის შედეგად სააგენტომ დაიწყოს ბაზრის შესწავლა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტებზე – დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება", – აღნიშნულია სააგენტოს ანგარიშში. თუმცა მასში ასევე ვკითხულობთ, რომ ბაზრის საცალო დონეზე, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს რითეილის მიერ დისტრიბუტორებისთვის დაწესებული სხვადასხვა ტიპის არაპირდაპირი გადასახადები, როგორიცაა ქეშბექი, ახალ მაღაზიაში შესვლის გადასახადი, თარო, მარკეტინგი და ა.შ. სიდიდის გათვალისწინებით, საცალო ფასზე ყველაზე მეტად მოქმედებს ქეშბექი, რომელსაც დისტრიბუტორი იხდის მიწოდებული პროდუქციის ფასიდან, შესაბამისი პროცენტული ოდენობით.

„კონკურენცია საცალო ქსელებს შორის არსებობს, თუმცა ის ძირითადად გამოხატულია მათი კუთვნილი მაღაზიების სიმრავლით. ქსელების სიმრავლე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ყოველ ახალ

დამატებით მაღაზიაში პროდუქციის განთავსებისთვის დისტრიბუტორს ეკისრება დამატებითი – ქსელის ახალ მაღაზიაში შესვლის გადასახადი. შესაბამისად, ბაზრის საცალო დონეზე მოქმედი კომპანიისთვის, ქსელის ახალი მაღაზიის გახსნის ფინანსური ბარიერი დაბალია და ეს ტვირთი მეტწილად გადადის პროდუქციის დისტრიბუტორზე, შედეგად კი მომხმარებელზე“, – აღნიშნულია ანგარიშში.

სასურსათო კომპანიების ფინანსური მონაცემები

კომისიის შექმნა და ბაზრის თავიდან შესწავლა რამე გავლენას მოახდენს თუ არა სურსათის გაზრდილ ფასებზე, ამას რამდენიმე თვეში ვნახავთ. მანამდე საინტერესოა, რა ფინანსური შედეგები აქვთ კომპანიებს, რომლებიც მომხმარებლებს ძვირადღირებული პროდუქტებით ამარაგებენ. ამ კომპანიების დიდმა ნაწილმა 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებები უკვე გამოაქვეყნა. სხვათა შორის ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კომპანიების ძირითადი მიზანი ქსელის მაქსიმალური გაზრდაა, როგორც ჩანს, სამომავლოდ შემოსავლებისა და შესაბამისად მოგების გაზრდის მიზნით.

შპს „აგროჰაბი“ (ს/ნ 404502098):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „ეკოვის საქართველო აუდიტმა“ ჩაატარა. „აგროჰაბი“ 2015 წლის 9 ოქტომბერს დარეგისტრირდა და იმ პერიოდში საქმიანობდა, როგორც შპს „ფერმა მარკეტი“, ხოლო 2016 წლის 21 ნოემბრიდან ოპერირებს „აგროჰაბის“ სახელით. მშობელი კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიპერმარკეტების და სუპერმარკეტების საქმიანობა საქართველოს მასშტაბით. კომპანია თავის მომხმარებელს სთავაზობს საკუთარი წარმოების მზა კერძებს და საკონდიტრო ნაწარმს. „აგროჰაბი“ წარმოდგენილია თბილისსა და ბათუმში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „აგროჰაბს“ თბილისში 7, ხოლო ბათუმში ერთი ჰიპერმარკეტი ჰქონდა. კომპანიის 100% წილის მფლობელია აკაკი ახვლედიანი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობს ა(ა)იპ „განვითარებისა და მხარდაჭერის ფონდი – აგროჰაბის“ 100%-იან წილს, რომელიც 2022 წელს დაარსდა და რომლის ძირითადი საქმიანობაა სტუდენტებისთვის გრანტების გაცემა.

დოკუმენტის მიხედვით, 2024 წელს კომპანიის აქტივების ღირებულებამ 140.6 მილიონი ლარი შეადგინა, 26.7 მილიონი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. კაპიტალის მოცულობა კი 18.3 მილიონი ლარით, 79.6 მილიონ ლარამდე გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში კომპანიამ 318.0 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, 64.0 მილიონი ლარით მეტი 2023 წელთან შედარებით. დოკუმენტის მიხედვით, შემოსავლების ზრდა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მშობელი კომპანია წლის განმავლობაში ახალ მაღაზიებს აქტიურად ხსნიდა. საანგარიშო პერიოდში კომპანიის დაბეგვრამდე მოგება, წინა წელთან შედარებით, 4.7 მილიონი ლარით გაიზარდა და 25.8 მილიონი ლარი შეადგინა. „გროს მოგების“ მარჟამ კი 25% იყო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას 2146 თანამშრომელი (2023 წელს – 1627) ჰყავდა დასაქმებული.

სს „სმარტ რითეილი“ (ს/ნ 205124346):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი „ნექსია ჯორჯია“-მ ჩაატარა. სს „სმარტ რითეილი“ 2006 წლის 2 თებერვალს დარეგისტრირდა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს „სმარტის“ ბრენდის ქვეშ არსებულ საცალო მაღაზიების მართვა. კომპანია ფლობს მაღაზიებს თბილისში, გორში, ახალციხეში, ბათუმში, ქუთაისში, მცხეთაში, გუდაურში, ზუგდიდში, ყვარელში, სამტრედიაში, ფოთში, ურეკში, ხაშურსა და თელავში. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია კომპანია „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ“ (მალტა), რომელსაც აკონტროლებენ სამსონ და ლევან ფხაკაძეები (50%-50%).

დოკუმენტის მიხედვით, კომპანია გარკვეული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე დგას. 2024 წელს კომპანიის აქტივების ღირებულება 17.6 მილიონი ლარით არის შეფასებული, ეს მაჩვენებელი თითქმის 1 მილიონი ლარით მეტია 2023 წელთან შედარებით. უარყოფითი კაპიტალის მოცულობა 54.4 მილიონი ლარია, ხოლო 2023 წელს – 51.1 მილიონი ლარი იყო. 2024 წელს კომპანიამ 56.7 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, დაახლოებით 5 მილიონი ლარით მეტი 2023 წელთან შედარებით. 2023 წლის მსგავსად კომპანიას 2024 წელიც ზარალიანი ჰქონდა – 3.2 მილიონი ლარი, თუმცა 2023 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 1.7 მილიონი ლარით შემცირდა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეს მოვლენები, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სს „სმარტ რითეილის“ უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ (ს/ნ 404923749):

ამ კომპანიის („კარფურის“ სუპერმარკეტების ქსელი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „იუაი“-მ ჩაატარა. შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ საქართველოში 2011 წლის 26 დეკემბერს დარეგისტრირდა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ჰიპერმარკეტების, სუპერმარკეტებისა და არასპეციალიზებული მაღაზიების ქსელის ოპერირება და მართვა საქართველოში. 2012 წლის სექტემბერში კომპანიამ „კარფურის“ პირველი ჰიპერმარკეტი გახსნა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ამუშავებდა ექვს ჰიპერმარკეტს, ცხრამეტ სუპერმარკეტსა და სამოცდათორმეტ არასპეციალიზებულ მაღაზიას. კომპანია არის შვილობილი საწარმო შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს“-ის, რომელიც კომპანიის

კაპიტალის 100%-ს ფლობს. კომპანიის დაფინანსების უმეტესი ნაწილი მიიღება მშობელი საწარმოსგან და საკრედიტო დავალიანება იფარება მშობელი საწარმოს მიმართ, რომლის სათავეშიც დგას შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ რითეილი". ამის გამო კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია მფლობელთა ჯგუფზე. მფლობელთა ჯგუფის საბოლოო ჰოლდინგური კომპანია არის „ფუტაიმ კაპიტალი", რომლის საბოლოო მფლობელია მაჯიდ ალ ფუტაიმის ოჯახის 9 წევრი, ხოლო საკონტროლო წილის მფლობელია თარიქ ალ ფუტაიმი.

დოკუმენტის მიხედვით, 2024 წელს კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულებამ 223.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2023 წლის მონაცემებს 20.1 მილიონი ლარით ჩამორჩება. საანგარიშო პერიოდში კომპანიას უარყოფითი კაპიტალი დაუფიქსირდა – 211.6 მილიონი ლარი, ხოლო 2023 წელს – 176.9 მილიონი ლარი. 2024 წელს კომპანიის შემოსავლებმა 789.0 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 15.7 მილიონი ლარით ნაკლებია 2023 წელთან შედარებით. საანგარიშო პერიოდში, კომპანიამ 34.6 მილიონი ლარის წმინდა ზარალი (2023 წელს – 201 ათასი ლარის წმინდა მოგება) აღრიცხა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2024 წელს კომპანიის ზარალი განაპირობა როგორც საერთო მოგების შემცირებამ,ისე საოპერაციო ხარჯების, კერძოდ თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯებისა და კომპანიის შიდა გადანაწილებული ხარჯების ზრდამ,ასევე საპროცენტო ხარჯის გაზრდამ,რაც გამოიწვია მშობელი საწარმოს ნასესხები სახსრების მოდიფიცირებებმა და საკურსო სხვაობით განპირობებულმა ზარალმა 11,321 ლარის ოდენობით, როცა იგივე მაჩვენებელი 2023 წელს 1,164 ლარი იყო.

საანგარიშო პერიოდში, კომპანიაში დასაქმებული იყო 2725 ადამიანი (2023 წელს – 2917).

შპს „ზღაპარი" (ს/ნ 205222953):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია"-მ ჩაატარა. შპს „ზღაპარი" 2007 წელს დაარსდა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილს ფლობენ: კონსტანტინე გელაშვილი – 26.67%, ზურაბი არსენიძე – 18.33%, უზეირ ოზერი (თურქეთი) – 12.50%, ლევანი ფიჩხაია – 12.50%, ნუნუ ლეჟავა – 3.33%, გია არსენიძე – 26.67%. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა, როგორც საკვები და სასმელი პროდუქტებით, ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და პირველადი მოხმარების პროდუქციით. შპს „ზღაპარი" 2024 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 46 მარკეტით, აქედან 30 – თბილისში, ხოლო დანარჩენი 16 მარკეტი – საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

2024 წელს კომპანიის აქტივების ღირებულებამ 43.3 მილიონი ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი 2023 წლის მონაცემებზე 16.4 მილიონი ლარით მეტია. ამავე პერიოდში,კაპიტალის მოცულობა (8.7 მილიონი) ლარი იყო. კომპანიამ უარყოფითი კაპიტალი აღრიცხა 2023 წელსაც (3.6 მილიონი) ლარი. საანგარიშო პერიოდში კომპანიის შემოსავლები თითქმის 2 მილიონი ლარით შემცირდა და 22.7 მილიონი ლარი შეადგინა. 2024 წელი ზარალიანი აღმოჩნდა „ზღაპრისთვის", ზარალის მოცულობამ – 5.1 მილიონი ლარი შეადგინა, 1.5 მილიონი ლარით მეტი 2023 წელს მიღებულ ზარალთან შედარებით.

2024 წლის ბოლოსთვის კომპანიაში დასაქმებული იყო 718 თანამშრომელი.

შპს „ორი ნაბიჯი" (ს/ნ 204571668):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „KPMG Georgia"-მ ჩაატარა. კომპანია 2009 წლის 17 აგვისტოს დარეგისტრირდა. მისი ძირითადი საქმიანობაა საქართველოში საცალო მაღაზიების ქსელის მართვა. კომპანიას 2014 წლამდე 16 მაღაზია ჰქონდა, 10 წლის განმავლობაში მისი მაღაზიების რიცხვი 529-მდე გაიზარდა, რომლებიდანაც 291 თბილისში, 43 ქვემო ქართლში, 49 იმერეთში, 38 კახეთში, 22 აჭარაში, 28 სამეგრელოში,14 მცხეთა-მთიანეთში,22 შიდა ქართლში და 22 საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარეობს. კომპანიის მესაკუთრეებია: გოჩა ცქიტიშვილი – 33.34%, გიორგი ჩხეიძე – 33.33%, კახა ბექაური – 33.33%.

2024 წელს კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულებამ 319.6 მილიონი ლარი შეადგინა,რაც 22.7 მილიონი ლარით მეტია 2023 წლის მონაცემებთან შედარებით. 2024 წელს კომპანიას უარყოფითი კაპიტალი დაუფიქსირდა (1.9 მილიონი) ლარი, ხოლო 2023 წელს კაპიტალის მოცულობამ – 2.3 მილიონი ლარი შეადგინა. 2024 წელს კომპანიის შემოსავლებმა 1.3 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 239.1 მილიონი ლარით აღემატება 2023 წლის მონაცემებს. მოგების გადასახადით დაბეგვრამდე, მოგების მოცულობამ 63.0 მილიონი ლარი შეადგინა, 4.4 მილიონი ლარით ნაკლები წინა წელთან შედარებით. დოკუმენტის მიხედვით, საერთო მოგების მარჟა 18.8% იყო.

2024 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებული იყო 4800 მდე თანამშრომელი.

შპს „ფრესკო რითეილ გრუპი" (ს/ნ 404383779):

შპს „ფრესკო რითეილ გრუპი" დაფუძნებულია 2010 წლის 15 ივნისს. კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია Imisia Ventures Limited. საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა. კომპანია პროდუქციას ყიდულობს საქართველოში არსებული სადისტრიბუციო და საბითუმო ვაჭრობის კომპანიებისაგან. კომპანიას მართავს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ვასილ სოფრომაძე და გენერალური დირექტორი სოფიო კორძახია.

2024 წლის მდგომარეობით, კომპანიის აქტივების ღირებულება 4.8 მილიონი ლარი იყო, 185 ათასი ლარით მეტი 2023 წელთან შედარებით. კაპიტალის მოცულობა კი (561.0 ათასი) ლარი, 2023 წელს (1.3

მილიონი) ლარი. 2024 წელს კომპანიამ 3.2 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, თითქმის 200 ათასი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. კომპანიის მოგება კი 718.4 ათასი ლარი იყო, დაახლოებით, 70 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2023 წელს.

კომპანიაში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 157 თანამშრომელი, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 165 თანამშრომელი.

შპს „ევროპროდუქტი" (ს/ნ 202227134):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი შპს „ფინანსური მართვის ჯგუფმა" ჩაატარა. შპს „ევროპროდუქტი" 2004 წლის 20 აპრილს დაარსდა. კომპანიის მფლობელები არიან: ნინო ბრეგვაძე 50%-იანი წილით და შპს „ჯი-თი გრუპი" 50%-იანი წილით. კომპანიის ძირითად ბიზნეს-საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა საკვები და არასაკვები პროდუქტით. კომპანია ამარაგებს 2600-მდე მაღაზიას და ოპერირებას უწევს 38 მაღაზიას. შპს „ევროპროდუქტი" ფლობს შვილობილი კომპანია შპს „ბაუერნბროტი"-ს 75%-ს, რომელიც დაარსებულია 2021 წლის 10 ნოემბერს. შპს „ევროპროდუქტის" სადისტრიბუციო ქსელი მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს.

2024 წლის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულებამ 69.3 მილიონი ლარი შეადგინა, დაახლოებით 11 მილიონი ლარით მეტი 2023 წელთან შედარებით. საანგარიშო პერიოდში აქციონერთა მთლიანი კაპიტალის მოცულობა კი 23.4 მილიონი ლარი იყო, დაახლოებით 3,3 მილიონი ლარით მეტი. 2024 წელს კომპანიამ 138.9 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო, 8.5 მილიონი ლარით მეტი 2023 წელთან შედარებით. კომპანიის მიერ მიღებული მოგების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 3 მილიონი ლარით 19.4 მილიონ ლარამდე შემცირდა.

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 748 და 705 თანამშრომელი.

შპს „გვირილა რითეილი" (ს/ნ 405536317):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „არესემ საქართველომ" ჩაატარა. შპს „გვირილა რითეილი" 2022 წლის 30 მაისს დარეგისტრირდა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით. კომპანიამ დააფუძნა შვილობილი საწარმო, შპს „ფროფერთი სერვისი", რომლის ეკონომიკურ საქმიანობასაც წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული ფართების გაყიდვა/გაქირავება.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად: შპს „გვირილა" – 40%, შპს „დეილი" – 60%. კომპანიამ თავისი პირველი ფილიალი თბილისში, 2022 წლის ოქტომბერში გახსნა, 2 წელიწადში კი მისი ფილიალების რაოდენობა 357-მდე გაიზარდა.

2024 წელს კომპანიის აქტივების ღირებულებამ 142.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 32.8 მილიონი ლარით მეტია წინა წელთან შედარებით. ამავე პერიოდში „გვირილა რითეილს" უარყოფითი კაპიტალი დაუფიქსირდა (9.9 მილიონი ლარი), 2023 წელს კი კაპიტალის მოცულობა – 9.7 მილიონი ლარი იყო. 2024 წელს კომპანიის შემოსავალი 160.5 მილიონი ლარით გაიზარდა და 301.2 მილიონი ლარი შეადგინა. შემოსავლების ზრდის პარალელურად გაიზარდა კომპანიის ზარალი, 2023 წელთან შედარებით, თითქმის 11 მილიონი ლარით 21.6 მილიონ ლარამდე.

2024 და 2023 წლების დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 2215 და 1297 თანამშრომელს.

სს „ნიკორა" (ს/ნ 206255808):

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი „ბეიკერ ტილი ჯორჯია"-მ ჩაატარა. სს „ნიკორა" არის „ნიკორას" ჯგუფში შემავალი კომპანიების მშობელი საწარმო. კომპანია დაარსდა 1998 წელს. სს „ნიკორა", გარდა ინვესტიციებისა შვილობილ საწარმოებში, ფლობს უძრავ ქონებას მიწისა და შენობების სახით, რომელსაც იჯარით გასცემს ასევე შვილობილ კომპანიებზე და მიღებული საიჯარო შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. იგი ასევე უზრუნველყოფს შვილობილ კომპანიებს მმართველობითი და საკონსულტაციო მომსახურებით.

2024 წელს კომპანიის აქტივების ღირებულებამ 176.3 მილიონი ლარი შეადგინა, თითქმის 1 მილიონი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. კაპიტალის მოცულობა კი 106.3 მილიონი ლარი იყო, 3 მილიონ ლარით მეტი, ვიდრე 2023 წელს. 2024 წლის მდგომარეობით, კომპანიის შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 4.5 მილიონი ლარით 26.6 მილიონი ლარამდე გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში კომპანიამ 15.9 მილიონი ლარის წმინდა მოგება მიიღო 2.0 მილიონი ლარით მეტი. საერთო მოგების მარჟამ, საკმაოდ მაღალი დონე – 68% შეადგინა.

სს „ნიკორას" ჯგუფში შემავალი კომპანიებია – სს „ნიკორა ტრეიდი" (97%), შპს „ნიკორა" (100%), შპს „პარტნიორი" (100%), შპს „ოკეანე" (100%), შპს „ჩვენი ფერმერი" (100%), შპს „მულტიტრეიდი" (100%), შპს „მზარეული" (80%), შპს „კორიდა" (100%), შპს „ინტრეიდი" (100%), შპს „ნაფარეულის ძველი მარანი" (100%), შპს „ვაკიჯვრის კალმახი" (94%), შპს „კულინარი" (100%), შპს „ნიკორა ბაკურიანი" (50%), შპს „მილა საქართველო" (50%), შპს „რეფ ელ" (50%),

კომპანიაში 2024 წელს 105 ადამიანი იყო დასაქმებული.

ეკა ხარაზი

სახელმწიფომ „ინტერ რაოსთვის“ $139 მლნ-ის გადახდა დაიწყო

ბიუჯეტს მალე „ენკასთვის“ $383 მლნ-ის გადახდაც მოუწევს

„ქართული ოცნების“ მთავრობამ საერთაშორისო არბიტრაჟში წაგებული დავების გამო რუსული ენერგოგიგანტისთვის – „ინტერ რაოსთვის“ ფულის გადახდა დაიწყო. როგორც ცნობილი გახდა, 2025 წლის დეკემბრის მიწურულს, მთავრობა და „ინტერ რაო“ შეთანხმდნენ, რა გრაფიკით დაფარავს სახელმწიფო ბიუჯეტი დაკისრებულ თანხას. გადასახდელი თანხა კი ცოტა არ არის. 2028 წლის 10 ივლისამდე საქართველომ 139 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს.

გადახდის გრაფიკი ასეთია:

პირველი გადახდა: 2025 წლის 31 დეკემბერი;
მეორე გადახდა: 2026 წლის 10 ივლისი;
მესამე გადახდა: 2026 წლის 31 დეკემბერი;
მეოთხე გადახდა: 2027 წლის 10 ივლისი;
მეხუთე გადახდა: 2027 წლის 31 დეკემბერი;
მეექვსე გადახდა: 2028 წლის 10 აპრილი;
მეშვიდე გადახდა: 2028 წლის 10 ივლისი.

ჯერ კიდევ 2023 წელს, „ააფის“ №2(278)-ში ვწერდით, რომ საქართველო „ინტერ რაოსთან“ ორ პარალელურ საარბიტრაჟო დავაში გამტყუნდა. მსოფლიო ბანკთან არსებულმა საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრმა (ICSID) საქართველოს $76 მილიონი დოლარის კომპენსაციის გადახდა, სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა კი საქართველოს ანალოგიურ დავაში $112 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. მაშინ ისიც გახდა ცნობილი, რომ პარალელურ დავებში დაკისრებული ჯარიმებიდან ქვეყანას მხოლოდ ერთის გადახდა მოუწევდა. მოსარჩელე მხარეს უფლება აქვს იმ გადაწყვეტილებას დაეთანხმოს, რომელიც მისთვის უფრო მომგებიანია.

საქართველოს მთავრობამ მაშინ ისიც თქვა, რომ დაკისრებულ ჯარიმას გაასაჩივრებდნენ. თუმცა, სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს.

2025 წლის 21 აგვისტოს მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების გადაწყვეტის ცენტრმა (ICSID) საქართველოს აპელაცია არ დააკმაყოფილა „ინტერ რაოს“ საარბიტრაჟო სარჩელთან დაკავშირებით და ძალაში დატოვა 2022 წლის 27 ოქტომბერს მიღებული განაჩენი, რომლითაც საქართველოს კომპანიის მიმართ 76 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა. მეტიც, თუკი 2022 წლის 27 ოქტომბერს მიღებული განაჩენი 76 მილიონი დოლარის კომპენსაციას ითვალისწინებდა, მისი ღირებულება 2022 წლიდან მოყოლებული დარიცხული პროცენტების გამო გაიზარდა და 94 მილიონ დოლარსაც გადააჭარბა. საბოლოოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობას მეორე სასამართლოს, სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი კომპენსაციის გადახდა დაეკისრა, რომელიც თავის პროცენტებიანად უკვე 139 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. საქართველომ დაკისრებული თანხის პირველი ნაწილი დეკემბერში გადარიცხა კიდეც.

რატომ იჩივლა „ინტერ რაომ“ საქართველოს წინააღმდეგ

შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ თბილისის ენერგოგამანაწილებელმა კომპანია „ინტერ რაომ“ საქართველოს წინააღმდეგ საერთაშორისო არბიტრაჟში დავა 2017 წელს წამოიწყო. ნიდერლანდებში რეგისტრირებულმა მისმა შვილობილმა კომპანიებმა – Gardabani Holdings B.V.-მ და Silk Road Holdings B.V.-მ ცალ-ცალკე მიმართეს საარბიტრაჟო ინსტიტუტებს და სარჩელები შეიტანეს.

დავას საფუძვლად დაედო სატარიფო პოლიტიკა. „ინტერ რაო“ ამტკიცებდა, რომ საქართველოში მისი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფში უნდა ასახულიყო ლარის გაუფასურებით მიყენებული ზარალი. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ (სემეკი) ეს კომპონენტი არ გაითვალისწინა და განსაზღვრა უფრო დაბალი ტარიფები, ვიდრე კომპანიის აზრით უნდა ყოფილიყო.

„ინტერ რაოს“ ეკუთვნის თბილისის ენერგოგამანაწილებელი კომპანია „თელასი“ (75%-იანი წილი); Gardabani Holdings B.V.-ის მეშვეობით ფლობს „ხრამჰესი 1“-სა და „ხრამჰესი 2“-ს; 2016 წლის დეკემბრამდე კომპანიას ეკუთვნოდა გარდაბნის ძველი თბოსადგურიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის მოქმედებს ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება, რომელიც უცხოელი ინვესტორების ინტერესებს იცავს. სწორედ ამ შეთანხმებაზე დაყრდნობით მიმართეს Gardabani Holdings B.V.-მ და Silk Road Holdings B.V.-მ საერთაშორისო არბიტრაჟს.

დამატებით, ინვესტორის უფლებების დაცვის ჩანაწერები არსებობდა იმ ხელშეკრულებაშიც, რომელიც საქართველომ „ინტერ რაოს“ ჰოლანდიურ შვილობილებთან აქტივების მიყიდვისას გააფორმა.

„ინტერ რაომ“ $200 მილიონი დოლარის კომპენსაცია მოითხოვა, რადგან მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო სწორედ ამ მოცულობის შემოსავალი დაკარგა.

ისევ ძველ ამბებს რომ დავუბრუნდეთ, 2011 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და „ინტერ რაოს“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც კომპანიას 15 წლის განმავლობაში დენის ტარიფის შეუმცირებლობის

ᲪᲝᲓᲜᲘᲡᲐ
ᲐᲣᲓᲘᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ
ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ შერჩეულ იქნა ზრდის ჰაბების პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო სერვისების მიმწოდებლად.

აუდიტორული კომპანია „ცოდნისა“, სააგენტოსთან „აწარმოე საქართველოში“ პარტნიორობით მცირე და საშუალო მეწარმეებს სთავაზობს კარგ შესაძლებლობას ბიზნესის განსავითარებლად.

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“-ს საკონსულტაციო ცენტრების (ზრდის ჰაბების) პროექტის ფარგლებში გთავაზობთ 10,000 ლარამდე დაფინანსებას ბიზნესის საკონსულტაციო სერვისებზე შემდეგი მიმართულებით:

ფინანსები და ბუღალტერია;
გადასახადები.

თანადაფინანსების მიღება შეუძლია ნებისმიერ ბიზნესს, რომელსაც:

- **აქვს მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;**
- **უფიქსირდება წლიური ბრუნვა მინიმუმ 30,000 ლარი და მაქსიმუმ 10,000,000 ლარი;**
- **არ აქვს საგადასახადო დავალიანება.**

რაც მოიცავს აღნიშნული საკონსულტაციო სერვისები?

- **ფინანსები და ბუღალტერია:**
- **სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება;**
- **ფინანსური ანალიზი;**
- **ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება;**
- **ბიზნესისთვის დაფინანსების შესაძლო წყაროების იდენტიფიცირება.**

გადასახადები:

- **საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისობისა და დაბეგვრის ოპტიმიზაციის უზრუნველყოფა.**

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით – ტელ.: 595 59 02 75; 579 30 71 71.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №41, მე-4 სართული.

გარანტიას აძლევდა. სანაცვლოდ, კომპანია ვალდებული იყო 376,4 მილიონი ლარის ინვესტიცია განეხორციელებინა თბილისის ელექტროქსელებში.

2013 წლის 31 მარტს გაფორმდა ახალი მემორანდუმი, რომელიც ტარიფებ ის შემცირებას შეეხებოდა. ეს პოლიტიკური შეთანხმება ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, რადგან „ინტერ რაო“ დათმობაზე წავიდა, „ქართულ ოცნებას“ კი საშუალება მიეცა წინასაარჩევნოდ გაკეთებული დაპირება – ელექტროენერგიაზე ტარიფების შემცირება გარკვეულწილად მაინც შეესრულებინა. სანაცვლოდ, კომპანია გათავისუფლდა ახალი ჰესების აშენების ვალდებულებისგან.

მემორანდუმში ჩაიწერა რომ 2025 წლის 31 დეკემბრამდე „თელასის“ ტარიფები უნდა განსაზღვრულიყო მხოლოდ ინფლაციის, ვალუტის კურსის მერყეობისა და აქტივების ცვეთის გათვალისწინებით.

2013 წლის მარტიდან რამდენიმე თვეში საქართველომ ენერგეტიკის პოლიტიკაში ცვლილებები შეიტანა. 2014 წელს საქართველომ მიიღო ახალი სატარიფო მეთოდოლოგია. 2015 წელს, სემეკმა „თელასის“ და „ხრამჰესების“ ტარიფები სწორედ ამ ახალი მეთოდოლოგიით დათვალა, სადაც ვალუტის კურსის გაუფასურება არ იყო გათვალისწინებული. „ინტერ რაომ“ კი სწორედ ეს მიიჩნია მემორანდუმის პირობების დარღვევად.

როგორც აღმოჩნდა, კომპანიას და მთავრობას შორის შეთანხმება ვერ შედგა, ამიტომ, 2017 წლის 18 აგვისტოს „ინტერ რაომ“ საერთაშორისო არბიტრაჟში სარჩელი შეიტანა და $200 მილიონი დოლარის კომპენსაცია მოითხოვა, თუმცა შედარებით ნაკლები თანხის მოგება შეძლო.

ᲡᲐᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲝ ᲓᲐᲕᲔᲑᲨᲘ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲐ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ

პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, 2020 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, საერთაშორისო არბიტრაჟებში მიმდინარე დავებში იურისტების მომსახურებისთვის

გადახდილმა თანხამ ჯამში დაახლოებით 230 მილიონი ლარი შეადგინა, მათ შორის ყველაზე ძვირად ღირებული კონტრაქტები საერთაშორისო იურიდიულ ფირმა White & Case-თან არის გაფორმებული, რომლებშიც იუსტიციის სამინისტრომ 171 მილიონი ლარი გადაიხადა. იურიდიული ფირმა AARPI-ის სერვისებში 31 მილიონი ლარი, Dechert-ის დაქირავებაში კი 25 მილიონი ლარია გადახდილი.

2024 წლის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავრობა საერთაშორისო არბიტრაჟებში არსებულ დავებში იურისტების მომსახურებისთვის საბიუჯეტო ხარჯებს ზრდიდა. ინფორმაციის მიხედვით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში იუსტიციის სამინისტრომ 5 მილიონი ლარით, 70 მილიონ ლარამდე გაზარდა საერთაშორისო სასამართლოებსა და არბიტრაჟებში იურისტების დაქირავების ბიუჯეტი.

რეალურად რამდენი დახარჯა 2025 წელს სახელმწიფომ ასეთ დავებში იურისტების მომსახურებისთვის, წესით მოგვიანებით გახდება ცნობილი. პორტალმა BM.GE-მ იუსტიციის სამინისტროდან წერილობით მიღებული არასრული მონაცემები გასული წლის დეკემბერში გამოაქვეყნა.

საერთაშორისო არბიტრაჟებში, საქართველოს წინააღმდეგ, მიმდინარე საინვესტიციო დავებთან დაკავშირებით იურიდიული კომპანიების მომსახურებისთვის 2025 წლის 8 თვეში 31,811 მლნ ლარია დახარჯული, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„როგორც წერილობითი პასუხიდან ირკვევა, 31,8 მილიონი ლარიდან უშუალოდ იურიდიული კომპანიებისთვის გადახდილია 27 მლნ ლარი, დანარჩენი თანხა კი ბიუჯეტში დღგ-ის სახით იქნა შეტანილი.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციითვე, 2024 წელს, საერთაშორისო არბიტრაჟებში, საქართველოს წინააღმდეგ, მიმდინარე დავების იურიდიული მომსახურება გადასახადების გადამხდელებს 59.7 მლნ ლარი დაუჯდა.

2026 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მესამე, საბოლოო ვარიანტის თანახმად, მთავრობა ვარაუდობს, რომ მომავალი წლისთვის საარბიტრაჟო დავებში იურისტების დაქირავება არბიტრაჟებში, უცხო ქვეყნის სასამართლოებში და საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობა 55 მლნ ლარი დაუჯდება“, – აღნიშნულია ინფორმაციაში, რომელიც BM.GE-მ გამოაქვეყნა.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო დამტკიცებამდე, საერთაშორისო არბიტრაჟებში მიმდინარე დავებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ. მისი თქმით, 2026 წელს ამ მიმართულებით იურიდიული მომსახურების ხარჯები მცირდება და ის 50 მილიონი ლარის ფარგლებში იქნება.

„2026 წელს 50 მილიონი ლარი იქნება იურიდიული მომსახურება. გადახდა უნდა მოხდეს კონკრეტულ კომპანიასთან. ჯერჯერობით მსგავსი შეთანხმება არ გვაქვს“, – განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართულ ფისკალური რისკების დოკუმენტში წერია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟებში 8 მიმდინარე დავის ფარგლებში სადავო თანხის პოტენციური მაქსიმალური ოდენობა შეადგენს დაახლოებით $4,8 მლრდ-ს. რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული დასრულებული დავების სტატისტიკას, მიმდინარე 7 დავიდან 4 დავა დასრულდა სახელმწიფოს გამარჯვებით, 3 დავაზე სახელმწიფოს დაეკისრა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

კომენტარები არბიტრაჟში წაგებულ დავებზე

აქტუალურ თემას გამოეხმაურა ყოფილი პარლამენტარი, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი რომან გოცირიძე. მისი თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ დანაშაული ჩაიდინა და ამის გამო უწევს სახელმწიფო ბიუჯეტს ასეულობით მილიონი ლარის გადახდა.

როგორც გოცირიძე ამბობს, საქართველოს რომ $139 მლნ-ის, დაახლოებით 400 მილიონი ლარის გადახდა უწევს, ხელისუფლების წარმომადგენლების დანაშაულია.

„ეს არის ოცნების ხელისუფლებისა და პირადად კახა კალაძის, რომელიც მაშინ ენერგეტიკის მინისტრი იყო, დანაშაულებრივი ხელშეკრულების ბრალი. სულ მალე 400 მილიონი დოლარი წამოგვეწევა „ნამახვანის“ სარჩელის სახით, რომლის პირველი ეტაპი თურქული კომპანიის გამარჯვებით დამთავრდა და მთლიანობაში ამ ორი დანაშაულის შედეგად ქვეყანამ დაკარგა 1.5 მილიარდი ლარი, რომელიც ზუსტად იმდენია, რამდენიც ეყოფოდა ანაკლიის პორტის დამთავრებას.

ერთში თუ დამნაშავე იყო პერსონალურად კახა კალაძე, მეორეში დამნაშავეა ღარიბაშვილი, რომელმაც ასევე კორუფციული და საეჭვო კონტაქტი გააფორმა ამ თურქულ კომპანიასთან. ამიტომ ვერავინ ვერ გადაურჩება სამართლიანი სასამართლოს განსასჯელის სკამს. ვინაიდან წარმოუდგენელია, რომ ქვეყნის დღევანდელი ბიუჯეტის ოთხი პროცენტი ერთბაშად აორთქლდეს და გაქრეს“, – ამბობს გოცირიძე.

გასული წლის დეკემბერში საარბიტრაჟო დავების შესახებ კომენტარი გააკეთა ეკონომიკის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ანალიტიკური ცენტრი „ჯეოქეისის“ მრჩეველთა საბჭოს წევრმა ნიკოლოზ ალავიძემ.

როგორც „2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე აუდიტის სამსახურის მოხსენებაშია აღნიშნული, 2024 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, სახელმწიფო $3.3 მილიარდის საარბიტრაჟო დავებშია ჩართული.

ნიკოლოზ ალავიძე BMG-სთან ამბობს, რომ ამ მოცულობის საერთაშორისო საარბიტრაჟო დავები

შემდეგზე მიუთითებს – ინვესტორებთან ურთიერთობაში ქართულმა მხარემ არაერთი შეცდომა დაუშვა. მისივე შეფასებით, მიღმა ინვესტორებისთვის ასანაზღაურებელი კომპენსაციისა, საარბიტრაჟო დავები ბიუჯეტისთვის წნეხი იურიდიულ მომსახურებაზე გაწეული მილიონობით ლარის ხარჯების ფონზეც არის.

„წაგებულ საარბიტრაჟო დავებში დაკისრებული თანხის გარდა ჩვენ ვიცით, რომ ასევე სოლიდური, ათეულობით მილიონი ლარია იურიდიული მომსახურების ხარჯები, რაც ასევე „ჩაძირული“ ხარჯია, რადგან ეს თანხაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გადავიხადოთ.

თუმცა ამ დავებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ყურადსაღები არის ის, რომ ეს სისტემური პრობლემაა, იქნება ეს ENKA თუ სხვა დანარჩენი საარბიტრაჟო დავები. ეს ნიშნავს იმას, რომ როდესაც სახელმწიფომ ხელშეკრულებები გააფორმა, როდესაც პროექტზე მიდიოდა მუშაობა,არაკომპეტენტურად იყო ეს ყველაფერი გაკეთებული. დაახლოებით 10-მდე საარბიტრაჟო დავაა, სადაც ერთი და იგივე საძირკველია – კორუფცია, არაკომპეტენტურობა, შესაძლო მიზანმიმართული ქმედება, რომელმაც შეუძლებელი გახადა ამ პროექტების განხორციელება. შესაბამისად, ინვესტორებმა მიმართეს არბიტრაჟს, რასაც მოუმზადებელი დახვდა სახელმწიფო. ეს კი მნიშვნელოვანი რეპუტაციული და მატერიალური რისკია. დავების ნაწილი სახელმწიფოს წაგებით უკვე დასრულდა და სავარაუდოდ, ეს თანხები საბოლოოდ გადასახდელი იქნება, რადგან როგორც წესი, არბიტრაჟის დასრულების შემდეგ მხარეებს შორის მოლაპარაკებები აღარ ხდება ხოლმე“, – განაცხადა ნიკოლოზ ალავიძემ.

კიდევ ერთი მსხვილი ჯარიმა, რომლის გადახდაც მოუწევს ბიუჯეტს

2024 წლის ბოლოს უკვე ცნობილი იყო კიდევ ერთი დავის შედეგი. საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე – „ENKA საქართველოს წინააღმდეგ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ნამახვანის პროექტში ფორს-მაჟორისა და კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, საქართველოს მთავრობას კომპენსაციის სახით $383 მლნ-ის გადახდა დაეკისრა. აღნიშნულ დავაში მთავრობის ინტერესებს საერთაშორისო კომპანია White & Case-ი იცავდა, რომლის იურისტებისთვის გადახდილმა ჰონორარმა უშუალოდ ამ დავაში, 2024 წლის ჩათვლით 25 მილიონი ლარი შეადგინა. ამ საქმეზეც მთავრობის მხრიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაასაჩივრებდნენ.

გასული წლის 18 სექტემბერს აღნიშნული სამართლებრივი დავაც გავიდა ბოლოში – საქართველოს მთავრობის მცდელობა, რომ ვერდიქტი შეცვლილიყო, უშედეგოდ დამთავრდა. პარიზის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში წერია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შეტანილი საჩივარი უარყოფილია და ICC არბიტრაჟის მიერ 2024 წლის ნოემბერში გამოტანილი $383.2 მილიონიანი კომპენსაციის გადაწყვეტილება Enka Renewables-ის სასარგებლოდ ძალაში დარჩა. ეს ნიშნავს, რომ საქმე საბოლოოდ დასრულებულია და საქართველოს მთავრობას კომპენსაციის გადახდა მოუწევს. შედეგად, საქართველოს მთავრობას აღარ აქვს სამართლებრივი გზა საერთაშორისო დონეზე ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის და კომპენსაციის გადახდა სავალდებულოა Enka Renewables-ის სასარგებლოდ. გადახდის გადავადება ავტომატურად გამოიწვევს პროცენტებისა და ჯარიმების დარიცხვას, რაც კიდევ უფრო გაზრდის ფინანსურ ტვირთს.

ამგვარად, „ინტერ რაოს“ სასარგებლოდ დაწყებული $139 მილიონის გადახდას ალბათ მალე „ენკას“ სასარგებლოდ $383 მილიონიანი კომპენსაციის გადახდაც დაემატება. თანაც, რაც უფრო გვიან დაიწყება თანხის გადარიცხვა, მით ძვირი დაუჯდება საქართველოს ბიუჯეტს.

თემურ იობაშვილი

2026 წელს რეფინანსირების განაკვეთის შემცირებაა მოსალოდნელი – საბანკო ასოციაცია

საბანკო ასოციაციაში მოლოდინი აქვთ, რომ 2026 წლის მეორე კვარტალიდან ეროვნულ ბანკს რეფინანსირების განაკვეთის შერბილების საშუალება ექნება.

როგორც ასოციაციის ანალიტიკურმა დირექტორმა, დავით რუსიამ განაცხადა, ინფლაციის დაჩქარების ფონზე, მოსალოდნელი იყო, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში სები მონეტარულ პოლიტიკას შედარებით გამკაცრებულ დონეზე შეინარჩუნებდა.

„მომავალ წელს ყველაფერი იქნება დამოკიდებული ინფლაციაზე და ფასების საერთო დონეზე. შესაბამისად, თუ წლის პირველ კვარტალში ეროვნული ბანკი არ იაქტიურებს ამ მიმართულებით, ეს ჩვენთვის, ექსპერტებისთვის, გასაგები ფაქტორი იქნება. თუმცა მოლოდინი გვაქვს, რომ სებ-ს შეეძლება რეფინანსირების განაკვეთის შემცირება თუნდაც მცირე ბიჯებით მეორე კვარტალში. პირველ კვარტალში შეიძლება უფრო პაუზა იყოს ამ მიმართულებით“, **– განაცხადა დავით რუსიამ.**

ცნობისთვის, ეროვნული ბანკი 2024 წლის მაისის შემდეგ რეფინანსირების განაკვეთს 8%-ზე ინარჩუნებს.

ანალიტიკურ ორგანიზაციებში ელიან, რომ ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის შერბილების საშუალება 2026 წლის მეორე ნახევრიდან ექნება. Galt & Taggart-ის შეფასებით, მოსალოდნელია, რომ 2026 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 3%-მდე შენელდება, რაც სებ-ს საშუალებს მიაცემს მთლიანობაში მონეტარული პოლიტიკა ნახევარი პროცენტული პუნქტით, 7.5%-მდე შეარბილოს.

საპენსიო ფონდში ყველაზე მაღალი მოგება დინამიკურ პორტფელს აქვს

საქართველოს საპენსიო ფონდი 2025 წლის დეკემბრის საინვესტიციო შედეგების შესახებ აქვეყნებს ინფორმაციას. სულ ფონდის მოცულობა 8.2 მილიარდ ლარს აღწევს, რაც 1.5 მილიონი მოქალაქის საპენსიო დანაზოგია.

ამ დანაზოგებიდან 8.1 მილიარდი ლარი განთავსებულია კონსერვატიულ საინვესტიციო პორტფელში, რომელიც წლიურად 11.8%-ით გაიზარდა, ხოლო ყველაზე მაღალი ამონაგები დინამიკურ საპენსიო პორტფელს აქვს, რომელიც წლიურად 15.2%-ით გაიზარდა. ამ პორტფელის უდიდესი ნაწილი საერთაშორისო აქციებში არის დაბანდებული. კონსერვატიული პორტფელის უდიდესი ნაწილი კი ლარში – ქართული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებშია დაბანდებული.

„დეკემბერში საპენსიო ფონდის პორტფელებმა პოზიტიური შედეგები აჩვენეს, რასაც ხელი შეუწყო როგორც საერთაშორისო აქციების ბაზარზე არსებულმა დადებითმა დინამიკამ, ისე ადგილობრივი აქტივების სტაბილურად მაღალმა შემოსავლიანობამ.

დეკემბერში სამივე პორტფელმა თითქმის თანაბარი, 0.9%-ზე მაღალი შედეგი აჩვენა.

2025 წელი საპენსიო ფონდის პორტფელებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა. პორტფელებს შორის დინამიკური პორტფელი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ზრდით გამოირჩეოდა, თუმცა დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელების შემოსავლიანობაც საკმაოდ მაღალი იყო:

- *დინამიკური – 15.2%;*
- *დაბალანსებული – 13.3%;*
- *კონსერვატიული – 11.8%.*

ამასთან, დინამიკური პორტფელი შექმნის დღიდან (2023 წლის 6 აგვისტო) გაწლიურებული შემოსავლის მიხედვითაც ლიდერობს და მისი შემოსავლიანობა 14.2%-ს უტოლდება, ხოლო დაბალანსებული და კონსერვატიული პორტფელებისათვის შესაბამისი მაჩვენებლები 13.1% და 11.8%-ს შეადგენს.

დეკემბრის ბოლოსთვის საქართველოს საპენსიო ფონდის აქტივებმა 8.2 მილიარდ ლარს გადააჭარბა, ხოლო დაგენერირებული შემოსავლიანობა 2.2 მილიარდ ლარს აღემატება“, – ნათქვამია საპენსიო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ქართულ ბანკებში რუბლის და იუანის დეპოზიტები შემცირდა

ქართულ ბანკებში რუბლის და იუანის დეპოზიტები შემცირდა, – აღნიშნულია ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში წარდგენილ ნოემბრის სტატისტიკური ინფორმაციაში.

არსებული მდგომარეობით საბანკო დეპოზიტები 65.7 მილიარდ ლარს აღწევს, საიდანაც 34.2 მილიარდი ლარი ანუ 52% ეროვნულ ვალუტაშია ნომინირებული. მეორე ადგილზეა აშშ დოლარის დეპოზიტები 24.8 მილიარდი ლარით (წილი 37.7%), მესამეზე კი ევრო 6.2 მილიარდი ლარით (9.5%-ის წილი). გირვანქა სტერლინგში დეპოზიტების 0.6%, ანუ 314 მილიონი ლარი არის განთავსებული.

სტატისტიკის თანახმად, მკვეთრად არის შემცირებული რუბლის დანაზოგები, თუკი 2024 წლის ნოემბერში 104 მილიონი ლარის რუბლის დეპოზიტები იყო განთავსებული, ამჟამად ის 39.6 მილიონს შეადგენს, რაც 62%-იანი კლებაა.

რაც შეეხება ჩინურ იუანს, მასში ამჟამად 16 მილიონი ლარის ღირებულების დეპოზიტები არის განთავსებული, მაშინ როდესაც ერთი წლის წინ იუანის დანაზოგები 25 მილიონ ლარს შეადგენდა.

2025 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ქართულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტები ტოპ-10 ვალუტის მიხედვით ასე ნაწილდება:

1. ეროვნული ვალუტა – 34,222,877,813 ლარი;
2. აშშ დოლარი – 24,770,133,721 ლარი;
3. ევრო – 6,248,603,120 ლარი;
4. დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი – 314,655,402 ლარი;
5. შვეიცარიული ფრანკი – 62,732,020 ლარი;
6. რუსული რუბლი – 39,596,926 ლარი;
7. ჩინური იუანი – 16,036,054 ლარი;ტ
8. არაბთა გაერთიანებული საამიროების დირჰამი – 9,624,615 ლარი;
9. თურქული ლირა – 5,861,525 ლარი;
10. ყაზახური ტენგე – 4,326,713 ლარი.

ოქროს გაძვირებამ სავალუტო რეზერვები რეკორდულ მაჩვენებლამდე გაზარდა

2025 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი უცხოური ვალუტის შესყიდვებს აქტიურად ახორციელებდა, ჯამურად გასული წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში სავალუტო ბაზარზე დაახლოებით 2.07 მილიარდი აშშ დოლარია შესყიდული. ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსის, თამთა

სოფრომაძის განცხადებით, სავალუტო რეზერვები რეკორდულად გაიზარდა.

„2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მონეტარული ოქროს წილი საერთაშორისო სავალუტო რეზერვებში 16.3%-ს, ანუ 1,002.3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ოქროს ფასის ზრდის შედეგად, მისი ღირებულება შეძენის მომენტიდან გაორმაგდა და რეზერვებს დამატებით 502.3 მილიონი აშშ დოლარი შემატა, რაც ეროვნული ბანკის სტრატეგიული მიდგომის ეფექტიანობაზე მიუთითებს“, – აღნიშნა თამთა სოფრომაძემ.

ცნობისთვის, 2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვებმა ისტორიულად რეკორდულ მაჩვენებელს – 6.16 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. წინა წელთან შედარებით რეზერვების მოცულობა 38%-ით, დაახლოებით 1.7 მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა.

პრემიერი, პრეზიდენტი, პარლამენტარები – ვის რამდენით გაეზარდა ხელფასი

2026 წლის 1-ლი იანვრიდან, საჯარო სექტორში დასაქმებული დაახლოებით 117 000 მოხელის ანაზღაურება 10%-ით იზრდება და ჯამურად 3.4 მილიარდ ლარს აღწევს.

ხელფასების ზრდა შეეხება ყველა კატეგორიის საჯარო მოხელეს, მათ შორის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებს, როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაში.

საქართველოში თანამდებობის პირთა ხელფასები მიბმულია საჯარო სამსახურის საბაზო ანაზღაურებაზე. 2025 წელს საბაზო ხელფასი თვეში 1 460 ლარს შეადგენდა, ხოლო 2026 წლიდან ის 1 600 ლარამდე გაიზარდა. აღნიშნული საბაზო მაჩვენებელი მრავლდება კონკრეტული თანამდებობისთვის განსაზღვრულ კოეფიციენტზე, რის შედეგადაც ავტომატურად იზრდება როგორც რიგითი საჯარო მოხელეების, ისე პოლიტიკური თანამდებობის პირების ანაზღაურება.

პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს – ეზრდებათ 1400 ლარით და ექნებათ 16 000 ლარი;

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის – 1260 ლარით და ხდება 14 400 ლარი;

მინისტრებს, პარლამენტის ფრაქციების თავმჯდომარეებს – 1190 ლარით და ხდება 13 600 ლარი;

დეპუტატებს ხელფასი 1120 ლარით ეზრდებათ და 12 800 ლარი უხდებათ.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, საბაზისო ხელფასის ზრდა მომავალშიც ავტომატურად აისახება საჯარო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურებებზე.

2025 წელს ბანკების მოგება ₾3.3 მილიარდს მიაღწევს – ასოციაცია

საბანკო ასოციაციაში მოლოდინი აქვთ, რომ 2025 წლის ბოლოსთვის კომერციული ბანკების მოგება 3.3 მილიარდ ლარს მიაღწევს.

როგორც ასოციაციის ანალიტიკურმა დირექტორმა, დავით რუსიამ წლის შედეგების შეფასებისას განაცხადა, 11 თვის მონაცემებით, სექტორის აქტივების ზრდამ 10%-ს მიაღწია, წლიურ ჭრილში კი ორნიშნა ზრდაა მოსალოდნელი.

„წელს 11 თვის მონაცემებით, საბანკო სექტორის აქტივები დაახლოებით 10%-ით გაიზარდა. ჩვენ მოლოდინი გვქონდა, რომ ორნიშნა რიცხვს გადააბიჯებდა და ალბათ დეკემბრის მონაცემებით ასეც მოხდება. სესხებმა ზრდის უფრო მეტი ტემპი აჩვენა, უფრო მეტად მობილიზებული იყო საკრედიტო მიმართულება. შესაბამისად, როგორც წლის ჭრილში, ასევე წინა პერიოდთან მიმართებაში, დაახლოებით 13-15%-იანი ზრდა აქვს საბანკო სისტემას“, – აღნიშნა რუსიამ.

„მოგების მიმართულებით საბანკო სისტემა 11 თვეში თითქმის 2024 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა და 3 მილიარდ ლარამდე მოგება აჩვენა. საბანკო სისტემა მოგების გადასახადს იხდის და, შესაბამისად, წელს სავარაუდოდ, წინა წელთან მიმართებაში უფრო შედეგიანი წელი გვექნება, შეიძლება 3.3 მილიარდ ლარს მივაღწიოთ. ეს აისახება, უპირველეს ყოვლისა, გაუმჯობესებულ ROE-ში, მოგების კოეფიციენტებში და შესაბამისად, იმ აქციების ფასებში, რომლებსაც ჩვენ ლონდონის ბირჟაზე ყოველი თვის ბოლოს და თვის განმავლობაში ვაკონტროლებთ და ვუყურებთ“, – განაცხადა დავით რუსიამ.

ცნობისთვის, 2025 წლის 11 თვეში საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა 2.98 მილიარდი ლარის მოგება გამოიმუშავეს, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 126 მილიონი ლარით, ანუ 4%-ით მეტია.

ეროვნულმა ბანკმა „საქართველოს ბანკი“ 3.5 მილიონი ლარით დააჯარიმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „საქართველოს ბანკი“ 3.5 მილიონი ლარით დააჯარიმა. ეს მიმდინარე წლის განმავლობაში ყველაზე მსხვილი ფინანსური სანქციაა, რაც კომერციული ბანკის მიმართ სებ-მა გამოიყენა.

სანქცია ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების მეხუთე მუხლის მოთხოვნის დარღვევას უკავშირდება, რაც კლიენტის შემოსავლის დადასტურების ვალდებულებებს განსაზღვრავს. მარტივად რომ ვთქვათ, „საქართველოს ბანკი“ დააჯარიმეს, რადგან ფიზიკურ პირებს სესხებს აძლევდა ისე, რომ სათანადოდ არ ამოწმებდა მათი შემოსავლის დადასტურებას.

„საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კომერციული ბანკი – სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ 204378869, ლიცენზიის ნომერი №86) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით

დამტკიცებული „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის“ მე-2 მუხლის 8 10 პუნქტის საფუძველზე 3,485,000 (სამი მილიონ ოთხას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარით დააჯარიმა. აღნიშნული სანქცია (ფულადი ჯარიმა) მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის ფაქტებს“, – ნათქვამია ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

მიკროსაფინანსო ბაზარზე დარჩენილი ორგანიზაციები სწრაფად იზრდებიან – ნინო დევდარიანი

მიკროსაფინანსო ბაზარზე დარჩენილი 29 ორგანიზაცია საკმაოდ სწრაფი ტემპით განაგრძობს ზრდას. ზრდის ტემპი 20-25%-ით დაჩქარდა, რაც გაორმაგებულია წინა წლებთან მიმართებით, – ამის შესახებ „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარე ნინო დევდარიანმა განაცხადა.

მისი თქმით, მიკროსაფინანსო სექტორში აქტივების ხარისხი საკმაოდ მაღალი და გაუმჯობესების ტენდენციებით ხასიათდება. გაუმჯობესდა მოგებიანობის პარამეტრები, ხოლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. ჯამში, ნინო დევდარიანის შეფასებით, 2025 წელს სექტორი 30%-ით გაიზარდა.

„წლის დასაწყისში ჩვენ ვიხილეთ ორი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიკრობანკებად დაფუძნება და მათი ბაზრიდან გასვლა. მიუხედავად ამისა, დარჩენილი 29 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია საკმაოდ სწრაფი ტემპით განაგრძობს ზრდას.

წელს მაჩვენებლებში გამორჩეული წელი იყო – მოგებიანობის პარამეტრები გაუმჯობესდა, სესხების განაკვეთები კი მნიშვნელოვნად შემცირდა. ვფიქრობთ, 2026 წელს აღნიშნული ტენდენციები გაგრძელდება“, – ამბობს ნინო დევდარიანი **BMG**-სთან საუბარში.

მისივე თქმით, სექტორში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, უფრო აქტიურად შევიდნენ ბიზნეს-დაკრედიტების სეგმენტში. ნინო დევდარიანი განმარტავს, რომ დაკრედიტების ზედა ზღვრის 200 000 ლარამდე გაზრდა სექტორისთვის ახალ ჰორიზონტებს ხსნის.

რაც შეეხება სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესაძლო ტრანსფორმაციას მიკრობანკებად, ასოციაციის ხელმძღვანელი უახლოეს პერიოდში დიდ ცვლილებებს არ ელის:

„უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიკრობანკებს აქვთ 10-ჯერ უფრო მაღალი მოთხოვნა კაპიტალზე, ვიდრე მიკროსაფინანსოებს. ასევე, მათი პორტფელის 70%-ზე მეტი ბიზნეს დაკრედიტებაზე უნდა მოდიოდეს. დღეს სულ რამდენიმე ორგანიზაციაა, ვინც ამ სტანდარტს აკმაყოფილებს, თუმცა მათ სურვილი ცხადად, ჯერ არ გამოუხატავთ. შესაბამისად, 2026 წლის პირველ ნახევარში ტრანსფორმირებას არ ველოდებით. თუმცა, არსებული მიკრობანკების წარმატება შესაძლოა მოტივაცია გახდეს სხვებისთვისაც“, – ამბობს დევდარიანი.

2025 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ბრუნვის 43.5%-მდე შემცირდა

საქსტატმა 2025 წლის საგარეო ვაჭრობის წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც გასულ წელს საქართველოს ექსპორტი 11.2%-ით, 7.3 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. იმპორტი კი 9.7%-ით, 18.5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. შესაბამისად, საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვა 25.8 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო სალდო (იმპორტსა და ექსპორტს შორის სხვაობა) მინუს 11.2 მილიარდი დოლარი იყო. ამგვარად, უარყოფითი სავაჭრო სალდო მთლიანი ბრუნვის 43.5%-ს შეადგენდა.

საქსტატის თანახმად, 2025 წელს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გასულ წელს სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი შემცირდა, ხოლო ექსპორტის – გაიზარდა.

2024 წელს უარყოფითი ბალანსი მთლიანი ბრუნვის 44% იყო, შესაბამისად 2025 წელს ის ნახევარი პროცენტული პუნქტით შემცირდა. 2023 წელს კი უარყოფითი ბალანსი ბრუნვის 43.9% იყო.

თუმცა, საქართველოს უფრო დაბალი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 2022 წელს – 41.6%; 2021 წელს – 40.8%; 2020 წელს – 41.3% და 2019 წელს, რაც მაშინ ბრუნვის 43%-ს შეადგენდა.

მსოფლიო ბანკი წელს საქართველოში 5.5%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ახალი ანგარიშის, „გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები 2026“ თანახმად, საქართველოს ეკონომიკა კავკასიისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებთან ერთად ინარჩუნებს მყარ ეკონომიკურ დინამიკას, თუმცა რეგიონული და გლობალური ფაქტორების გავლენით 2025 წელთან შედარებით ზრდის ტემპის გარკვეული შემცირებაა მოსალოდნელი.

2025 წელს მსოფლიო ბანკის თანახმად, საქართველოს ეკონომიკა 7%-ით გაიზარდა, 2026 წელს კი 5.5%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი. ზრდის ეს პროგნოზი 0.5 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს მთავრობის პროგნოზი, რადგან 2026 წლის ბიუჯეტი 5%-იან ზრდაზე არის დაგეგმილი.

2026 წელს მსოფლიო ბანკის პროგნოზები რეგიონის ქვეყნებისთვის ასე ნაწილდება:

- საქართველო – 5.5%-ის ზრდა;
- სომხეთი – 4.9%-ის ზრდა;

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“ გთავაზობთ ფინანსურ სერვისებს თქვენი ბიზნესისთვის!

ჩვენი სერვისებია:

ფინანსური მენეჯერის/დირექტორის (CFO) აუთსორსინგი

- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- ფინანსური მოდელირება და სცენარების ანალიზი;
- წლიური, კვარტალური და ყოველთვიური ბიუჯეტირება და გადახრების ანალიზი;
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში და რესურსების მოზიდვაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები.

ფინანსური ანალიზი და დიაგნოსტირება

- კომპანიის ბიზნეს-პროცესების შესწავლა და ფინანსური მართვის სისუსტეების გამოვლენა;
- ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო ხარჯების ანალიზი;
- ბიზნესის ფინანსური შეფასება მომგებიანობის, ლიკვიდურობის, ეფექტიანობის, გადახდისუნარიანობის მიმართულებით;
- კომპანიის ზუსტი ფინანსური დიაგნოსტირება და სტრატეგიის დაგეგმა მენეჯმენტთან ერთად.

ფინანსური მართვის პროცესების სრული მოწესრიგება

- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, ბუღალტრული აღრიცხვის პროცესების მოწესრიგება და რეპორტინგის სისტემის გამართვა/ჩამოყალიბება;
- ფინანსური მოდელირება და სტრატეგიული დაგეგმვა;
- ბიუჯეტირების პროცესის დანერგვა და კონტროლი;
- საოპერაციო ხარჯების მართვა და ოპტიმიზაცია;
- ფინანსური დეპარტამენტის მართვის პროცესების და KPI სისტემების დანერგვა;
- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები;
- კომპანიის ლიკვიდურობისა და მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

დაგვიკავშირდით: მობ.: 579 30 71 71 // 598 55 53 15
info@levco.ge

- აზერბაიჯანი – 1.8%-ის ზრდა;
- თურქეთი – 3.7%-ის ზრდა;
- უკრაინა – 2%-ის ზრდა;
- რუსეთი – 0.8%-ის ზრდა;
- ყაზახეთი – 4.5%-ის ზრდა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამხრეთ კავკასიაში 2026 წელს საშუალო ზრდა 3.3% იქნება. აზერბაიჯანში ეკონომიკურ აქტივობას ნახშირწყალბადების წარმოების დაბალი ზრდა ზღუდავს, რასაც ნავთობის ფასების ვარდნა და მკაცრი ფისკალური პოლიტიკა ზღუდავს.

სომხეთსა და საქართველოში კი მსოფლიო ბანკის პროგნოზით, მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური აქტივობა წინა წლებში არსებული მაღალი მაჩვენებლებიდან ნორმალიზების მდგომარეობაში გადავა. ამასთან, მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2025 წლის აგვისტოში მიღწეული წინასწარი სამშვიდობო შეთანხმება, სავარაუდოდ, გააძლიერებს სტაბილურობას და ხელს შეუწყობს რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებას.

რუბრიკის სპონსორი –
ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა
შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC

MOORE

კითხვა-პასუხი

კითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გასცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის ----------

შ ე კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: ----------

---

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.
(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა **შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს აუდიტორი ფარნაოზ წულაია.**

კითხვა: **ღვინის კომპანიის ლაბორატორიის ბალანსზე ირიცხება კოლბები, პიპეტი, ცილინდრი, სინჯარები, რომელთა თვითღირებულება (ერთეულის) 1-დან 100 ლარამდე ფარგლებში მერყეობს. ყოველთვიურად ნაშთს აკლდება, იმტვრევა, იმსხვრევა... ასევე გვაქვს ისეთი ხელსაწყოები, მაგალითად, რეფრაქტომეტრი, PH-მეტრი, რომელთა ღირებულება 150-დან 200 ლარამდე მერყეობს. როგორ უნდა მოხდეს მათი აღრიცხვა, რა ანგარიშზე გატარდეს შესყიდვა და ასევე მტვრევა, მსხვრევის აღრიცხვა (ბუღალტრული გატარება)?**

პასუხი: ასეთი მცირეფასიანი ინვენტარის შემთხვევაში მუდამ დგას სააღრიცხვო საკითხი: აღიარებული იქნეს ისინი ძირითად საშუალებებად თუ პირდაპირ საწარმოო ხარჯად აღიარდეს?

მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი ასე განმარტავს ძირითად საშუალებებს:

„7.2. ძირითადი საშუალებები – მატერიალური აქტივები, რომლებიც: (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად; ივარით გასაცემად ან

ადმინისტრაციული მიზნებისათვის; (ბ) მოსალოდნელია მათი ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი პერიოდის განმავლობაში გამოყენება".

ანალოგიური განმარტებაა მოცემული მსს ფასს-შიც:

„17.2. ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

(ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად".

იგივე განმარტებაა ბასს 16-ში „ძირითადი საშუალებები" (მე-6 მუხლი):

„ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

ა) იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება: საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად".

ნებისმიერი სტანდარტის მიხედვით, მატერიალური აქტივის შეძენის/შექმნის შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ასაღიარებლად საჭიროა ე.წ. აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება, როგორიცაა სამომავლო ეკონომიკური სარგებელი და ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ სტანდარტებში პირდაპირ ნახსენები არ არის, რომ გარდა ამ კრიტერიუმებისა, არის ძირითად საშუალებად აღიარებისათვის საჭიროა კიდევ ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი კრიტერიუმის – ფასის (ღირებულების) არსებითობის გამოყენება. იგულისხმება, რომ თუ მატერიალური აქტივი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების აღიარების ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მისი ფასი უმნიშვნელოა, ის განიხილება ხარჯად და არა ძირითად საშუალებად. ანუ, მატერიალური აქტივის ძირითად საშუალებად ცნობისათვის საჭიროა, რომ მისი ღირებულება აღემატებოდეს გარკვეულ ზღვარს (რაც შეიძლება განსაზღვრული იქნეს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით), მაგრამ ეს დოგმა არ არის, და ზოგ შემთხვევაში ხდება ინდივიდუალურად უმნიშვნელო ერთეულების გაერთიანება ძირითად საშუალებად აღიარების კრიტერიუმის გამოსაყენებლად. არც მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი და არც მსს ფასს არ იძლევა კონკრეტულ მითითებას ამ საკითხზე, მაგრამ ამ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვიყენოთ ბასს 16-ის მე-9 მუხლი, რომლის თანახმადაც:

„მოცემული სტანდარტი არ ადგენს აღიარების საზომ ერთეულს, ე.ი. რას მოიცავს ძირითადი საშუალების ერთეული. ამგვარად, საჭიროა განსჯა, აღიარების კრიტერიუმის გამოსაყენებლად ამა თუ იმ საწარმოს კონკრეტული ვითარების მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ინდივიდუალურად უმნიშვნელო ერთეულების გაერთიანება და კრიტერიუმის გამოყენება აგრეგირებული ღირებულებისათვის".

ჩვენ მიერ აღნიშნული ნიშნავს, რომ მატერიალური აქტივის (აქ არ იგულისხმება მარაგი) შექმნაზე/შეძენაზე გაწეული დანახარჯები, გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება აღიარებული იქნეს ან ძირითად საშუალებად, ან მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

თქვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ლაბორატორიული ინვენტარი, რაც დათვლადია, აღიარდეს ძირითად საშუალებებად, მიუხედავად იმისა, რომ მათი ღირებულება (ცალ-ცალკე) უმნიშვნელოა.

ცხადია, ამ ინვენტარიდან ზოგიერთი მალე გატყდება ან დაზიანდება, და საჭირო იქნება მათი პერიოდული განახლება. დაზიანებული ინვენტარი ჩამოიწერება არასაოპერაციო ზარალზე (ძირითადი საშუალების ღირებულება დარიცხული ცვეთის გამოკლებით უნდა მიეკუთვნოს 8230 ანგარიშის დებეტს). მათ ჩამოსაწერად წელიწადში ერთხელ შეგიძლიათ ჩაატაროთ ინვენტარიზაცია, მანამდე კი ამ ინვენტარის მიმართ გამოიყენოთ წრფივი ცვეთა მაღალი წლიური პროცენტით – 20-50%, რაც სასარგებლო სამსახურის 2-5 წლიან ვადას ნიშნავს.

კითხვა: **ღვინის ქარხანაში 50-ტონიანი წყლის რეზერვუარი (ავზი) ბალანსზე არ იყო აღრიცხული თავის დროზე და მერე ჩემ მიერ იქნა დასმული 0.01 ლარად. ახლა მოხდა მისი დემონტაჟი და სავარაუდოდ ჯართია.**

1) დემონტაჟის შედეგად გაწეული ხარჯი, სად გავუშვა? მსს ფასს-ით ვსარგებლობთ.

2) ჯართად აღიარება ასეთი გატარებებით შეიძლება?

დ-ტი 6199/ძს რეალიზაცია კ-ტი 2189/ავზი 0.01;

დ-ტი 2289/ავზის ცვეთა კ-ტი 6199 0.01;

დ-ტი 1694/ჯართი 8193 ჯართის საბაზრო ფასი.

პასუხი: 1) შესაძლებელია დასმული საკითხის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა, იმისდა მიხედვით, თუ რა არის ამ დემონტაჟის მიზანი: ადგილის გათავისუფლება ახალი ძირითადი საშუალების დასამონტაჟებლად, გამოუყენებელი ძირითადი საშუალების გაყიდვა თუ უსარგებლო ძირითადი საშუალების ჩამოწერა ჯართად მისი გაყიდვის მიზნით. თუ პირველ ან მეორე გარემოებასთან გვაქვს საქმე, მაშინ ავზის დემონტაჟის ხარჯი – მიმდინარე პერიოდის არასაოპერაციო ხარჯია, ხოლო მიღებული მარაგის (ჯართის) თვითღირებულება იქნება 0-ის ტოლი.

თუ მესამე გარემოებასთან გვაქვს საქმე, მაშინ, რეზერვუარის დემონტაჟის ხარჯი მიეკუთვნება ამ დემონტაჟის შედეგად მიღებული ჯართის (როგორც მარაგის) თვითღირებულებას. მსს ფასს-ის 13.5 მუხლის თანახმად, *„მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად“.*

შესაბამისად, მესამე გარემოების შემთხვევაში მიზანშეწონილად მივიჩნევთ დემონტაჟის შედეგად გაწეული ხარჯი ჩაითვალოს ჯართის თვითღირებულებად, მაგრამ თუ ეს თანხა გადააჭარბებს ჯართის ნეტო-სარეალიზაციო ღირებულებას, მაშინ აღრიცხვის დამკვიდრებული წესების მიხედვით, ჯართი უნდა აღირიცხოს ამ ორ სიდიდეს – თვითღირებულებასა და ნეტო-სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი რიცხვით.

2) როდესაც ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვა ან ჩამოწერა, ჩვენ მიერ რეკომენდებულია ტრანზიტული ფუნქციის მატარებელი 6199 ბუღალტრული ანგარიშის გამოყენება. ამ მხრივ, შენიშვნა არ გვაქვს, მაგრამ ჯართის საბაზრო ფასით აღიარებას მხარს არ ვუჭერთ, რადგან მსს ფასს-ის 13.4 მუხლის მიხედვით:

„13.4. საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები“.

შესაბამისად, ბუღალტრული გატარებები ასეთი იქნება:

დ-ტი 6199 კ-ტი 2189/ავზი 0.01,

დ-ტი 2289/ავზის ცვეთა კ-ტი 6199 0.01;

დ-ტი 8230 კ-ტი 3110 (ან 3131) X – თუ დემონტაჟის ხარჯებს ვაღიარებთ არასაოპერაციო ზარალად;

დ-ტი 1694/ჯართი კ-ტი 3110 (ან 3131) X, თუ დემონტაჟის ხარჯებს მივაკუთვნებთ ჯართის თვითღირებულებას.

კითხვა: ქართულმა კომპანიამ, რომელიც ახორციელებს სასოფლო–სამეურნეო საქმიანობას, შეიძინა მზის სისტემის პანელები. შედეგად, კომპანია არ მოიხმარს გარე მომწოდებლებისგან შეძენილ ელექტროენერგიას და ელექტროენერგიის საჭიროებას იკმაყოფილებს დამოუკიდებლად საკუთარი წყაროდან. გარდა ამისა, შესაძლოა წარმოიქმნას შემთხვევა, როდესაც კომპანია დააგენერირებს ელექტროენერგიას ჭარბად, რაც გადააჭარბებს მისი საქმიანობისთვის საჭირო მოცულობას. გთხოვთ, განმარტოთ:

1) როგორ ხდება ჭარბი ელექტროენერგიის საგადასახადო დაბეგვრა, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მას გადასცემს/მიჰყიდის გარე პირებს (მაგალითად, ელექტროენერგიის გადამცემ სისტემაში ჩართვის ან სხვა ფორმით რეალიზაციის გზით)?

2) რა ბუღალტრული აღრიცხვის წესები უნდა იქნეს გამოყენებული ელექტროენერგიის შიდა მოხმარებისთვის (შესაბამისად, როდესაც იგი არ იქმნება რეალიზაციისთვის)?

3) ელექტროენერგიის რეალიზაციის შემთხვევაში, არსებობს თუ არა რამე რეგისტრაციის, საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის ან რაიმე სხვა კონკრეტული სავალდებულო პროცედურა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც უნდა გაითვალისწინოს კომპანიამ ჭარბი ელექტროენერგიის წარმოშობისა და/ან შესაძლო გადაცემის/გაყიდვის შემთხვევაში?

პასუხი: 1) თუ ელექტროენერგიის მწარმოებელი აპირებს ჭარბი ელექტროენერგიის სხვა ელექტროენერგეტიკული საწარმოსთვის ან მომხმარებლისთვის მიყიდვას, ის ექცევა „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონის რეგულირების ქვეშ. რაც შეეხება დაბეგვრას, სსკ 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, *„4. დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, ასევე გათავისუფლებულია:*

ჩ) ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება, გარდა ელექტროენერგიის „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იმ მომხმარებლისთვის მიწოდებისა, რომელიც ელექტროენერგიას ყიდულობს საკუთარი მოხმარებისთვის“.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ჰ[(13)] პუნქტის მიხედვით, საბოლოო მომხმარებელი არის *„მომხმარებელი, რომელიც ელექტროენერგიას ან/და ბუნებრივ გაზს საკუთარი მოხმარებისთვის ყიდულობს, ავტოგაზგასამართი სადგური, ელექტროტრანსპორტის დამტენი პუნქტი/სადგური“.*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ეს საქართველოს კომპანია ჭარბ ელექტროენერგიას გაყიდის არასაბოლოო მომხმარებელზე (ელექტროენერგიის გამანაწილებელ საწარმოზე), ეს გაყიდვა გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, ხოლო თუ გაყიდვა ხდება საბოლოო მომხმარებელზე, ეს დაიბეგრება დღგ-ით.

2) სსკ 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახად:

„2. ელექტროენერგია, გაზი, წყალი, თბოენერგია, გაგრილების ენერგია და სხვა მსგავსი ქონება განიხილება მატერიალურ ქონებად“.

დამკვიდრებული პრაქტიკით, იგივე მიდგომაა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ბუღალტრულ აღრიცხვაშიც.

შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი სტანდარტით წარმართავს ბუღალტრულ აღრიცხვას ეს კომპანია, მან უნდა ისარგებლოს ბასს 2-ით „მარაგები", ან მსს ფასს-ის მე-13 განყოფილებით, ან მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის მე-6 განყოფილებით. წარმოებული ელექტროენერგია მან უნდა აღრიცხოს როგორც საკუთარი წარმოების მზა პროდუქცია, რომლის ნაწილი იყიდება, ხოლო ნაწილს მოიხმარს (ხარჯავს) საკუთარი მიზნებისათვის.

3) ელექტროენერგიის მწარმოებელმა, რომელიც აპირებს ჭარბი ელექტროენერგიის მიყიდვას სხვა ელექტროენერგეტიკული საწარმოსთვის ან მომხმარებლისთვის, უნდა იხელმძღვანელოს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონის დებულებებით, ასევე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი რეგულაციებით, რადგან ის დააკმაყოფილებს აღნიშნულ კანონის მე-3 მუხლში მოცემულ ელექტროენერგეტიკული საწარმოს განსაზღვრებას:

„ჰ[8]) ელექტროენერგეტიკული საწარმო – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი (გარდა საბოლოო მომხმარებლისა), რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მიწოდების საქმიანობებიდან ერთ-ერთს მაინც ან/და არის ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ან/და ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის მესაკუთრე ან/და ელექტროენერგიის დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, ვაჭრობს ელექტროენერგიით ან ახორციელებს ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირებას ან ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირებას და პასუხისმგებელია აღნიშნულ საქმიანობებთან დაკავშირებული კომერციული, ტექნიკური ან/და მოვლა-პატრონობის ფუნქციების შესრულებისთვის".

ამასთან, მცირე და მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურებით ელექტროენერგიის წარმოება ლიცენზირებას არ საჭიროებს.

აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, *„4. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ან ენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების, ელექტროენერგიით ან ბუნებრივი გაზით ვაჭრობის ან ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირების საქმიანობას, რომელიც ლიცენზიას არ საჭიროებს, ან რომელიც აპირებს აღნიშნული საქმიანობის განხორციელებას, ვალდებულია განაცხადოს ამის თაობაზე ამ კანონის 102-ე მუხლის შესაბამისად".*

ეს 102-ე მუხლი კი, დასახელებით „შეტყობინება მიწოდებისა და სხვა საქმიანობის შესახებ, რომელთა ავტორიზაცია არ მოითხოვს ლიცენზიის გაცემას", ადგენს:

„1. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ან ენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს მიწოდების, ვაჭრობის ან ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირების საქმიანობას ან რომელსაც სურს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება, ამის შესახებ ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით ატყობინებს კომისიას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ენერგეტიკული საწარმო კომისიას წერილობით შეტყობინებას წარუდგენს შესაბამისი საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. საქმიანობის დაწყება გულისხმობს ელექტროენერგიის გამომუშავებას (გარდა ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდებას მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ორგანიზებულ ბაზარზე ელექტროენერგიით ან ბუნებრივი გაზით ვაჭრობის დაწყებას ან ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირებას. კომისიისთვის წარდგენილ წერილობით შეტყობინებას უნდა დაერთოს დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის, ენერგეტიკული საწარმოს შემთხვევაში – მისი სარეგისტრაციო მონაცემები, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები, ხოლო მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის შემთხვევაში – აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია, ამასთანავე, ინფორმაცია განხორციელებული ან დაგეგმილი გამომუშავების, მიწოდებისა და ვაჭრობის საქმიანობების შესახებ, ამ საქმიანობების სავარაუდო წლიური ბრუნვა და კომისიის შესაბამისი სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა მონაცემები და დოკუმენტები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ კომისიისთვის წარდგენილი შეტყობინება საინფორმაციო ხასიათისაა. კომისიას უფლება არ აქვს, რომელიმე ენერგეტიკულ საწარმოს აუკრძალოს ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება. ეს პუნქტი არ ვრცელდება მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურზე, რომელზედაც გაცემული არ არის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ზღუდავს კომისიის უფლებამოსილებას, განახორციელოს ენერგეტიკული საწარმოს საქმიანობის ზედამხედველობა, მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებს, თუ არსებობს ეჭვი ელექტროენერგიის მიმწოდებლის, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის, ტრეიდერის ან/და ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ან/და საჭიროების შემთხვევაში ენერგეტიკულ საწარმოს ამ კანონის 153-ე მუხლის შესაბამისად დააკისროს ჯარიმა.

5. თუ ენერგეტიკული საწარმო წყვეტს ან აპირებს, რომ შეწყვიტოს საქმიანობა, იგი აღნიშნულის შესახებ წერილობით ატყობინებს კომისიას კომისიის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტის შესაბამისად საქმიანობის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

6. კომისია აწარმოებს საქართველოში საქმიანობის განმახორციელებელი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების, ელექტროენერგიის მიმწოდებლების, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების, ტრეიდერებისა და ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორების რეესტრს, რომელიც საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად კომისიის ვებგვერდზე ქვეყნდება".

საყურადღებოა ასევე 103-ე მუხლი „მიწოდების წესები":

„1. მიმწოდებლისა და საბოლოო მომხმარებლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მიწოდების ხელშეკრულებით.

2. მიწოდების ხელშეკრულების დადებასა და მის შინაარსთან დაკავშირებულ დამატებით საკითხებს აწესრიგებს კომისია ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დამტკიცებული მიწოდების წესებით, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ყველა მიმწოდებლისთვის. მიწოდების წესები მტკიცდება როგორც ელექტროენერგიის, ისე ბუნებრივი გაზის სექტორისთვის".

კითხვა: შპს–მ, რომელსაც ჰყავს ორი დამფუძნებელი ფიზიკური პირი, ესპანეთში გახსნა ფილიალი, სამშენებლო კომპანია და იქ დარეგისტრირდა, როგორც მუდმივი დაწესებულება. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგება გადმოირიცხა შპს–ში და იქ, ესპანეთში დაიბეგრა მოგების გადასახადით. კომპანიამ ფიზიკურ პირებზე გასცა დივიდენდი და მხოლოდ გადახდის წყაროსთან დაბეგრა 5% –ით, არ დაბეგრა მოგების გადასახადით (რადგან მოგების გადასახადით დაიბეგრა ესპანეთში). გვაინტერესებს, რამდენად სწორი იყო კომპანიის ქმედება?

პასუხი: მართალია, სსკ 98[1] მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, *„2. განაწილებულ მოგებად არ ითვლება:... ე) საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) მიღებული დივიდენდის განაწილება"*, მაგრამ უცხოეთში რეგისტრირებული ფილიალიდან მოგების მიღება – დივიდენდის მიღება არ არის, რადგან ფილიალი ცალკე მოქმედ სუბიექტს არ წარმოადგენს (ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნებისათვის, ფილიალის აღრიცხვა და ანგარიშგება აუცილებელი წესით უნდა გაერთიანდეს სათავო ოფისის აღრიცხვა-ანგარიშგებასთან)! ამიტომ ეს დებულება (და მასთან დაკავშირებული ამავე მუხლის მე-5 ნაწილი) მოცემულ შემთხვევას არ ეხება.

შესაბამისად, როდესაც დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე" მყოფი შპს გაანაწილებს მოგებას თავის პარტნიორ ფიზიკურ პირებზე, ის დაექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე დაიბეგრა ესპანეთში. თუმცა, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი შეღავათი, კერძოდ, თუ განაწილებული მოგება მოიცავს უცხოეთის ფილიალიდან მიღებულ მოგებას, თქვენ შეგეძლებათ ჩაითვალოთ უცხოეთის ამ ქვეყანაში გადახდილი მოგების გადასახადი, სსკ 124-ე მუხლის „საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი გადასახადის ჩათვლა" მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული პირობების თანახმად:

„2. საწარმო, რომელიც მოგების გადასახადით მოგების განაწილებისას იბეგრება, უფლებამოსილია გაცემული დივიდენდის მიხედვით მოგების გადასახადის გადახდისას შესაბამისი საგადასახადო პერიოდისათვის ჩაითვალოს საქართველოს ფარგლების გარეთ გადახდილი მოგების გადასახადი იმ შემოსავალზე, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით ჩათვლილი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადების იმ თანხების ოდენობას, რომლებიც ამ მოგებაზე საქართველოში იქნებოდა დარიცხული საქართველოში არსებული წესითა და განაკვეთებით".

მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციაში ჩათვლილი თანხა აისახება მის 25.2 სტრიქონში „უცხოეთში გადახდილი გადასახადის ჩასათვლელი თანხა – წყაროსთან დაკავებული ან გადახდილი გადასახადის თანხა, რომელიც გამოანგარიშებული იქნებოდა საქართველოში აღნიშნულ შემოსავალზე".

აღნიშნულის ნათელსაყოფად, მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ, ესპანეთში რეგისტრირებულმა ფილიალმა მიიღო მოგება 40000 ლარი და ესპანეთში მოგების გადასახადის განაკვეთია 25%. შესაბამისად, ამ ფილიალმა გადაიხადა (ან უნდა გადაიხადოს) ესპანეთის ბიუჯეტში 10000 ლარი, ხოლო დანარჩენი 40000-10000=30000 ლარი მოგება გადაერიცხა სათავო ოფისს საქართველოში. სათავო ოფისმა (საქართველოს შპს-მ) პარტნიორ რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გასცა 85000 ლარი დივიდენდი (5%-იანი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით), რომლის შესაბამისი მოგების გადასახადია 85000/0.85*15%=15000 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში, შპს-ს შეუძლია ჩაითვალოს ესპანეთში გადახდილი მოგების გადასახადიდან ნაწილი. რადგან ფაქტობრივად გაცემული დივიდენდებიდან – 85000 ლარიდან 30000 ლარი არის ესპანეთის ფილიალიდან მიღებული მოგების ხვედრითი წილი, ხოლო საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი – 15%-ია, ამიტომ

ჩასათვლელი მოგების გადასახადი იქნება ესპანეთში გადახდილი მოგების გადასახადის 10000 ლარის მხოლოდ ნაწილი – 30000/0.85*15%=5294.12 ლარი.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის არსებობს საერთაშორისო შეთანხმება „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ", რომელიც ძალაშია 01.07.2011 წ.-იდან. შესაძლოა, ეს შეთანხმება შეიძლება მოიცავდეს ჩვენ მიერ ზემოაღნიშნულისგან განსხვავებულ პირობებს. მაგალითად, მის 24-ე მუხლში „ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა", 1-ლი ნაწილის „a" პუნქტში წერია:

„1. a) როდესაც საქართველოს რეზიდენტი იღებს შემოსავალს, ან ფლობს კაპიტალს, რომელიც ამ შეთანხმების დებულებების თანახმად შეიძლება დაიბეგროს ესპანეთში, საქართველო დაუშვებს:

i. ამ რეზიდენტის შემოსავალზე გადასახადიდან იმ თანხის გამოქვითვას, რომელიც ესპანეთში შემოსავალზე გადახდილი გადასახადის ტოლია".

დამატებითი რეკომენდაციებისათვის მიმართეთ საერთაშორისო დაბეგვრის სპეციალისტებს.

კითხვა: ჩვენს კომპანიას, რომელიც დაბეგვრის „ესტონურ მოდელზეა", სამედიცინო დანადგარების არარეზიდენტი მიმწოდებლის (არ არის ოფშორული კომპანია, არ აქვს მუდმივი დაწესებულება საქართველოში) წინაშე აღებული აქვს შემდეგი ვალდებულება: როდესაც მყიდველი ჩვენგან ყიდულობს ახალ დანადგარს და აბრუნებს ძველს, გაანადგურეს ეს ძველი დანადგარი ადგილზე. ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი ახალი დანადგარის მიწოდებისას არარეზიდენტმა მიმწოდებელმა გადაგვახდევინა 30000 ევრო როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფი დეპოზიტი. ძველი დანადგარის განადგურების შემდეგ, როცა ეს მოხდება, ეს 30000 ევრო დაგვიბრუნდება უკან, თუმცა ამ თანხის გადარიცხვაზე რამე წერილობითი ხელშეკრულება არ არსებობს, მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებაა.

დაიბეგრება თუ არა მოგების გადასახადით არარეზიდენტისთვის გადახდილი ეს დაბრუნებადი დეპოზიტი?

პასუხი: ვინაიდან თქვენი არარეზიდენტი მიმწოდებელი არ არის არც საფინანსო დაწესებულება და არც სახელმწიფო დაწესებულება, მისთვის „ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფი დეპოზიტის" თანხა, რომელიც მის თავისუფალ განკარგვაში გადაირიცხა (ანუ, რომლის შემდგომ გამოყენებას მიმღები თავისუფლად ახდენს), სხვა არაფერია, თუ არა მისთვის სესხის მიცემა ამ ფორმით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, „სესხის ცნება" განმარტებულია მარტივად:

„სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი".

ამასთან, ამავე კოდექსის 624-ე მუხლის მიხედვით, *„სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც".*

ზემოაღნიშნული ნიშნავს იმას, რომ თქვენ მიერ არარეზიდენტი მიმწოდებლისთვის მის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გადარიცხული „დეპოზიტის" თანხა უნდა დაიბეგროს მოგების გადასახადით, რადგან სსკ 98^2 მუხლის მე-3 ნაწილის „ზ" პუნქტის თანახმად, *„3. მოგების გადასახადით იბეგრება:...*

ზ) ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე სესხის გაცემა (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შეძენისა). ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე".

როდესაც თქვენ მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მერე მიმწოდებელი დაგიბრუნებთ დეპოზიტის თანხას, თქვენ დაიბრუნებთ ამ მიზეზით გადახდილ მოგების გადასახადის თანხას, სსკ 98^2 მუხლის მე-8 მუხლის შესაბამისად:

„8. თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და ამ კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა".

რაც შეეხება ამ დეპოზიტზე პროცენტის დარიცხვას და დაბეგვრას, მას არ მივიჩნევთ მიზანშეწონილად დეპოზიტის სავარაუდო მოკლევადიანობის გამო, მით უფრო, რომ მისი დანიშნულება „კლასიკური" სესხი არ არის. თუმცა, თუ დეპოზიტის დაბრუნება არ მოხდება მცირე ვადაში, მაშინ საქართველოს ეროვნული ბანკის საბაზრო განაკვეთით განსაზღვრული პროცენტის თანხა, რომელსაც მიმწოდებელი არ გადაუხდის საქართველოს კომპანიას, ასევე იქნება მოგების გადასახადით დასაბეგრი.

კითხვა: ე.წ. დაბეგვრის „ესტონური მოდელით“ მომუშავე კომპანიები (შპს–ები) არიან ურთიერთდამოკიდებული პირები. კერძოდ, მშობელი კომპანია შვილობილ კომპანიაში ფლობს 90%–იან წილს, რომელიც თანხობრივად შევსებულია ეტაპობრივად. მშობელ კომპანიას წარმოეშვა დებიტორული დავალიანება შვილობილი კომპანიის მიმართ, რომლის დაფარვაც ფინანსური სირთულეების გამო ვერ ხერხდება. მიღებულია გადაწყვეტილება შვილობილ კომპანიაში განთავსებული კაპიტალის შემცირების გზით მოხდეს ვალდებულებების ურთიერთჩათვლა (გადახურვა), რაც შესაბამისად გატარდება სამეწარმეო რეესტრში. ამასთან, შვილობილ კომპანიაში ფიქსირდება გაუნაწილებელი მოგებაც შედარებით ნაკლები ღირებულებით, რაც დებიტორული დავალიანება ან კაპიტალის ღირებულებაა.

გთხოვთ გვიპასუხოთ, კაპიტალის შემცირების და მოგების განაწილების გზით ურთიერთვალდებულების გადაფარვა ხომ არ წარმოშობს რაიმე საგადასახადო რისკს?

პასუხი: შვილობილ კომპანიაში განთავსებული კაპიტალის შემცირება (როდესაც დამფუძნებელ პარტნიორს კაპიტალში შენატანი ფაქტობრივად განხორციელებული აქვს) წარმოშობს შვილობილი კომპანიის ვალდებულებას დამფუძნებლის წინაშე. თუ დამფუძნებელს თავის მხრივ აქვს მოთხოვნა შვილობილი კომპანიის მიმართ, მხარეთა შეთანხმებით მათ შორის არსებული ეს მოთხოვნა-ვალდებულებები შეიძლება „გადაიხუროს“, ანუ მოხდეს ურთიერთჩათვლა. ეს არ წარმოშობს მოგების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს.

მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების გამო, შესაძლოა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სამსჯელო იყოს, შინაარსობრივად ხომ არ ხდება არა კაპიტალის შემცირება, არამედ შვილობილი კომპანიიდან მოგების გატანა ამ ფორმით, იმ ნაწილში, რა ნაწილისთვის არის გაუნაწილებელი მოგება საკმარისი. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი, მოგების გადასახადით დასაბეგრი რისკი არ არსებობს (გარდა იმ გამონაკლისისა, თუ ნაწილდება 2017 წლამდე მიღებული მოგება), რადგან ორივე კომპანია დაბეგვრის „ესტონურ მოდელზეა“.

კითხვა: დეკემბრის თვეში სააქციო საზოგადოებას მომსახურება გაუწია ოფშორში რეგისტრირებულმა უცხოურმა კომპანიამ, რომელსაც აქვს შესაბამისი ქვეყნის რეზიდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მომსახურების ღირებულება შეადგენს 100 000 (პირობითად) აშშ დოლარს, ხოლო მომსახურების საგანი გულისხმობს კონკრეტულ ბიზნეს–სექტორში, რეგიონული და საერთაშორისო ბაზრების შესწავლას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ანგარიშის მომზადებას. თანხის ნაწილი გადახდილ იქნა წინასწარ დეკემბრის თვეში, ხოლო დარჩენილი ნაწილის გადახდა მოხდა იმავე თვის ბოლოს, როდესაც განხორციელდა ზემოხსენებული ანგარიშის მოწოდება.

სააქციო საზოგადოებას არ აქვს ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებული ოპერაციები.

გთხოვთ, გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1) რა გადასახადებით დაიბეგრება სააქციო საზოგადოება და რა პერიოდში?

2) ხარჯში უნდა გატარდეს აღნიშნული მომსახურების თანხა, თუ აყვანილ იქნეს არამატერიალურ აქტივად?

3) არის თუ არა იმის რისკი, რომ აღნიშნული მომსახურების მიზნობრიობა, სააქციო საზოგადოების მოცულობისა და ეკონომიკური საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ დადგეს და გადაკვალიფიცირდეს, როგორც მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაცია?

პასუხი: 1) ვინაიდან აღნიშნული მომსახურების მიმღები არის საქართველოს რეზიდენტი დასაბეგრი პირი, ხოლო გამწევი – არარეზიდენტი პირია, ამ მომსახურების გაწევის ადგილად ჩაითვლება საქართველო, სსკ 162[1] მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად. ამიტომ ეს მომსახურება უნდა დაიბეგროს დღგ-ით, უკუდაბეგვრის წესით სსკ 161-ე მუხლის 1-„ა“ და 3-„ა“ პუნქტების მიხედვით, იმ თვეში, როდესაც დასრულდა ამ მომსახურების გაწევა, ხოლო თუ არარეზიდენტისთვის თანხა გადახდილია ავანსის სახით, მაშინ, როცა ავანსი იქნა გადახდილი.

მომსახურებისთვის გადახდილი საზღაური დაიბეგრება თუ არა გადახდის წყაროსთან არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით, დამოკიდებულია იმაზე, ჩაითვლება თუ არა ის თანხის მიმღებისთვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად სსკ 104-ე მუხლის მიხედვით, რაც დასმული კითხვიდან ნათლად არ ჩანს. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე, რაც აღნიშნულია ამ მუხლის 1-„გ“ პუნქტში:

„1. ამ კარის მიზნებისათვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება:...

გ) საქართველოში მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი. ამ მიზნით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მომსახურება საქართველოში გაწეულად ითვლება, თუ:

გ.ა) მომსახურება ფაქტობრივად გაიწევა საქართველოს ტერიტორიაზე;

გ.ბ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ უძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში;

გ.გ) მომსახურება დაკავშირებულია უშუალოდ მოძრავ ქონებასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოში;

გ.დ) მომსახურება დაკავშირებულია საქართველოს რეზიდენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან;

გ.ე) მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი არის საქართველო და მომსახურება გაიწევა კულტურის, ხელოვნების, განათლების, ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროებში;

გ.ვ) მომსახურების გაწევა დაკავშირებულია ტვირთების გადატანასთან ან მგზავრთა გადაყვანასთან და ტრანსპორტირების დაწყებისა და დასრულების ადგილი არის საქართველო;...

გ.თ) მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოში არიან და მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად (მათ შორის, მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი გაწეულია საქართველოში, მიუხედავად მისი ფაქტობრივად გადახდის ადგილისა), რაც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევმა საქართველოში გასწია მომსახურება".

ამ დებულებების გათვალისწინებით, რადგან მომსახურების გამწევი „ოფშორშია" რეგისტრირებული, თუ საზღაური დაიბეგრება გადახდის წყაროსთან, გადასახადის განაკვეთი იქნება 15%, სსკ 134-ე მუხლის 1^1 ნაწილის თანახმად:

„1^1. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ", „$ბ^1$" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიღებული შემოსავალი იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, 15 პროცენტით".

დაბეგვრა მოხდება იმ თვე(ებ)ში, როცა მოხდა არარეზიდენტისთვის თანხების გადახდა, რაც მოცემულ შემთხვევაში – დეკემბერია.

თუ გადახდილი საზღაური არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით გადახდის წყაროსთან, მაშინ სამსჯელო ხდება, ხომ არ წარმოიშობა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი სსკ 98^1 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" პუნქტის თანახმად, როგორც „კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება", იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურების ფაქტობრივი ფასი მის საბაზრო ფასს აღემატება. ეს გამომდინარეობს სსკ 127-ე მუხლიდან „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების ზოგადი პრინციპები", რომლის მე-3 და მე-5 ნაწილებში აღნიშნულია:

„3. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს, ნებისმიერი ოდენობის მოგება, რომელიც ოპერაციის დადგენილი პირობების საბაზრო პრინციპთან შესაბამისობის შემთხვევაში წარმოეშობოდა რომელიმე საწარმოს, მაგრამ საბაზრო პრინციპთან შეუსაბამობის გამო არ წარმოეშვა, შეიძლება ჩართულ იქნეს ამ საწარმოს დასაბეგრ მოგებაში და დაიბეგროს შესაბამისად...

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილის დებულებები ვრცელდება ისეთ შემთხვევებზედაც, როდესაც საქართველოს საწარმო შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის რეზიდენტთან ერთ ან რამდენიმე ფინანსურ ან კომერციულ ოპერაციას ახორციელებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ურთიერთდამოკიდებული პირები. ამასთანავე, ოპერაცია, რომლის ერთ-ერთი მხარე შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის რეზიდენტია, ჩაითვლება კონტროლირებულ ოპერაციად".

2) როგორც წესი, ასეთი სახის საკონსულტაციო ანგარიშების მომზადება განიხილება მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არ წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს, რადგან არ წარმოშობს რამე უფლებას მიმღები მხარისთვის და არც იდენტიფიცირებად აქტივს წარმოადგენს, რადგან შეუძლებელია მისი განცალკევება, ან გამოყოფა საწარმოდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზიით ან იჯარით გაცემა, ან გაცვლა.

3) ჩვენთვის უცნობია, რას საქმიანობს ეს სააქციო საზოგადოება და რამდენად არის ის შემხებლობაში იმ „კონკრეტულ ბიზნეს-სექტორთან", რომელთან დაკავშირებითაც მომზადდა ეს საკონსულტაციო ანგარიში. როგორც ჩანს, მისი საქმიანობა სხვაა, ვიდრე ის, რასაც ეს ანგარიში შეეხება. თუ საზოგადოება, საგადასახადო ორგანოს მხრიდან მოდავების შემთხვევაში, ვერ შეძლებს დაასაბუთოს, რომ ამ ანგარიშის მომზადება უკავშირდება საზოგადოების ახლანდელ ან მომავალ ეკონომიკურ საქმიანობას, მაშინ, ცხადია, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი წარმოიშობა სსკ 98^2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტიდან გამომდინარე:

„1. ამ მუხლის მიზნებისათვის ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მიეკუთვნება:...

ბ) ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება".

აღვნიშნავთ, რომ პრაქტიკის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში გადამხდელები ახერხებენ ხოლმე გაწეული ხარჯის ეკონომიკური მიზანშეწონილობის ახსნას.

რედაქციაში შემოსულ სხვა შეკითხვებს პასუხი გაეცემათ ჟურნალის შემდეგ ნომერში.

რუბრიკის სპონსორები:

www.aafcapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC – სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში

საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის / თბილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის – ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ–კაპიტალის“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერის“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს – კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მოთხოვნაა, რომ უფასო განცხადების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

ბანცხ. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – სასაუბრო. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – სასაუბრო, რუსული – ძალიან კარგი. კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული – ძალიან კარგად, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ბანცხ. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ბანცხ. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური – ძალიან კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 318811. ქალი, 34 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 049932. ქალი, 23 წლის, AAFC-2 კურსი, ინგლისური – საშუალო, რუსული – კარგად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 126008. ქალი, 62 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – კარგად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 189604. ქალი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 139832. ქალი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 129901. ქალი, 22 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, რუსული – კარგი, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 080011. ქალი, 22 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, რუსული – საშუალო, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 138530. ქალი, 36 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, რუსული – კარგი, ინგლისური – საშუალო, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 089112. ქალი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგი, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 089112. ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, რუსული – კარგი, ინგლისური – ძალიან კარგი, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 089612. ქალი, 24 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, რუსული – კარგი, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 088028. ქალი, 40 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგი, კომპიუტერი – საშუალო. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 139025. ქალი, 30 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალო, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 179322. ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 129521. ქალი, 25 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალოდ, გერმანული – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 088908. ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – ძალიან კარგად, რუსული – ძალიან კარგად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 128903. ქალი, 31 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – სუსტად, კომპიუტერი – კარგი. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 127510. ქალი, 44 წლის, უმაღლესი განათლებით, ბუღალტრად მუშაობის 15 წლის სტაჟით, AAFC-2/ AAFC-1 კურსები, რუსული – კარგად, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 115215. ქალი, 67 წლის, უმაღლესი განათლებით, ბუღალტრად მუშაობის 9 წლის სტაჟით, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – კარგად, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 139203. ქალი, 27 წლის, უმაღლესი განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სუსტად, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 138206. ქალი, 37 წლის, უმაღლესი განათლებით, ბუღალტრის თანაშემწის მუშაობის 6 წლის სტაჟით, AAFC-ის სრული სერთიფიკატი, კომპიუტერი – კარგად, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 018714. ქალი, 32 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-2 კურსები, ინგლისური – სუსტად, რუსული – საშუალოდ, ფრანგული – საშუალოდ, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 39410. კაცი, 25 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-2/ AAFC-1 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – კარგად, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 058919. კაცი, 30 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-2/ AAFC-1 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, რუსული – ძალიან კარგად, თურქული – კარგად, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 128214. ქალი, 36 წლის, ბუღალტრად მუშაობის 4 წლის სტაჟით, AAFC-1/AAFC-2/AAFC-5/AAFC-6 კურსები, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 138620. ქალი, 32 წლის, ბუღალტრად მუშაობის 5 წლის სტაჟით, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 129032. ქალი, 28 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – საშუალოდ, კომპიუტერი – საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

ᲒᲐᲜᲪᲮ. 189425. ქალი, 24 წლის, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური – კარგად, რუსული – საშუალოდ, კომპიუტერი – კარგად. ეძებს ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

***მეტი ინფორმაციის გასაგებად დაუკავშირდით შპს „ააფ-კაპიტალს“:* 599 25-47-13; 212-05-76 / 95.**

საზღვარგარეთის ამბები

საზღვარგარეთის ამბები – ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სიახლეებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

ვენესუელაში ამერიკული წესრიგი დამყარდა

რეგიონში ჩინურ „ინტერვენციასთან“ ბრძოლა გრძელდება

აშშ-ის მიერ ვენესუელაში ორგანიზებულმა სამხედრო ოპერაციამ რეჟიმის კოლაფსი მაშინვე არ გამოიწვია. თუმცა, მან მთელი ლათინური ამერიკისთვის მნიშვნელოვანი სიგნალი გაგზავნა – ტრამპის ადმინისტრაცია, ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შესაბამისად, ძალის გამოყენებისთვის ყოველთვის მზადაა. ახლა საფრთხე რეგიონში სხვა მემარცხენე და ცენტრისტულ-მემარცხენე მთავრობებისთვისაც ჩნდება. მომავალ სავარაუდო სამიზნეებად უნდა მოვიაზროთ კუბა, ნიკარაგუა, მექსიკა და კოლუმბია.

გლობალური პოლიტიკური თუ ეკონომიკური 2026 წელი დაიწყო მოულოდნელი და იმავდროულად, მოსალოდნელი მოვლენით, რომელიც მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, დასავლეთ ნახევარსფეროში აშშ-ის მთელი საგარეო პოლიტიკის მარკერი შეიძლება გახდეს: ვენესუელას მოქმედი, თუმცა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არალეგიტიმური პრეზიდენტის, ნიკოლას მადუროს ქვეყნიდან გატაცების საჰაერო სამხედრო ოპერაცია.

მოსალოდნელი იმიტომ, რომ 2025 წლის მეორე ნახევარში კარიბის ზღვაში ამერიკული საზღვაო კონტინგენტის (კოდური სახელწოდებით „სამხრეთის შუბი“) განლაგების მთელი ლოგიკა, ადრე თუ გვიან ძალადობრივ შეტევას გულისხმობდა. ვენესუელა ექვსი თვით ადრე მომზადებულ შესაფერის „საცდელ პოლიგონს“ წარმოადგენდა აშშ-ის ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის პირველი პრაქტიკული გამოცდისთვის. ეს დოკუმენტი წლის ბოლოს იქნა მიღებული და საკმაოდ გამარტივებული ფორმით, ჯეიმზ მონროს *(აშშ-ის პრეზიდენტი 1817-1825 წლებში – ავტ.)* დოქტრინის პრინციპებს განასახიერებდა.

ვენესუელას გარშემო არსებული სიტუაცია უკიდურესად რთული უკვე სექტემბრისთვის გახდა. გლობალური მეინსტრიმული მედიის პრიზმით ყველაფერი ნათელი ჩანდა: ვაშინგტონი სისტემატურად ზრდიდა ზეწოლას ვენესუელაზე და კარიბის ზღვაში განლაგებული წყალქვეშა ნავისა და რვა სამხედრო გემის საქმეში ჩართვა იოლად პროგნოზირებადი ჩანდა.

ძალისმიერი ჩარევის მოტივი ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ნარკოტიკების გადამზიდავი ვენესუელური გემის განადგურება გამოაცხადა და კოლეგა ნიკოლას მადურო ნარკოტიკებით ვაჭრობაში დაადანაშაულა. პენტაგონის მდივანმა პიტ ჰეგსეთმა განაცხადა, რომ თუ პრეზიდენტი გადაწყვეტს ვენესუელაში რეჟიმის შეცვლას, სამხედროები მიზნის მისაღწევად „ყველა რესურსს“ გამოიყენებდნენ. დამკვირვებლები პარალელებს ავლებდნენ 1989 წლის მოვლენებთან, როდესაც ინტერვენციამ პანამის ლიდერი მანუელ ნორიეგა ხელისუფლებას ჩამოაშორა.

ოპერაციის მოულოდნელობა კი, დროის ზუსტი პროგნოზირების შეუძლებლობაში მდგომარეობდა. საბოლოო ჯამში, ის დიდი დახვეწილობით და სიმბოლურადაც კი შეირჩა. ოპერაცია, რომელიც, თეთრი სახლის თქმით, რამდენიმე თვის განმავლობაში მზადდებოდა, კარაკასისთვის მნიშვნელოვანი თარიღებიდან და მოვლენებიდან მესამე დღეს დაიწყო. 1 იანვარი კუბის რევოლუციის წლისთავია – მნიშვნელოვანი თარიღი ლათინური ამერიკის მემარცხენე პოლიტიკური მოძრაობებისთვის და კერძოდ, ბოლივარიული ვენესუელისთვის. 2 იანვარს მადურომ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები გამართა ჩინეთის სპეციალურ წარმომადგენელთან ლათინურ ამერიკაში. იმავე დღეს, ვენესუელას საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააპროტესტა აშშ-ის მტრული ქმედებები ირანის წინააღმდეგ, თუმცა იმავდროულად, ვენესუელის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა აშშ-თან მოლაპარაკებებისთვის.

3 იანვარს განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, ვენესუელას ქაოსში ჩაძირვის უშუალო მიზნის გარდა, ასევე ძირს უთხრიდა კარაკასის საგარეო პოლიტიკის ძირითად დღის წესრიგს – კუბას, ჩინეთსა და ირანს; ამავე დროს აშშ-ის ყველა მეზობელმა დაინახა, რომ ტრამპთან თანასწორ პოლიტიკურ დიალოგს ტყუილად ელიან. ვენესუელას შიდა პოლიტიკის შედეგები ჯერ კიდევ ბოლომდე არაა განსაზღვრული, მაგრამ შესაძლებელია რამდენიმე საყრდენი წერტილის გამოყოფა.

პირველ რიგში, მადუროს გატაცების შემდეგ, ხელისუფლებამ და სახელმწიფო უწყებებმა შეძლეს ფუნქციების შესრულება და სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნება. მეორეც, ვენესუელას ვიცე-პრეზიდენტი დელსი როდრიგესი, რომელიც უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტად დანიშნა, აშკარად ფლობს მოლაპარაკების ძალას და, ასე თუ ისე, ეს შეერთებული შტატებისთვის მისაღებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, აშშ თავიდანვე რადიკალურ მემარჯვენე ოპოზიციას დაეყრდნობოდა, რომელსაც მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის

ლაურეატი მარია კორინა მაჩადო წარმოადგენდა. მესამე, აშშ-ის უარი მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლების ხელისუფლებაში დაწინაურებაზე იძლევა იმის დადასტურებას, რომ ვენესუელა სამოქალაქო ომის უფსკრულში არ ჩაეშვება. ამის ალბათობა კი მკვეთრად გაიზრდებოდა, თუ ვენესუელას საზოგადოების პოლიტიკური კრიტერიუმებით პოლარიზება მოხდებოდა.

სანქციებს მიჩვეული ვენესუელას ეკონომიკა

ვენესუელა სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს, სულ მცირე, XXI საუკუნის დასაწყისიდან განიცდის. სხვადასხვა შეფასებით, ინფლაციამ ასობით ათასიდან მილიონ პროცენტამდე მიაღწია. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ორჯერ გატარდა დენომინაცია. აშშ-ის სანქციებმა, რომლებიც ნავთობის სექტორს ეხებოდა, გაამწვავა ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რასაც თან ახლდა „ექსტრემისტული“ ოპოზიციისა და დამოუკიდებელი მედიის რეპრესიები, სოციალური მედიის დაბლოკვა და მოქალაქეების მასობრივი მიგრაცია დეფიციტისა და მზარდი კრიმინალის ფონზე.

ნიკოლას მადურო აშშ-ის სანქციებს „ეკონომიკურ ომს“ და სისასტიკით ვიეტნამის ომთან გათანაბრებულ „სასაკლაოს“ ადარებდა. *„აშშ ლულით საფეთქელთან არ უნდა გვეუბნებოდეს, რა ვაკეთოთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ კოლონიად გადავიქცევით“*, – აღნიშნავდა იგი.

მან თითქმის 30-მილიონიანი ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობა 2013 წელს დაიკავა და სიმსივნით გარდაცვლილი უგო ჩავესისგან მემკვიდრეობით მიიღო დაღმასვლის პროცესში მყოფი ეკონომიკა. ეკონომიკური სისტემის არაეფექტურობა სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ ფასებში, შერჩევით სუბსიდირებაში და ასობით ნაციონალიზებულ კომპანიაში გამოიხატებოდა. Bloomberg-ის კვლევაში მონაწილე შოკოლადის მწარმოებელი კომპანია Chocolates El Rey-ს ხელმძღვანელის ხორხე რედმონდის თქმით, ჩავესის მმართველობისას (1999-2013) შოკოლადის ექსპორტისთვის მხოლოდ 4 ეტაპის გადალახვა იყო საჭირო; 2021 წელს, როცა ბიუროკრატიის ზეობამ პიკს მიაღწია, პროცესი 90 ეტაპამდე გაფართოვდა და 19 სააგენტოს მოიცავდა.

Bloomberg-ი აღნიშნავს, რომ სამხრეთ ამერიკის ოდესღაც უმდიდრესი ვენესუელა ახლა ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად იქცა. სხვადასხვა შეფასებით, ბოლო 12 წლის განმავლობაში მისი ეკონომიკა თანამედროვე ისტორიაში რეკორდული 80%-ით შემცირდა. ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას სანიმუშოდ ასახავს დედაქალაქ კარაკასის ცენტრში მდებარე საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში არსებული მდგომარეობა: თითქმის ყველა შუქი გამორთულია, ტუალეტის კარზე წარწერაა „წყალი არ არის“, ცენტრალური ბანკის თანამშრომლებს სამსახურში საკუთარი ტუალეტის ქაღალდი დააქვთ და ელექტროენერგიის გათიშვა ყოველდღიურად ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აქ მოცემულია რამდენიმე რიცხვი, რომელიც აღწერს

ვენესუელაში ბოლო წლებში არსებულ ვითარებას:

– ვენესუელას ეკონომიკა ბოლო 9 წლის განმავლობაში 80%-ით შემცირდა;

– ვენესუელელების 90% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს;

– ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 6 მილიონზე მეტმა მცხოვრებმა დატოვა ქვეყანა. ვენესუელას ამჟამინდელი მოსახლეობა დაახლოებით 31,8 მილიონია;

– 2018 წელს ქვეყანაში ინფლაციამ რეკორდულ 130.060%-ს (ცენტრალური ბანკის მონაცემებით) და 1370.000%-ს (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით) მიაღწია;

– ეროვნულმა ვალუტამ ღირებულების 99% დაკარგა. ხელისუფლებამ ბოლო სამი წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელა ვალუტის დენომინაცია;

– ნავთობის წარმოება 2013 წლიდან ორზე მეტჯერ შემცირდა – იყო დღიური მოპოვება 2.500 ათასი ბარელი და 2025 წლის ნოემბრის საშუალო დღიური მაჩვენებელი 1.142 ათას ბარელს შეადგენდა. თუმცა, 2020-2021 წლებში დღიური რეკორდული ვარდნა 300-550 ათასი ბარელის ფარგლებშიც მერყეობდა.

ეკონომიკური კრიზისის ფონზე, 2020 წლიდან ვენესუელაში დანაშაულის მკვეთრი ზრდა მოხდა და მასობრივი საპროტესტო აქციების ტალღამ იმატა. საპასუხოდ, მადუროს რეჟიმმა ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები აღძრა და მედიაზე კონტროლი გაამკაცრა. აქვე გახშირდა ცივილიზებული სამყაროსთვის უცხო უცნაურობები. კერძოდ, ქაღალდის დეფიციტის გამო, 11 გაზეთი დაიხურა, ხოლო ქვეყნის უმსხვილესი გამოცემა El Nacional-ი იძულებული გახდა ტირაჟი მკვეთრად შეემცირებინა.

„დიქტატორს დამიძახებენ, მაგრამ არ მაინტერესებს. წესებს გავამკაცრებ, რათა ბოლო მოვუღო არაჯანსაღ ისტერიასა და პროპაგანდას, რომელიც სიკვდილს აღვივებს“, – აცხადებდა მადურო.

პრეზიდენტი მედიას ძალადობის წაქეზებაში ადანაშაულებდა საპროტესტო აქციების გაშუქების და „ანტიღირებულებათა“ ტრანსლირების გამო. მადურომ CNN-ის ჟურნალისტები პირველად ქვეყნიდან 2014 წელს გააძევა. *„მათ სურთ მსოფლიოს აჩვენონ, რომ ვენესუელა სამოქალაქო ომშია... საკმარისია ეს საომარი პროპაგანდა... ფაშისტების ჯგუფს სურს, თავიანთი აგრესიით მშვიდობა წაგვართვან“*, – ამბობდა იგი.

ვინც რეჟიმს ღიად აკრიტიკებდა, ისინი სისხლის სამართლის საქმეების ფიგურანტები ხდებოდნენ. The New York Times-ის ცნობით, 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, სასამართლომ ოპოზიციის ლიდერს, ენრიკე კაპრილესს, მადუროს პოტენციურ მეტოქეს, 15 წლით აუკრძალა საჯარო თანამდებობის დაკავება. ოპოზიციის სხვა ლიდერებსაც წაუყენეს ბრალი: 2014 წელს მარია კორინა მაჩადო მადუროს მკვლელობის შეთქმულებაში დაადანაშაულეს (მას 16 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა), ხოლო მომდევნო წელს კიდევ ერთ ცნობილ პოლიტიკოსს, ლეოპოლდო ლოპესს, მადუროს წინააღმდეგ ქუჩის საპროტესტო აქციების ხელმძღვანელობის შემდეგ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. გადატრიალების მცდელობისთვის დაკავებული კიდევ ერთი ოპოზიციური ფიგურა, ამჟამად კარაკასის ყოფილი მერი, ანტონიო ლედესმა იყო. ის 2015 წელს დააკავეს, მაგრამ შინაპატიმრობის შემდეგ, ლედესმა კოლუმბიაში გაიქცა, იქიდან კი ესპანეთში. 2019 წელს მთავრობამ ოპოზიციის ლიდერს და ეროვნული ასამბლეის (ადგილობრივი პარლამენტის) თავმჯდომარეს ხუან გუაიდოს, 15 წლით აუკრძალა საჯარო თანამდებობის დაკავება.

ვენესუელაში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მკვეთრად მას შემდეგ გაუარესდა, რაც ქვეყანას 2005 წლიდან ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ არასაკმარისი ბრძოლის გამო სანქციები დაუწესდა. 2015 წლიდან ზეწოლა უფრო გაძლიერდა, ძირითადად შეერთებული შტატების მხრიდან. „თეთრმა სახლმა“ ვენესუელას ამერიკის ფინანსურ ბაზრებზე და ცენტრალური ბანკის დოლარსა და საერთაშორისო ტრანზაქციებზე წვდომა დაბლოკა. ვენესუელას ხელმძღვანელობას ადამიანის უფლებების დარღვევაში, არჩევნების გაყალბებაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში, კორუფციასა და ვალუტით მანიპულირებაში ადანაშაულებდნენ. სანქციები მადუროს, მის მეუღლეს, ათობით თანამდებობის პირსა და სახელმწიფო კომპანიებს ეხებოდა. მოგვიანებით შეერთებულმა შტატებმა აკრძალა ვენესუელას მთავრობის ვალებთან ტრანზაქციები და სახელმწიფო ნავთობკომპანია Petróleos de Venezuela-სთან (PdVSA) საქმიანი ურთიერთობა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მადურომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა უარი თქვეს შედეგების აღიარებაზე (სულ ამ პოზიციას 60 ქვეყანა უჭერდა მხარს).

ვენესუელას ეკონომიკის ნავთობზე დამოკიდებულება

1990-იან წლებში ვენესუელა დღეში 3 მილიონ ბარელზე მეტ ნავთობს აწარმოებდა. თუმცა, მოგვიანებით წარმოება მკვეთრად შემცირდა. ქვეყანამ, რომელიც 1970-იან წლებში ლათინურ ამერიკაში ყველაზე მდიდარი სახელმწიფო იყო, 1980-იანი წლებიდან უკუსვლა დაიწყო. ხალხის საპროტესტო გამოსვლებს და პოლიტიკურ კრიზისებს 1990-იანების ბოლოს ხელისუფლებაში უგო ჩავესის არჩევა დაემატა, რამაც ქვეყნის გაღატაკებას ჩაუყარა საფუძველი. უგო ჩავესმა, რომელიც პრეზიდენტი 1998 წელს გახდა და ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება დაიწყო, ნავთობკომპანიების ნაციონალიზაცია მოახდინა. კერძო კომპანიებისთვის ინვესტიციების განხორციელება ძალიან გაძნელდა, რამაც ქვეყანა თითქმის მთლიანად იზოლირებული დატოვა უცხოური კაპიტალისგან. ინვესტორების ქვეყნიდან გაძევებამ დროთა განმავლობაში უკიდურესად გაართულა ნავთობის მოპოვება, რადგან საკუთარი ძალებით ვენესუელას არ შეეძლო ძველი მაჩვენებლების არათუ გაზრდა, არამედ შენარჩუნებაც კი. ხელისუფლებაში ნიკოლას მადუროს მოსვლის შემდეგ, წარმოება სამჯერ და მეტად შემცირდა. თუმცა, მადურომ უარყო, რომ ვენესუელა იზოლირებული იყო და განაცხადა, რომ *„ეს შთაბეჭდილება შეიძლებოდა გლობალური მედიაკამპანიის შედეგად შექმნილიყო“*.

ნავთობი ვენესუელას მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 90%-ს შეადგენს და წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას უწყობდა ხელს. თუმცა, 2014-2016 წლებში ნავთობის ფასების ვარდნის გამო (78%-ზე მეტით), ვენესუელას ეკონომიკა 2013 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში 35%-ით შემცირდა.

აშშ-ის მიერ PdVSA-ს წინააღმდეგ სანქციების დაწესების შემდეგ, ქვეყნის ნავთობის წარმოება 2020 წელს დღეში 300 ათას ბარელამდე შემცირდა, მაგრამ მომდევნო წელს 560 ათასამდე გაიზარდა. ექსპერტები ამ ზრდას, ძირითადად, ვენესუელასა და ირანს შორის შეთანხმებას მიაწერენ, რომლის მიხედვითაც ვენესუელური მძიმე ნედლი ნავთობი ირანულ კონდენსატში უნდა ჩანაცვლებულიყო, რამაც კარაკასს საშუალება მისცა, საექსპორტო ნავთობი გაეზავებინა. ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ მაშინ აშშ-მა შეცდომა დაუშვა, როდესაც ვენესუელასა და ირანს ერთდროულად გაუმკაცრა სანქციები. ამან ამ ქვეყნებს კიდევ უფრო დაახლოებისკენ უბიძგათ.

2023 წლისთვის მადურო ოპტიმისტურად იყო განწყობილი და იმედოვნებდა, რომ ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში, ვენესუელას შეეძლო მნიშვნელოვნად გადაეჭარბებინა ნავთობის წარმოების კრიზისამდე არსებული დონისთვის.

„ჩვენ დავკარგეთ შემოსავლების 99%. მსოფლიოში

ვერცერთი ქვეყანა ვერ გაუძლებს ამას. 2014 წელთან მიმართებით მხოლოდ 1%-იანი შემოსავლით, ვენესუელას შეუძლია მიაღწიოს 5 მილიონი ბარელის დღიურ მოპოვებას. ჩვენ გვაქვს ინფრასტრუქტურა, ჩვენ გვჭირდება ინვესტიციები“, – განუცხადა მადურომ Bloomberg-ს 2023 წლის ზაფხულში და დასძინა, რომ ვენესუელამ 14 თვე წვეთი ნავთობის გაყიდვის გარეშე გაძლო *(სამაგიეროდ, ქვეყნიდან გატანილი ასეულობით ტონა ნარკოტიკების რეალიზაციით მიღებული მილიარდობით დოლარით საზრდოობდა მადუროს დიქტატურა – ავტ.).*

ვენესუელას ყოფილი პრეზიდენტის ეს და სხვა გამოსვლები უფრო პროპაგანდისტულ ხრიკებს რომ წაგავდა, დრომაც აჩვენა. მადურომ აშშ-ის მოთმინებიდან გამოყვანით, საფრთხე რეგიონის სხვა ლიდერებსაც შეუქმნა. 3 იანვრის მოვლენების შემდეგ, ვენესუელა რეგიონულ ვაკუუმში აღმოჩნდა: ბოლივარიული ალიანსის (ALBA) ყოფილმა მოკავშირეებმა – ბოლივიამ და ეკვადორმა – პოლიტიკური ვექტორი საპირისპირო მიმართულებით შეცვალეს, ხოლო ბრაზილიის მხრიდან ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგანგებო სამიტის მოწვევის მოკრძალებული მცდელობები და კოლუმბიის მხრიდან ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სამიტის მოწვევის მოწოდება ჯერ კიდევ „ჰაერშია გამოკიდებული“.

რეგიონული შეშფოთება, ჩინეთის გაძევების დასაწყისი და ეკონომიკური პერსპექტივები

ტრამპის ადმინისტრაციის წარმატებულმა „ელვისებურმა“ სამხედრო ოპერაციამ კონტინენტის ერთგვარი მთლიანობა დაარღვია. შეშფოთებულ სახელმწიფოთა რიცხვი დიდი არაა, მაგრამ რიგი ქვეყნების ლიდერებს აშკარად გაუჩნდათ მოლაპარაკებათა მაგიდასთან მიპატიჟებულთა შორის მოხვედრის სურვილი. მაგალითად, კოლუმბიასა და კუბას განსაკუთრებით აწუხებთ საკუთარი უსაფრთხოების საკითხები. შეერთებულმა შტატებმა ადრე მიანიშნა, რომ ამ ქვეყნებში პოლიტიკური რეჟიმები არ აკმაყოფილებენ დემოკრატიულ სტანდარტებს.

რეგიონში არგენტინა იმით გამოირჩევა, რომ აქტიურად უჭერს მხარს აშშ-ის ქმედებებს ვენესუელაში. სხვა ქვეყნები ვაშინგტონთან სასარგებლო ორმხრივი ურთიერთობების ესანარჩუნებლად, მომლოდინე რეჟიმში ყოფნას ამჯობინებენ.

ბევრს მიაჩნია, რომ აშშ-ის მთავარი მიზანი რეგიონში ჩინეთის ყოფნის შეზღუდვაა. ვენესუელას პორტების ბლოკადა, პირველ რიგში, ჩინეთის ინტერესებს აზიანებს, რომელმაც ამ ქვეყნისგან ნედლი ნავთობის ექსპორტის ნახევარზე მეტი შეიძინა და ქვეყნის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ჩადებაც მოასწრო. ტრამპის მიერ კარაკასში ახალი ადმინისტრაციისთვის წაყენებული ერთ-ერთი მთავარი პირობაა ჩინეთთან, რუსეთთან, ირანთან და კუბასთან კავშირების გაწყვეტა. ჩინეთმა ვენესუელაში საკუთარი უფლებების იურიდიული მეთოდებით დაცვის სურვილი გამოთქვა.

ვაშინგტონი მიიჩნევს, რომ ჩინეთი კონტინენტზე წინ აგრესიულად მიიწევს. ჩინეთის ვაჭრობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ბოლო 25 წლის განმავლობაში 40-ჯერ გაიზარდა: ლათინური ამერიკის 33 ქვეყნიდან 14-ში ჩინეთის ეკონომიკური გავლენა აღემატება შეერთებული შტატებისას. ინვესტიციების წყალობით, ჩინეთმა რესურსებზე წვდომა მოიპოვა და წარმოდგენილია ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან სექტორში, ნავთობიდან და იშვიათი მინერალებიდან დაწყებული, ტრანსპორტითა და ენერგეტიკით გაგრძელებული.

აშშ შიშობს, რომ ჩინეთი მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობით არ შემოიფარგლება და შესაძლოა ამ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზა შექმნას. აშშ პერუში მდებარე ჩანკაის ღრმაწყლოვან პორტს, რომელიც 2024 წლის ბოლოს გაიხსნა და ჩინეთში ტვირთების მიწოდების დაჩქარებისთვისაა შექმნილი, პოტენციურ საფრთხედ მიიჩნევს: მისი 17,8 მეტრის სიღრმის ნავმისადგომები შესაფერისია როგორც დიდი კონტეინერმზიდი გემებისთვის, ასევე საზღვაო ხომალდებისთვის. ამასობაში, პატაგონიაში (არგენტინა) მდებარე კოსმოსზე მეთვალყურეობის ჩინური ცენტრი, სავარაუდოდ, აშშ-ის სამხედრო თანამგზავრების სათვალთვალოდ გამოიყენება.

დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ვენესუელას ნავთობის უზარმაზარ მარაგებზე დააწესებს კონტროლს და ამერიკულ კომპანიებს მისი დანგრეული ნავთობის ინფრასტრუქტურის აღდგენაში ინვესტიციების ჩადებისკენ მიიზიდავს. ვენესუელას 303 მილიარდი ბარელი ნავთობი აქვს, რაც მსოფლიო მარაგის დაახლოებით მეხუთედია. ტრამპის თქმით, აშშ ამ ეტაპზე ფაქტობრივად გააკონტროლებს ქვეყნის ნავთობის ინდუსტრიას.

მარაგების მიუხედავად, ვენესუელას ფაქტობრივი წარმოება უკიდურესად დაბალია. ის დღეში დაახლოებით 1 მილიონ ბარელს შეადგენს, რაც მსოფლიო წარმოების 1%-ზე ნაკლებია. ეს გამოწვეულია სანქციებითა და მოძველებული ინფრასტრუქტურით, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ხელუხლებელია. ვენესუელას მილსადენები 50 წლის განმავლობაში არ განახლებულა და პიკური წარმოების დონის დასაბრუნებლად ინფრასტრუქტურის აღდგენის ღირებულება მინიმუმ 60 მილიარდ დოლარს საჭიროებს.

ამერიკული სამხედრო ოპერაციის ეკონომიკური ლოგიკა ვენესუელას ნავთობის ინდუსტრიის თანდათანობითი რეორიენტაციის გარშემოა აგებული. კარაკასისთვის ნავთობის გაყიდვა, გარდა ამერიკული მიმართულებისა, რთული გახდება და მიზანიც, დიდი ალბათობით ეს იყო. ამ ვითარებაში, Chevron-ი და სხვა ამერიკული კომპანიები ქვეყანაში ინვესტიციების მთავარ წყაროდ იქცევიან. წარმოების ზრდა შესაძლებელია, მაგრამ ეს იქნება ნელი, ძვირი და წლებზე გადანაწილებული.

ფრიდონ კერვალიშვილი

„ვენესუელა ნავთობს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაყიდის, თუ ეს ჩვენს ინტერესში შედის“ – ჯეი დი ვენსი

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე პრეზიდენტმა, ჯეი დი ვენსმა განაცხადა, რომ თეთრი სახლი ვენესუელას ნავთობით ვაჭრობის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს, თუ ეს შტატების ეროვნულ ინტერესში იქნება. ჯესი ვოტერესისთვის მიცემულ ინტერვიუში ქვეყნის მეორე პირმა თქვა, რომ 3 იანვარს წარმატებით განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ ნავთობით უმდიდრესი სამხრეთ ამერიკული ქვეყნის ენერგეტიკული რესურსები მთლიანად ამერიკის კონტროლქვეშ მოექცა. შესაბამისად, თავად ამერიკის გადასაწყვეტი იქნება, თუ რომელ დაინტერესებულ მხარეებთან ივაჭრებს ვენესუელა და ვის მიჰყიდის ნავთობს.

მეტად სავარაუდოა, რომ ამ სიაში ვერ მოხვდება ჩინეთი, რადგან თეთრმა სახლმა ნიკოლას მადუროს ადგილმონაცვლე დელსი როდრიგესს უკვე მოსთხოვა აზიურ გიგანტთან ნავთობით ვაჭრობის სრულად შეწყვეტა. მოსალოდნელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ვენესუელა ნავთობის მიწოდებას შეუწყვეტს კუბასაც, რომლისთვისაც ამ ენერგეტიკულ რესურსს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და რომელიც ტრამპის ადმინისტრაციამ უკვე დაასახელა ერთ-ერთ შემდგომ სამიზნედ. შეგახსენებთ, კუბელი მიგრანტების შვილმა და შტატების მოქმედმა სახელმწიფო მდივანმა, მარკო რუბიომ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა – *„მე რომ ჰავანაში (კუბის დედაქალაქი) ვიყო და კუბის ხელისუფლებას წარმოვადგენდე, ნამდვილად ვინერვიულებდი“*.

დონალდ ტრამპს საკრედიტო ბარათებზე 10%-იანი ზღვრის დაწესება სურს

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკული ბანკებისთვის საკრედიტო ბარათების საპროცენტო განაკვეთებზე 10%-იანი ზედა ზღვრის დაწესების ინიციატივა წარადგინა.

პრეზიდენტის განცხადებით, აღნიშნული შეზღუდვა ძალაში 2026 წლის 20 იანვრიდან უნდა შევიდეს და ერთი წლის განმავლობაში, სატესტო რეჟიმში იმოქმედოს. ტრამპმა აღნიშნული გადაწყვეტილება სოციალურ ქსელ Truth Social-ის საშუალებით გაავრცელა და აღნიშნა, რომ ამერიკელი ხალხი აღარ უნდა იყო საკრედიტო კომპანიების მსხვერპლი, რომლებიც მომხმარებლებს 20%-დან 30%-მდე, ზოგჯერ კი უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთებს სთავაზობენ საკრედიტო ბარათებზე.

პრეზიდენტის თქმით, ეს ნაბიჯი მიზნად ისახავს ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას და მოქალაქეების დაცვას ძარცვისგან, რომელსაც უკვე ფედერალური რეზერვი ვეღარ აკონტროლებს.

აღნიშნულმა ინიციატივამ საბანკო სექტორსა და ეკონომიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამერიკის ბანკირთა ასოციაციამ და სხვა ფინანსურმა ინსტიტუტებმა უკვე გამოხატეს შეშფოთება და განაცხადეს, რომ საპროცენტო განაკვეთის მკვეთრმა შემცირებამ, შესაძლოა, საპირისპირო ეფექტი გამოიწვიოს და კრედიტებზე ხელმისაწვდომობა მკვეთრად შეამციროს. კერძოდ, ბანკებმა შეიძლება შეზღუდონ კრედიტების გაცემა იმ მომხმარებლებზე, რომლებსაც დაბალი საკრედიტო რეიტინგი აქვთ, რადგან 10%-იანი განაკვეთი ვერ დაფარავს მათთან დაკავშირებულ რისკებს.

ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ინიციატივამ შეიძლება მილიონობით ამერიკელს საკრედიტო ბარათებზე წვდომა საერთოდ დაუკარგოს. აქ მთავარი რისკი ის არის, რომ ამერიკელები საკრედიტო ბარათებს ყოველდღიურად იყენებენ და ზოგიერთი მათგანი ქირის, საწვავის, მედიკამენტებისა თუ სურსათის ხარჯებს სწორედ კრედიტით ფარავს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი კანონპროექტი, რომელიც საპროცენტო განაკვეთების 10%-ით შეზღუდვას ითვალისწინებდა, მანამდე სენატორებმა ბერნი სანდერსმა და ჯოშ ჰოულიმ წარადგინეს, თუმცა უშედეგოდ.

მიუხედავად პრეზიდენტის სურვილისა, იურიდიულად ასეთი ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა კონგრესის მხარდაჭერა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტრამპის ადმინისტრაციას აქტიურად მოუწევს მუშაობა კანონმდებლებთან, რათა ეს ინიციატივა რეალურ რეგულაციად იქცეს, რაც საკმაოდ რთული იქნება.

ჩინეთის სავაჭრო პროფიციტმა რეკორდულ $1.2 ტრილიონს მიაღწია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო ბალანსმა გასული 2025 წლის განმავლობაში ისტორიულ პროფიციტს, $1.2 ტრილიონ დოლარს მიაღწია, რაც ქვეყნის ისტორიაში დაფიქსირებული უმაღლესი ნიშნულია და წინა წელთან შედარებით 20%-იან მატებას წარმოადგენს.

საერთო ჯამში, 2025 წლის განმავლობაში ჩინეთმა ექსპორტზე $3.77 ტრილიონის საქონელი გაიტანა და იმპორტის გზით $2.58 ტრილიონის საქონელი შეიძინა, რაც $1.2-ტრილიონიან სხვაობას გვაძლევს.

პროფიციტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანამ ექსპორტზე $1.2 ტრილიონით მეტი ღირებულების საქონელი გაიტანა, ვიდრე იმპორტის სახით უცხოეთიდან შემოიტანა. ტრადიციულად, ჩინეთი ნეტო ექსპორტიორი სახელმწიფოა და მისთვის პროფიციტის არსებობა უჩვეულო არ არის, განსხვავებით აშშ-ისგან, რომელიც ნეტო იმპორტიორია.

მიუხედავად ტარიფების გამო აშშ-ში ექსპორტის შემცირებისა, ჩინეთის სავაჭრო პროფიციტის საერთო ზრდა

ძირითადად ევროპასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან და განვითარებად ბაზრებთან ვაჭრობის გააქტიურებით არის განპირობებული.

გარდა ამისა, ენერგომატარებლებზე და სხვა ტიპის სტრატეგიულ ნედლეულზე ფასების კლებამ ჩინეთის იმპორტის ღირებულება შეამცირა, რამაც საბოლოო ჯამში პროდუქცია გააიაფა და ექსპორტი გაზარდა.

ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, ამ დინამიკაში უდიდესი როლი რუსეთის ფედერაციას აქვს, რომელიც ჩინეთს იაფი ნავთობით ამარაგებდა, რაც გლობალურ ბაზარზე ქვეყანას კონკურენტულ უპირატესობას აძლევდა.

სომხეთმა და აშშ-მა „ტრამპის მარშრუტზე“ ჩარჩო შეთანხმება გააფორმეს, რომლის თანახმადაც შეიქმნება TRIPP-ის განვითარების კომპანია

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არარატ მირზოიანმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ „ტრამპის მარშრუტის“ განხორციელებისთვის ჩარჩო შეთანხმებას მიაღწიეს.

ახალი დერეფნით, რომელიც ცნობილია როგორც „ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის“ (TRIPP), აზერბაიჯანი სომხეთის გავლით უნდა დაუკავშირდეს თავის ექსკლავ ნახიჩევანს.

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში წერია, რომ შეიქმნება TRIPP-ის განვითარების კომპანია, რომლის 74%-ს სომხეთი აშშ-ის გადასცემს, ხოლო 26% სომხეთს დარჩება. კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მთავრობათაშორისი თანამშრომლობა კორიდორში სარკინიგზო და საგზაო პროექტების განვითარების მიმართულებით.

სწორედ ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი TRIPP-ის განვითარებაზე და მისი მართვის უფლება 49 წლის მანძილზე ექნება. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბრისას, რუბიომ განაცხადა, რომ TRIPP-ის ფორმატს აქვს პოტენციალი გადაიქცეს მსოფლიო მოდელად იმისა, თუ როგორ შეიძლება გახსნა ქვეყანა ეკონომიკური აქტივობისთვის ისე, რომ არ დადგეს ეჭვის ქვეშ ან არ დაზიანდეს მისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

„ეს დიდებული იქნება სომხეთისთვის, აშშ-ისთვის და ყველასთვის, ვინც ჩართული იქნება ამ პროექტში“, – თქვა რუბიომ.

მანამდე აშშ-მა განაცხადა, რომ „ტრამპის მარშრუტის“ პროექტს 145 მლნ დოლარით დააფინანსებს.

ცნობისთვის, გასული წლის აგვისტოში აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ინიციატივით ვაშინგტონში შედგა სამშვიდობო სამიტი აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების მონაწილეობით, სადაც ხელი მოეწერა როგორც სამმხრივ, ასევე ორმხრივ შეთანხმებებს. ამავე სამიტზე გამოცხადდა სატრანსპორტო დერეფნის პროექტი სახელწოდებით „ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის“.

ირანის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები

ირანთან 100-ზე მეტი ქვეყანა ვაჭრობს. მათ შორის ჩინეთი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორია. Trade Data Monitor-ის მონაცემებით, რომლებიც ირანის ისლამური რესპუბლიკის საბაჟო ადმინისტრაციის სტატისტიკას ეფუძნება, 2025 წლის ოქტომბრამდე პერიოდში ჩინეთს ირანისგან 14 მილიარდ დოლარზე მეტი პროდუქცია აქვს ნაყიდი.

ჩინეთს მოსდევს ერაყი, რომელმაც მეზობლისგან 10.5 მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელი მიიღო. ირანის პროდუქციის უმსხვილეს მომხმარებლებს შორის არიან ასევე არაბთა გაერთიანებულ საამიროები და თურქეთი. ირანიდან თურქეთში ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გასულ წელს 7.3 მილიარდი დოლარი შეადგინა, მაშინ როცა 2024 წელს 4.7 მილიარდი დოლარი იყო.

ირანის უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნები (2025 წელი):

1. ჩინეთი – $14.5 მლრდ;
2. ერაყი – $10.5 მლრდ;
3. არაბთა გაერთიანებული საამიროები – $7.5 მლრდ;
4. თურქეთი – $7.3 მლრდ;
5. ავღანეთი – $2.5 მლრდ;
6. პაკისტანი – $2.4 მლრდ;
7. ომანი – $1.8 მლრდ;
8. ინდოეთი – $1.7 მლრდ;
9. რუსეთი – $1.2 მლრდ;
10. თურქმენეთი – $0.7 მლრდ.

ცნობისთვის, აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განცხადებით, ირანთან საქმიანი ურთიერთობების მქონე ქვეყნები ამერიკასთან ვაჭრობაზე 25%-იან ტარიფს დაექვემდებარებიან.

ახალი სანქციების მთავარი ადრესატი უდავოდ ჩინეთია, რომელიც წლებია ირანის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორისა და ენერგეტიკული გარანტის როლს ასრულებს. 2025 წლისთვის ირანის მიერ ექსპორტირებული ნავთობის 80%-ზე მეტი სწორედ ჩინეთმა შეიძინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩინეთი თეირანს არსებობისთვის აუცილებელ ვალუტას აწვდიდა. რაც შეეხება იმპორტს, ჩინეთი ირანის იმპორტის თითქმის 29%-ს აკონტროლებს და

თეირანს აწვდის ყველაფერს დაწყებული მძიმე ტექნიკიდან და ელექტრონიკიდან, სატრანსპორტო საშუალებებით დამთავრებული.

ჩინეთის შემდეგ ყველაზე დიდ დარტყმას თურქეთი და ინდოეთი მიიღებენ. თურქეთი ირანისთვის ერთგვარი ფანჯარაა დასავლურ საქონელზე, ხოლო ანკარასთვის ირანული ენერგორესურსები კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ტრამპი ჩინეთთან მიღწეულ სავაჭრო შეთანხმებას საფრთხის წინაშე აყენებს – Bloomberg

აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ 25%-იანი ტარიფები დაუწესოს ყველა იმ ქვეყანას, რომელიც ირანთან ვაჭრობს, სერიოზულ რისკს უქმნის იმ 1-წლიან სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის გასული წლის ბოლოს გაფორმდა.

შეგახსენებთ, ჩინეთი ირანული ნავთობის უმსხვილესი შემსყიდველია და ამ გზით რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას ცდილობს. როგორც Bloomberg-ი წერს, ტრამპის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შტატების ლიდერის პეკინში დაგეგმილი ვიზიტი შეიძლება ჩაიშალოს. საუბარია ორი ქვეყნის პრეზიდენტების აპრილში ჩანიშნულ შეხვედრაზე, რომლის დროსაც მხარეებმა ტარიფების კიდევ უფრო დაწევაზე უნდა იმსჯელონ.

ტრამპის განცხადებას ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უკვე გამოეხმაურნენ. როგორც ოფიციალური პეკინი აცხადებს, ტრამპის გადაწყვეტილება სარისკო და არაპროდუქტიულია და თუ ის პოზიციას არ შეცვლის, საპასუხო ზომებს ჩინეთიც მიიღებს. ცნობისთვის, ჩინური კერძო ნავთობგადასამუშავებელი კომპანიები ირანულ ნავთობზე მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულები.

უკრაინის ეროვნული რეზერვის მოცულობა 30%-ით გაიზარდა

უკრაინის ეროვნული ბანკის უახლესი მონაცემებით, ქვეყნის საერთაშორისო რეზერვებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 2026 წლის იანვრის მდგომარეობით, მან 57.3 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ეს მაჩვენებელი დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში ყველაზე მაღალია და წლიურად 30.8%-იან ზრდას ასახავს.

IMF-ის შეფასებით, მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე სრულმასშტაბიანი ომისა, უკრაინამ ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება შეძლო და სარეზერვო ბუფერი მნიშვნელოვნად გააძლიერა.

ამ რეკორდული ზრდის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან უპრეცედენტო ფინანსური მხარდაჭერა სახელდება. 2025 წლის განმავლობაში უკრაინამ ჯამში 52.4 მილიარდი დოლარის საერთაშორისო დახმარება მიიღო. ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორები ევროკავშირი ($32.7 მლრდ), მსოფლიო ბანკი ($13.2 მლრდ) და კანადა ($3.4 მლრდ) იყვნენ. გარდა ამისა, რეზერვების ზრდას ხელი შეუწყო შიდა სახელმწიფო ობლიგაციების წარმატებულმა განთავსებამ და ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებამ.

ეროვნული ბანკის მმართველის, ანდრიი პიშნის განცხადებით, რეზერვების ამჟამინდელი მოცულობა საკმარისია 6 თვის იმპორტის დასაფინანსებლად, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით ომის პერიოდში.

ერაყმა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნავთობსაბადოს ნაციონალიზაცია გამოაცხადა

ერაყის სამთავრობო კაბინეტმა მხარი დაუჭირა ქვეყანაში მდებარე, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნავთობსაბადოს, დასავლეთ ქურნა 2-ის ნაციონალიზაციას. საუბარია საბადოზე, რომელში მნიშვნელოვან წილსაც ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის მიერ გასული წლის ოქტომბერში სანქცირებული რუსული ნავთობ-გიგანტი, Lukoil-ი ფლობდა.

არსებული ინფორმაციით, ნავთობსაბადო სახელმწიფოს მიერ მართულ ენერგოკომპანია Basra Oil Company-ს ხელში 12 თვით გადავა და სწორედ ის აანაზღაურებს როგორც საოპერაციო ხარჯებს, ისე დასაქმებულთა ხელფასებს და კონტრაქტორი კომპანიებისთვის გადასაცემ თანხებს.

აღსანიშნავია, რომ ნაციონალიზაცია ამჯერად საბადოს უცხოური კომპანიებისთვის დახურვას არ გულისხმობს. როგორც მთავრობაში განმარტავენ, ისინი ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტის გადაწყვეტილებას დაელოდებიან. სწორედ აღნიშნულმა უწყებამ უნდა განსაზღვროს, თუ ვის დარჩება გუკოილ-ის საერთაშორისო აქტივები, მათ შორის 75%-იანი წილი ერაყულ ნავთობსაბადოში. საბოლოო ვერდიქტი ცნობილი 17 იანვრამდე უნდა გახდეს.

ამჟამინდელი მონაცემებით, დასავლეთ ქურნა 2-ის ობიექტი ნავთობის ამოღებას აგრძელებს და Basra Oil-ი ყოველდღიურად 465,000-480,000 ბარელს მოიპოვებს. ცნობისთვის, სრულფასოვანი დატვირთვის პირობებში ერაყული ნავთობსაბადო მსოფლიო მიწოდების 0.5%-ს აკმაყოფილებდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ერაყი ნავთობის დადასტურებული მარაგების რაოდენობით მსოფლიოში მე-4 ადგილზეა და ის 145 მილიარდ ბარელს ფლობს.

უცხოური ვალუტის კურსები

დეკემბრის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=3,1596** ლარი; 2025 წლის – **1 EURO=3,0960** ლარი.

ვალუტა	დეკემბერი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
10 დანიური კრონი	4,1839	4,2041	4,1981	4,2170	4,2205	4,2124	4,2124	4,2124	4,2116	4,2081	4,2035	4,2287	4,2358	4,2358	4,2358
1 ევრო	3,1248	3,1400	3,1354	3,1496	3,1522	3,1461	3,1461	3,1461	3,1458	3,1431	3,1398	3,1582	3,1640	3,1640	3,1640
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,5697	3,5720	3,5644	3,5885	3,6056	3,6017	3,6017	3,6017	3,5973	3,5991	3,5933	3,6095	3,6084	3,6084	3,6084
100 ისლანდიური კრონი	2,1085	2,1159	2,1129	2,1138	2,1154	2,1114	2,1114	2,1114	2,1114	2,1122	2,1100	2,1254	2,1349	2,1349	2,1349
100 სერბიული დინარი	2,6624	2,6696	2,6748	2,6793	2,6834	2,6835	2,6835	2,6835	2,6790	2,6768	2,6740	2,6848	2,6967	2,6967	2,6967
10 ნორვეგიული კრონი	2,6571	2,6658	2,6607	2,6810	2,6800	2,6707	2,6707	2,6707	2,6689	2,6704	2,6590	2,6695	2,6693	2,6693	2,6693
10 პოლონური ზლოტი	7,3709	7,4225	7,3927	7,4412	7,4500	7,4361	7,4361	7,4361	7,4371	7,4261	7,4309	7,4685	7,4861	7,4861	7,4861
10 რუმინული ლეი	6,1392	6,1685	6,1611	6,1857	6,1902	6,1788	6,1788	6,1788	6,1810	6,1752	6,1690	6,2053	6,2160	6,2160	6,2160
100 უნგრული ფორინტი	0,8195	0,8250	0,8226	0,8272	0,8248	0,8237	0,8237	0,8237	0,8223	0,8194	0,8179	0,8275	0,8236	0,8236	0,8236
10 შვედური კრონი	2,8449	2,8625	2,8555	2,8773	2,8768	2,8706	2,8706	2,8706	2,8729	2,8866	2,8881	2,9136	2,9062	2,9062	2,9062
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3510	3,3632	3,3572	3,3729	3,3753	3,3626	3,3626	3,3626	3,3580	3,3477	3,3518	3,3828	3,3931	3,3931	3,3931
10 ჩეხური კრონა	1,2931	1,2997	1,2975	1,3051	1,3029	1,3003	1,3003	1,3003	1,2976	1,2952	1,2946	1,3039	1,3049	1,3049	1,3049
1 აშშ დოლარი	2,7029	2,7020	2,7015	2,7010	2,7016	2,7005	2,7005	2,7005	2,7005	2,6996	2,6995	2,6991	2,6985	2,6985	2,6985
1 კანადური დოლარი	1,9242	1,9318	1,9285	1,9375	1,9343	1,9363	1,9363	1,9363	1,9538	1,9499	1,9487	1,9543	1,9610	1,9610	1,9610
1 ავსტრალიური დოლარი	1,7628	1,7687	1,7687	1,7797	1,7863	1,7910	1,7910	1,7910	1,7921	1,7923	1,7944	1,7946	1,7977	1,7977	1,7977
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5673	0,5686	0,5684	0,5671	0,5681	0,5678	0,5678	0,5678	0,5686	0,5668	0,5669	0,5678	0,5677	0,5677	0,5677
1 თურქული ლირა	0,0636	0,0636	0,0637	0,0636	0,0636	0,0635	0,0635	0,0635	0,0635	0,0634	0,0634	0,0633	0,0632	0,0632	0,0632
100 იაპონური იენი	1,7294	1,7400	1,7315	1,7365	1,7449	1,7409	1,7409	1,7409	1,7370	1,7295	1,7221	1,7309	1,7305	1,7305	1,7305
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	7,3592	7,3568	7,3552	7,3541	7,3557	7,3527	7,3527	7,3527	7,3527	7,3505	7,3502	7,3491	7,3475	7,3475	7,3475
10000 ირანული რიალი	0,6435	0,6433	0,6432	0,6431	0,6432	0,6430	0,6430	0,6430	0,6430	0,6428	0,6427	0,6426	0,6425	0,6425	0,6425
10 ისრაელის შეკელი	8,2825	8,2762	8,2985	8,3382	8,3525	8,3716	8,3716	8,3716	8,3926	8,4024	8,3711	8,3940	8,4244	8,4244	8,4244
1 სინგაპურული დოლარი	2,0816	2,0855	2,0813	2,0862	2,0855	2,0848	2,0848	2,0848	2,0834	2,0817	2,0826	2,0854	2,0888	2,0888	2,0888
1 ქუვეითური დინარი	8,8014	8,8013	8,7968	8,8038	8,8029	8,7993	8,7993	8,7993	8,7936	8,7935	8,7903	8,7976	8,7956	8,7956	8,7956
10 ჩინური იუანი	3,8199	3,8208	3,8211	3,8235	3,8206	3,8201	3,8201	3,8201	3,8205	3,8214	3,8215	3,8241	3,8245	3,8245	3,8245
10 ჰონკონგური დოლარი	3,4723	3,4693	3,4693	3,4697	3,4708	3,4689	3,4689	3,4689	3,4710	3,4696	3,4692	3,4684	3,4660	3,4660	3,4660
100 ინდური რუპია	3,0214	3,0171	3,0058	2,9946	3,0026	3,0008	3,0008	3,0008	2,9979	3,0034	3,0007	2,9868	2,9844	2,9844	2,9844
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5423	1,5482	1,5439	1,5528	1,5588	1,5595	1,5595	1,5595	1,5617	1,5625	1,5614	1,5660	1,5676	1,5676	1,5676
100 რუსული რუბლი	3,4719	3,4797	3,4776	3,4885	3,5078	3,5494	3,5494	3,5494	3,5158	3,5121	3,4921	3,4130	3,3855	3,3855	3,3855
1 აზერბაიჯანული მანათი	1,5898	1,5892	1,5889	1,5886	1,5890	1,5883	1,5883	1,5883	1,5883	1,5878	1,5876	1,5875	1,5872	1,5872	1,5872
1 ბელარუსული რუბლი	0,9271	0,9289	0,9310	0,9315	0,9288	0,9326	0,9326	0,9326	0,9387	0,9341	0,9344	0,9302	0,9197	0,9197	0,9197
10 თურქმენული მანათი	7,7226	7,7200	7,7186	7,7171	7,7189	7,7157	7,7157	7,7157	7,7157	7,7131	7,7129	7,7117	7,7100	7,7100	7,7100
10 მოლდოვური ლეი	1,5901	1,5902	1,5901	1,5885	1,5880	1,5862	1,5862	1,5862	1,5897	1,5899	1,5849	1,5854	1,5925	1,5925	1,5925
1000 სომხური დრამი	7,0916	7,0876	7,0859	7,0846	7,0815	7,0879	7,0879	7,0879	7,0716	7,0726	7,0703	7,0633	7,0678	7,0678	7,0678
10 ტაჯიკური სომონი	2,9129	2,9120	2,9117	2,9044	2,9107	2,9106	2,9106	2,9106	2,9096	2,9107	2,9163	2,9159	2,9152	2,9152	2,9152
1000 უზბეკური სუმი	0,2265	0,2269	0,2267	0,2269	0,2259	0,2254	0,2254	0,2254	0,2254	0,2247	0,2246	0,2242	0,2232	0,2232	0,2232
10 უკრაინული გრივნა	0,6393	0,6378	0,6379	0,6393	0,6402	0,6407	0,6407	0,6407	0,6418	0,6400	0,6385	0,6377	0,6393	0,6393	0,6393
100 ყაზახური ტენგე	0,5281	0,5274	0,5315	0,5362	0,5388	0,5353	0,5353	0,5353	0,5290	0,5238	0,5216	0,5184	0,5177	0,5177	0,5177
100 ყირგიზული სომი	3,0964	3,0954	3,0947	3,0941	3,0948	3,0935	3,0935	3,0935	3,0935	3,0875	3,0873	3,0924	3,0917	3,0917	3,0917
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5753	1,5809	1,5770	1,5796	1,5887	1,5942	1,5942	1,5942	1,5908	1,5842	1,5871	1,5948	1,5992	1,5992	1,5992
1 ბრაზილიური რიალი	0,5048	0,5065	0,5044	0,5069	0,5087	0,5084	0,5084	0,5084	0,4955	0,4970	0,4962	0,4933	0,4992	0,4992	0,4992
10 კატარული რიალი	7,4145	7,4127	7,4111	7,4095	7,4118	7,4070	7,4070	7,4070	7,4078	7,4071	7,4068	7,4058	7,4025	7,4025	7,4025
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,8376	1,8390	1,8390	1,8442	1,8358	1,8342	1,8342	1,8342	1,8410	1,8390	1,8358	1,8320	1,8276	1,8276	1,8276

უცხოური ვალუტის კურსები

დეკემბრის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2,6988** ლარი; 2025 წლის – **1 USD=2,7422** ლარი.

ვალუტა	დეკემბერი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
10 დანიური კრონი	4,2408	4,2465	4,2319	4,2341	4,2303	4,2303	4,2303	4,2438	4,2603	4,2577	4,2541	4,2503	4,2503	4,2503	4,2502	4,2496
1 ევრო	3,1681	3,1726	3,1619	3,1636	3,1606	3,1606	3,1606	3,1697	3,1825	3,1803	3,1777	3,1747	3,1747	3,1747	3,1737	3,1737
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,6087	3,6210	3,5966	3,6022	3,6099	3,6099	3,6099	3,6292	3,6430	3,6445	3,6482	3,6370	3,6370	3,6370	3,6403	3,6446
100 ისლანდიური კრონი	2,1347	2,1435	2,1364	2,1375	2,1472	2,1472	2,1472	2,1504	2,1530	2,1485	2,1470	2,1464	2,1464	2,1464	2,1473	2,1532
100 სერბიული დინარი	2,6959	2,7005	2,6944	2,6976	2,6935	2,6935	2,6935	2,7001	2,7104	2,7099	2,7058	2,7044	2,7044	2,7044	2,7043	2,7044
10 ნორვეგიული კრონი	2,6595	2,6498	2,6432	2,6473	2,6495	2,6495	2,6495	2,6679	2,6798	2,6975	2,6897	2,6922	2,6922	2,6922	2,6836	2,6869
10 პოლონური ზლოტი	7,5116	7,5217	7,4973	7,5217	7,5049	7,5049	7,5049	7,5312	7,5276	7,5500	7,5358	7,5233	7,5233	7,5233	7,5077	7,5047
10 რუმინული ლეი	6,2223	6,2299	6,2086	6,2136	6,2098	6,2098	6,2098	6,2298	6,2525	6,2496	6,2417	6,2366	6,2366	6,2366	6,2327	6,2277
100 უნგრული ფორინტი	0,8225	0,8246	0,8178	0,8130	0,8169	0,8169	0,8169	0,8189	0,8130	0,8164	0,8155	0,8163	0,8163	0,8163	0,8186	0,8216
10 შვედური კრონი	2,9007	2,8984	2,8893	2,9000	2,8971	2,8971	2,8971	2,9191	2,9378	2,9422	2,9416	2,9381	2,9381	2,9381	2,9401	2,9374
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3887	3,3896	3,3851	3,3915	3,3925	3,3925	3,3925	3,4045	3,4250	3,4256	3,4195	3,4147	3,4147	3,4147	3,4155	3,4197
10 ჩეხური კრონა	1,3045	1,3042	1,2976	1,2964	1,2984	1,2984	1,2984	1,3028	1,3067	1,3104	1,3098	1,3092	1,3092	1,3092	1,3094	1,3086
1 აშშ დოლარი	2,6981	2,6978	2,6979	2,6979	2,6984	2,6984	2,6984	2,7015	2,6975	2,6970	2,6966	2,6959	2,6959	2,6959	2,6955	2,6951
1 კანადური დოლარი	1,9586	1,9583	1,9574	1,9583	1,9559	1,9559	1,9559	1,9620	1,9683	1,9722	1,9719	1,9704	1,9704	1,9704	1,9698	1,9695
1 ავსტრალიური დოლარი	1,7923	1,7905	1,7857	1,7828	1,7831	1,7831	1,7831	1,7941	1,8062	1,8097	1,8118	1,8071	1,8071	1,8071	1,8068	1,8087
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5685	0,5692	0,5675	0,5670	0,5670	0,5670	0,5670	0,5691	0,5682	0,5667	0,5667	0,5669	0,5669	0,5669	0,5650	0,5646
1 თურქული ლირა	0,0632	0,0632	0,0631	0,0631	0,0630	0,0630	0,0630	0,0631	0,0630	0,0629	0,0629	0,0628	0,0628	0,0628	0,0628	0,0628
100 იაპონური იენი	1,7391	1,7422	1,7354	1,7306	1,7144	1,7144	1,7144	1,7164	1,7305	1,7295	1,7288	1,7236	1,7236	1,7236	1,7249	1,7297
10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი	7,3464	7,3455	7,3454	7,3456	7,3468	7,3468	7,3468	7,3554	7,3445	7,3432	7,3419	7,3402	7,3402	7,3402	7,3389	7,3378
10000 ირანული რიალი	0,6424	0,6423	0,6424	0,6424	0,6425	0,6425	0,6425	0,6432	0,6423	0,6421	0,6420	0,6419	0,6419	0,6419	0,6418	0,6417
10 ისრაელის შეკელი	8,4024	8,3842	8,3726	8,3687	8,4081	8,4081	8,4081	8,4393	8,4553	8,4777	8,4530	8,4344	8,4344	8,4344	8,4298	8,4762
1 სინგაპურული დოლარი	2,0925	2,0921	2,0880	2,0899	2,0877	2,0877	2,0877	2,0937	2,0992	2,1011	2,1006	2,0993	2,0993	2,0993	2,0982	2,1019
1 ქუვეითური დინარი	8,7915	8,7991	8,7908	8,7851	8,7781	8,7781	8,7781	8,7854	8,7838	8,7793	8,7780	8,7729	8,7729	8,7729	8,7573	8,7560
10 ჩინური იუანი	3,8283	3,8307	3,8298	3,8314	3,8325	3,8325	3,8325	3,8390	3,8382	3,8450	3,8490	3,8474	3,8474	3,8474	3,8474	3,8556
10 ჰონკონგური დოლარი	3,4669	3,4680	3,4676	3,4671	3,4680	3,4680	3,4680	3,4726	3,4683	3,4684	3,4686	3,4688	3,4688	3,4688	3,4680	3,4629
100 ინდური რუპია	2,9737	2,9636	2,9853	2,9892	3,0219	3,0219	3,0219	3,0133	3,0086	3,0039	3,0035	3,0005	3,0005	3,0005	2,9957	3,0017
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5603	1,5607	1,5586	1,5561	1,5508	1,5508	1,5508	1,5628	1,5756	1,5761	1,5729	1,5690	1,5690	1,5690	1,5653	1,5661
100 რუსული რუბლი	3,4043	3,3979	3,3504	3,3780	3,3548	3,3548	3,3548	3,4107	3,4401	3,4395	3,4686	3,4365	3,4365	3,4365	3,4768	3,4250
1 აზერბაიჯანული მანათი	1,5869	1,5868	1,5868	1,5868	1,5872	1,5872	1,5872	1,5889	1,5867	1,5865	1,5860	1,5858	1,5858	1,5858	1,5856	1,5852
1 ბელარუსული რუბლი	0,9151	0,9196	0,9194	0,9153	0,9163	0,9163	0,9163	0,9183	0,9207	0,9259	0,9258	0,9256	0,9256	0,9256	0,9255	0,9318
10 თურქმენული მანათი	7,7089	7,7080	7,7083	7,7083	7,7097	7,7097	7,7097	7,7186	7,7071	7,7057	7,7046	7,7026	7,7026	7,7026	7,7014	7,7003
10 მოლდოვური ლეი	1,5958	1,5996	1,6004	1,5971	1,5934	1,5934	1,5934	1,5952	1,6009	1,6054	1,6071	1,6066	1,6066	1,6066	1,6069	1,6069
1000 სომხური დრამი	7,0677	7,0706	7,0729	7,0718	7,0778	7,0778	7,0778	7,0813	7,0708	7,0715	7,0823	7,0712	7,0712	7,0712	7,0676	7,0691
10 ტაჯიკური სომონი	2,9235	2,9213	2,9242	2,9212	2,9220	2,9220	2,9220	2,9252	2,9206	2,9201	2,9212	2,9205	2,9205	2,9205	2,9201	2,9196
1000 უზბეკური სუმი	0,2226	0,2229	0,2236	0,2242	0,2247	0,2247	0,2247	0,2249	0,2238	0,2235	0,2234	0,2234	0,2234	0,2234	0,2239	0,2242
10 უკრაინული გრივნა	0,6383	0,6393	0,6372	0,6365	0,6384	0,6384	0,6384	0,6395	0,6403	0,6393	0,6413	0,6404	0,6404	0,6404	0,6382	0,6354
100 ყაზახური ტენგე	0,5234	0,5232	0,5245	0,5236	0,5214	0,5214	0,5214	0,5243	0,5287	0,5258	0,5286	0,5396	0,5396	0,5396	0,5386	0,5358
100 ყირგიზული სომი	3,0884	3,0882	3,0883	3,0883	3,0888	3,0888	3,0888	3,0924	3,0878	3,0872	3,0868	3,0860	3,0860	3,0860	3,0855	3,0853
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,6042	1,6084	1,6124	1,6089	1,6080	1,6080	1,6080	1,6177	1,6175	1,6227	1,6189	1,6169	1,6169	1,6169	1,6190	1,6202
1 ბრაზილიური რიალი	0,4980	0,4978	0,4934	0,4892	0,4886	0,4886	0,4886	0,4873	0,4824	0,4878	0,4883	0,4882	0,4882	0,4882	0,4862	0,4837
10 კატარული რიალი	7,4026	7,4012	7,3986	7,4004	7,4000	7,4000	7,4000	7,4107	7,3999	7,3984	7,3940	7,3921	7,3921	7,3921	7,3934	7,3927
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,8414	1,8298	1,8237	1,8272	1,8251	1,8251	1,8251	1,8261	1,8218	1,8615	1,8640	1,8660	1,8660	1,8660	1,8782	1,8661